# თბილისის თავისუფალი აკადემია

# საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული

2022

© ყველა უფლება დაცულია "თბილისის თავისუფალი აკადემია"

ჟურნალი „აკადემლაბი"2022

ჟურნალი დაიბეჭდა "ბარტონი"

ISSN 2720-7811

# თბილისის თავისუფალი აკადემია

# FREE ACADEMY OF TBILISI

საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

“აკადემლაბი“ N2

**International Refereed Scientific Journal**

**“Academlab“ N2**

**2022**

**თბილისის თავისუფალი აკადემიის**

**რექტორი**

**სამართლის დოქტორი**

**პროფესორი**

# სალომე ყირთველი

2022 წლის 22 დეკემბერს თბილისის თავისუფალ აკადემიაში რიგით XXIII - ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდება.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროცესებში მაქსიმალური ჩართულობა, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება თბილისის თავისუფალი აკადემიის ძირითადი კონცეფციაა.

მოხარული ვარ, რადგან რექტორის რანგში მეოთხედ მაქვს შესაძლებლობა ვუხელმძღვანელო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას, ვიყო სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე და მქონდეს საშუალება მონაწილე ვიყო იმ უნიკალური საგანმანათლებლო გამოცდილების შექმნის პროცესში, რომელსაც ქმნის თბილისის თავისუფალი აკადემიის საუნივერსიტეტო საზოგადოება.

მნიშვნელოვანია რომ უნივერსიტეტმა შექმნას ისეთი საგანმანათლებლო სივრცე, სადაც თითოეული სტუდენტი შეძლებს თვითრეალიზებას, მაქსიმალური ცოდნის მიღებას და შემდგომ მის გამოყენებას. უნივერსიტეტის საქმიანობა უნდა შედგებოდეს რამოდენიმე ძირითადი კომპონენტისაგან: პირველი - უნივერსიტეტი უნდა იდგეს სტუდენტების სადარაჯოზე, ანუ ემსახურებოდეს სტუდენტებს. მეორე - უნივერსიტეტი უნდა იყოს მუდმივი განახლების და ინოვაციების ძებნის პროცესში და მესამე - უნდა ქმნიდეს უნიკალურ საგანმანათლებლო შესაძლებლობას და პრეცედენტულ ქეისებს თავის საქმიანობაში. სწორედ ასეთ სტრუქტურას მიჰყვება თბილისის თავისუფალი აკადემია და ვფიქრობ, რომ ეს გამოარჩევს მას სხვა უმაღლესი დაწესებულებებისაგან.

ჩემი გუნდი მუდმივ რეჟიმში ინარჩუნებს ხარისხის კულტურას, ქმნის შრომისა და განათლების ბაზრის შესატყვის საგანმანათლებლო პროგრამებს, უწყვეტად ახორციელებს აკადემიის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, ზრუნავს აკადემიის სტუდენტების დასაქმებაზე, ახდენს უკიდურესად კონკურენტულ გარემოში სათანადო პოზიციონირებას და მუდმუვად ინარჩუნებს კორპორატიული კულტურის მდგრადობას.

დაბოლოს, XXIII - ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია კიდევ ერთი ახალი გამოცდილება იქნება ინოვაციების ძებნის პროცესში, რამეთუ კონფერენციის მონაწილე პირები მოახდენენ საკუთარი გამოცდილების გაზიარებას, კვლევით პროცესში მიღებული შედეგების ანალიზს, რაც საბოლოოდ მოგვცემს შესაძლებლობას სიახლეები გამოვიყენოთ ჩვენს სამომავლო საქმიანობაში.

**Rector of**

**Free Academy of Tbilisi**

**Professor**

***Salome Pirvely***

On December 22, 2022, the XXIII International Scientific Conference will be held at the Free Academy of Tbilisi.

Maximum involvement of academic staff in scientific processes, cooperation with international partners, sharing of international experience, planning and implementation of joint projects is the main concept of the Free Academy of Tbilisi.

I am happy, as for the fourth time as rector I have the opportunity to lead an international scientific conference, to be the chairwomen of the editorial board and to have the opportunity to participate in the creation of the unique educational experience worked out the university community of the Free Academy of Tbilisi.

It is important for the university to create such an educational space where each student will be able to self-realize, gain maximum knowledge and use it further. The activity of the university should consist of several main components: first - the university should stand on the guard of students, that is, serve students. Second - the university must be in the process of constant renewal, it must be in the process of searching for innovations, and third - it must create a unique educational opportunity and precedent cases in its activities. This is the structure that the Free Academy of Tbilisi follows, and I think that this distinguishes it from other higher institutions.

My team constantly maintains a culture of quality, creates educational programs matching the labor and education markets, continuously improves the qualification of the academy's academic staff, takes care of the employment of the academy's students, positions itself in an extremely competitive environment, and constantly maintains the sustainability of the corporate culture.

And finally, the XXIII International Scientific Conference will be another new experience in the process of searching for innovations, as the participants of the conference will share their experiences, analyze the results obtained in the research process, which will finally give us the opportunity to use innovations in our future activities.

# საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული


**მთავარი რედაქტორი:**
სალომე პირველი - თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორი, სამართლის მეცნიერებათა დოქტორი.

**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ეთერ ხარაიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

გულნაზ ერქომაიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

მარინე კობალავა - თბილისის თავისუფალი აკადემიის ვიცე რექტორი;

ეკატერინე ლაფაჩი - თბილისის თავისუფალი აკადემიის პროფესორი

**ტექნიკური რედაქტორი:**
მარიამ სიხარულიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი.

**გრაფიკული დიზაინერი:**
სოფიკო ალფაიძე.

**სარედაქციო კოლეგია:**
მარინა გუნარე - ბალტიის საერთაშორისო აკადემიის ასოცირებული პროფესორი (ლატვია);

ლიუდმილა შიმანოვსკაია - პოლტავას ეკონომიკისა და კომერციის უნივერსიტეტის სრული პროფესორი (უკრაინა);

გოგიტა თოდრაძე - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი (საქართველო);

ანზორ აბრალავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო);

მეგი მანდარია - თბილისის თავისუფალი აკდემიის ასოცირებული პროფესორი (საქართველო);

ანჟელა აბულაძე - თბილისის თავისუფალი აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი (საქართველო);

მაია ვასაძე - თბილისის თავისუფალი აკადემიის ბინესის ადმინისტრირებისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილე, ასისტენტ პროფესორი (საქართველო).



© ყველა უფლება დაცულია “თბილისის თავისუფალი აკადემია“ 2022



საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „აკადემლაბი“, გამოიცემა წელიწადში ერთხელ. აღნიშნულ ჟურნალში წარმოდგენილი იქნება საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წამყვანი მეცნიერების და სპეციალისტების კვლევები და პრაქტიკული მუშაობის შედეგები.
ჟურნალი დაიბეჭდა “ბარტონი“

# PROCEEDINGS OF THE INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE


## Editor-in-Chief:

Salome Pirvely – Free Academy of Tbilisi, Rector.

**Deputy Editor-in-Chief:**

Eter Kharaishvili - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor;

Guliko Erkomaishvili - Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor;

Marine Kobalava - Free Academy of Tbilisi, Vice Rector;
Ekaterine Chinchaladze - Academic Doctor of Psychology;

Ekaterine Lapachi - Professor of Free Academy of Tbilsi.

## Technical Editor:

Mariam Sikharulidze - Head of Public Relations.

## Graphic designer:

Sopiko Alpaidze.

## Editorial Board:

Marina Gunare - Associate Professor at the Baltic International Academy (Latvia);

Liydmila Shymanovska - Dianich - Full Professor at Poltava University of Economics and Trade (Ukraine);

Gogita Todradze - National Statistics Office of Georgia, CEO (Georgia);

Anzor Abralava - Georgian Technical University, Associate Professor (Georgia);

Maggie Mandaria - Free Academy of Tbilisi, Associate Professor (Georgia);

Anzhela Abuladze - Free Academy of Tbilisi, Head of Quality Manage-ment Service (Georgia);

Maia Vasadze - Free Academy of Tbilisi, School of Business Adminis-tration and Social Sciences, Deputy Dean (Georgia).


© All rights reseved “Free Academy of Tbilisi“ 2022 International Refereed Scientific Journal “ACADEMLAB“ is issued once a year. The journal involves the results of the researches and practical works of scientists and specialists from Georgia and other countries as well.
The magazine was published “Barton“

# შინაარსი


1. **სალომე პირველი, მარიამ სიხარულიძე**
ადამიანი და სამართალი 11

2. **სალომე პირველი, მარინე კობალავა, ანჟელა აბულაძე, სოფიკო ალფაიძე, მარიამ სიხარულიძე**
Benchmarking 1 (საერთაშორისო და რეგიონალური მასშტაბით) 15

3. **მარინე კობალავა, ანჟელა აბულაძე, მაია ვასაძე, სოფიკო ალფაიძე, ნინი ჩაჩხიანი**
Benchmarking 2 (საერთაშორისო და რეგიონალური მასშტაბით) 22

4. **ემზარ კაკულია**
ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მიზეზები და მისი შენარჩუნების პერსპექტივები საქართველოში 26

5. **თამარ დევიძე, თეკლა ოდილავაძე**
მასმედიის წარმომადგენელთა საქმიანობა 31

6. **ქეთევან ჭიაბრიშვილი, ბადრი მახარაძე**
კრიზისების მართვა და ეკონომიკური მოვლენები საქართველოში 35

7. **ქეთევან ჭიაბრიშვილი, საბა გასიშვილი, მალხაზ ტერმაკოზაშვილი**
ციფრული ეკონომიკის მნიშვნელობა და პერსპექტივები 43

8. **ქეთევან ჭიაბრიშვილი, დავით წაქაძე, ნიკოლოზ ზაზიაშვილი**
მწვანე ეკონომიკის წანამძღვრები და მისი რამდენიმე მნიშვნელობა 49

9. **ქეთევან ჭიაბრიშვილი, ლაშა აბულაძე, დავით ლეჟავა**
საინვესტიციო გარემოს მართვა 56

10. **ქეთევან ჭიაბრიშვილი, ლაშა მღებრიშვილი**
ეკონომიკური უსაფრთხოების პროექცია 60

11. **ისაკო (რამაზ) მეფარიშვილი**
ვაჟა-ფშაველას ესთეტიკური გააზრებისათვის 66

12. **მაია ბლიაძე, ნინო ფეტვიაშვილი, ნონა პოპიაშვილი**
რატომ არის მნიშვნელოვანი განათლება მდგრადი განვითარებისთვის? 71

13. **მეგი მანდარია**
ბრიტანული თუ ამერიკული ინგლისური 78

14. **ეკატერინე ლაფაჩი**
საქართველოს სარეგისტრაციო სისტემა და მისი ადგილი მსოფლიოს სარეგისტრაციო სისტემებს შორის 82

15. **ნინო მახარაძე**
საქართველოს ბუნებრივი რესურსების და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია (გამაჯანსაღებელ კურორტ ბიოლის მაგალითზე) 87

16. **ალექსანდრე ჯავახიშვილი**
თაღლითობის ჩადენის ძირითადი ხერხი 91

17. **სალომე გულიაშვილი**
არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის გამოყენებამდე გასათვალისწინებელი საკითხები ეროვნული კანონმდებლობის თანახმად 96

18. **ნანა ქირია**
ენიგმა ზვიად გამსახურდიას იგავში „სასწორთვალა და უწონადი ხმის ჭაბუკი.“ 105

19. **ზურაბ ბაღაშვილი**
ტექსტის კომენტირების პრინციპები სკოლაში ილიას ,,აჩრდილის“ მაგალითზე 116

20. **Anzhela abuladze**
Challenges of Higher Education of Ethnic Minorities 122

# Content


1. **Salome Pirvely, Mariam Sikharulidze**
   Human being and Law 11

2. **Marine Kobalava, Salome Pirvely, Anzhela Abuladze, Sopiko Alpaidze, Mariam Sikharulidze**
   Benchmarking 1 (internationally and regionally) 15

3. **Marine Kobalava, Anzhela Abuladze, Maia Vasadze, Sopiko Alpaidze, Nini Chachkhiani**
   Benchmarking 2 (internationally and regionally) 22

4. **Emzar kakulia**
   Reasons for double-digit economic growth and its maintenance Prospects in Georgia 26

5. **Tamar Devidze. Tekla Odilavadze**
   Activities of mass media representatives 31

6. **Ketevan Chiabrishvili, Badri Makharadze**
   Crisis management and economic events in Georgia 35

7. **Ketevan Chiabryshvili, Saba Gasishvili, Malkhaz Termakozashvili**
   Importance and prospects of digital economy 43

8. **Ketevan Chiabrishvili, Davit Tsakadze, Nikoloz Zaziashvili**
   Principles of green economy and some of its implications 49

9. **Ketevan Chiabrishvili, Lasha Abuladze, David Lezhava**
   Investment environment management 56

10. **Ketevan Chiabrishvili, Lasha Mgebrishvili**
    Projection of Economic Security 60

11. **Isako (Ramaz) meparishvili**
    For the aesthetic understanding of Vazha-Pshavela 66

12. **Maia Bliadze, Nino Petviashvili, Nona Popiashvili**
    Why is education important for sustainable development? 71

13. **Maggie Mandaria**
    British or American English 78

14. **Ekaterine Lapachi**
    Registration system of Georgia and its place among the registration systems of the world 82

15. **Nino Makharadze**
    Promotion of Natural resources and cultural heritage of Georgia (using the example of the health resort of Bioli) 87

16. **Alexandre Javakhishvili**
    The main method of committing fraud 91

17. **Salome Guliashvili**
    Issues to consider before applying detention to minors under national legislation 96

18. **Nana Kiria**
    Enigma in Zviad Gamsakhurdia›s fable «The Scale and the Weightless Young Man.» 105

19. **Zurab Baghashvili**
Principles of text commenting on the example of Ilya›s «Phantom» at school 116

20. **Anzhela abuladze**
Challenges of Higher Education of Ethnic Minorities 122

# ადამიანი და სამართალი

**სალომე პირველი[1] მარიამ სიხარულიძე[2]**

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორი, სამართლის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, spirveli@freeacademy.edu.ge, spirveli111@yahoo.com
[2]თბილისის თავისუფალი აკადემიის საზოგადობასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, msikharulidze@freeacademy.edu.ge

**აბსტრაქტი**

სამართალი, ეს არის ქცევის წესების სავალდებულო სისტემა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ადამიანთან. ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად ვითარდება სამართალიც. ძალზედ საინტერესოა მისი განვითარების ეტაპები, ახალი მიმართულებები და ის მნიშვნელოვანი კანონები თუ კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოებში სხვადასხვა სფეროებს. დროსთან ერთად ფართოვდება და ვითარდება სამართლის არსი და მნიშვნელობა. 21 - ე საუკენეში ძალიან მარტივია გქონდეს წვდომა სამართალზე, იყო კანონმორჩილი მოქალაქე და მიჰყვე იმ წესებსა და ნორმებს, რომლებიც არის დადგენილი საკანონმდებლო ორგანოს მიერ. ადრეულ პერიოდში ადამიანებს დიდი ძალისხმევა სჭირდებოდათ, რომ წაეკითხათ სამართლებრივი ნორმის განმარტება, მიეღოთ ინფორმაცია კვალიფიციური იურისტის შესახებ/ მოეძებნათ შესაბამისი დამხმარე პირი კონსულტაციისათვის, რამეთუ არ იყო საინფორმაციო რესურსი და არ იყო ამ რესურსზე წვდომა, თუმცა მიმდინარე მდგომარეობით გამარტივდა ადამიანის და სამართლის კვეთა, მათი ჰარმონია და ყოველდღიურობაში მათი გამოყენება. გამარტივდა ინფორმაციის მიღბის საშუალებები, გაჩნდა პლატფორმები, სადაც დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერ პირს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია. გამარტივდა ფორმა სამართლისა და მისი გაგებისა და ის ძალიან დაუახლოვდა ადამიანს. მათი ასეთი დაახლოება კი დროთა განმავლობაში გამოიწვია საზოგადების განვითარებამ, კერძოდ კი პროცესმა, რომელმაც ცხადყო, რომ კანონი და სამართალი უნდა ყოფილიყო დაწერილი, რამეთუ სწორედ დაწერილ კანონსა და სამართალზე დგას სახელმწიფოში წესრიგი. აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამართალი გამომდინარეობს ადამიანებისაგან, ექვემდებარება ადამიანებს, ზემოქმედებს ადამიანებზე და განუსაზღვრას მათ ქცევის წესებს.

**საკვანძო სიტყვები:** დრო, ცივილიზაცია, სახელმწიფო, ადამინია, სამართალი, წესები, კანონები, საგანმანათლებლო სივრცე, რეალობა, პრობლემა, ქცევა, ჰარმონია.

უმნიშვნელოვანესია სამართლის ფილოსოფია, მისი გაგება, შემეცნება და ქცევის წესამდე დაყვანა, რადგანაც სამართლის ძირითადი არსი სწორედ ისეთი გარემოს შექმნაა, სადაც თითოეული ადამიანი იქნება დაცული, მისი უფლებები გარანტირებული და სადაც ადამიანი შეძლებს თვითრეალიზებას. სამართალი დგინდება გარკვეული ადამიანების ჯგუფის მიერ და შემდგომში სავალდებულო ხდება შესასრულებლად, გასათვალისწინებლად, რადგანაც კანონს ქმნის სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო - პარლამენტი, ხოლო პარლამენტს კი წარმოადგენენ

ადამიანები. ცნობილი გერმანელი ავტორი ფრიდრიხ კარლ ფონ სავინი ამბობდა, რომ: „კანონი იზრდება ხალხთან ერთად, ეფუძნება ხალხს და ქრება, როგორც კი ხალხი კარგავს საკუთარ ინდივიდუალურობას.“

თუკი ადამიანი გვერდს აუვლის სამართალს, რთული წარმოსადგენი იქნება რა შეიძლება მოჰყვეს მას. სამართლებრივად რომ წარმოვიდგინოთ, ადამიანი თავისუფალია იმდენად, რამდენადაც კანონი აძლევს მას ამის საშუალებას, რამეთუ თითოეულმა ადამიანმა წინასწარ იცის თუ რა შეიძლება მოჰყვეს მის საქციელს, ქმედებას, რა ჩაითვლება კანონიერ საქციელად და რა არა. შესაბამისად, ადამიანი მის გადაწყვეტილებებში კი თავისუფალია, თუმცა ეს თავისუფლება არ უნდა კვეთდეს სამართლის პრინციპებს, დადგენილ ნორმებს, რაც სავალდებულოა შესასრულებლად.

კანონი არის სახელმწიფოს ის ბერკეტი, ის რეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა უფლებების დაცვას და სახელმწიფოში წესრიგის შენარჩუნებას და უწესრიგობის, ქაოსისა და ანარქიის პრევენციას. თუ არ იქნება კანონი, მაშასადამე ვერ იქნება სამართალი, ვერ იქნება სასამართლო და ვერ აღსდგება მართლმსაჯულება. სამართალს სჭირდება კანონი, კანონს კი ადამიანი და სწორედ მაშინ იქნება თადარიგი, ბმა, შინაარსი. თუმცა აქვე სხვადასხვა ფილოსფოსების ნააზრევიც შეგვიძლია მოვიყვანოთ. ასე მაგალითად: „კანონი არ იძლევა სიცოცხლეს“ - ამბობს მერაბ მამარდაშვილი და ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ „ადამიანი არის ემპირიული არსება“, და რომ თავად უნდა შეიგრძნოს, თავად გამოსცადოს იმისთვის, რომ შეიმეცნოს რამე და ამდენად „გამთლიანდეს“. მისივე აზრით ადამიანი სხვის აზრს შინაგანად ვერ დაეთანხმება ისე, რომ ეს აზრი არ მომდინარეობდეს მისი გამოცდილებიდან, რადგანაც ასეთ შემთხვევაში მონა ხდება ამ გარე წესისა და ამით მიდის საკუთარი ბუნების საწინააღმდეგოდ. ამავე დასკვნით შეგვიძია ვთქვათ, რომ არსებობს სამი ძირითადი ფაქტორი. პირველი - მორჩილება, როდესაც ადამიანს უპირობოდ აქვს არჩეული მიჰყვეს დაწესებულ წესებს. ის არ შედის ამ წესების რევიზიაში, ის უბრალოდ ემორჩილება მას, მისთვის ეს სავალდებულოდ შესასრულებელია ეთანხმება თუ არ ეთანხმება მას. მეორე - თავისუფლება, როდესაც ადამიანი თავისუფალია თავის ფიქრებში, მას არ და ვერ ბოჭავს სამართალი, წესები, ნორმები, ადათები, ჩვეულებები. ის სწორედ ამ თავისუფლებით ებრძვის ყველაფერს რაც მის წინაშეა და მისი თავისუფლების საზომი მისივე შეგნება და ტვინია. მესამე - შეგნება, როდესაც ადამიანი სრულ ჰარმონიაშია მისივე სხეულში არსებულ „მესთან“, როდესაც სრულად იცის ვინ არის „მე“, რომელიც უპირობოდ სამართლიანია, რადგანაც ეს მის შიგნით არსებული წესებია და მათ შორის არის სრული სამართლიანობა. რთულია გაიგოს ადამიანმა, მაგრამ თითოეული ადამიანი კვეთს ამ წერტილებს, თუმცა ზოგი აღიქვავს მას და ზოგიც ვერა. სწორედ ამიტომაც შესაძლებელია ვთქვათ, რომ სწორედ აქ იბადება ან იკარგება სამართალი. ინდური მითოლოგიის თანახმად ყველა ადამიანი ღმერთია, ყველა ადამიანში არის ღმერთი და სწორედ ამიტომ თითოეულმა ადამიანმა უნდა შეძლოს სამართლიანობის იმგვარი გაგება, რომელიც უფრო მეტად მიაახლოებს მას ძირითად პრინციპებთან, ფასეულობებთან და გაითავისებს, რომ თითოეულ ჩვენგანში

ცხოვრობს უკეთესი „მე“ ანუ სამართლიანი „მე“.
მნიშვნელოვანია ერთი რამ, რომ ადამიანებმა შექმნან სამართლებრივი სახელმწიფო ნებისმიერ რეალობაში და ნებიემიერ ადგილას სადაც არ უნდა იქმნებოდეს ის. ეს გულისხმობს, რომ ის უნდა შედგებოდეს რამოდენიმე ძირითადი კომპონენტისაგან: პირველი - სახელმწიფო უნდა იდგეს ადამიანების სადარაჯოზე, ანუ ემსახურებოდეს ადამიანებს. მეორე - სახელმწიფო უნდა იყოს კანონმორჩილი და მას არ უნდა ჰქონდეს თვითნებობის გამოვლინებები და მესამე - სახელმწიფოში უნდა იქმნებოდეს რაციონალური კანონები და შემდეგ კი იმართებოდეს ამავე რაციონალური კანონების საფუძველზე.

შესაძლებელია ითქვას, რომ სამართალი/სამართლიანობა ცოცხალი ორგანიზმია და მისი შეგრძნებაც ადამიანისათვის ასეთივე მნიშვნელოვანი და აუცილებელია. გერმანელი მწერალი, მოაზროვნე და სახელმწიფო მოღვაწე იოჰან ვოლფგანგ გოეთე წერდა: „მე თავი მაქვს გაყოფილი ზეცაში, მყარად ვდგავარ მიწაზე, ხიდი ვარ ორ სამყაროს შორის და ამით ვარ ადამიანი“, ანუ ადამიანის ვალია შექმნას სამართლიანი სამართალი. ხაზგასასმელია, რომ სამართალი ვერ იარსებებს ისეთ სამყაროში, ისეთ მოცემულობაში და ისეთ რეალობაში, რომელშიც არ არსებობენ განვითარებული ფსიქიკის მქონე ცოცხალი ორგანიზმები. სწორედ ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანებმა უნდა იმსჯელონ კანონებზე, დაწერონ კანონები, დაადგინონ კანონები, რამეთუ სწორედ აქ ევლება პარალელები უსამართლობისა და სამართლიანობის სუბიექტურ აღქმა - გააზრებას და მის დაკავშირებას ჩვენს შიგნით არსებულ „მე“- სთან.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. დგებუაძე, ა. ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“ მე-2 ნომერი;
2. https://www.myadvokat.ge/ka/blog/10560/samartali-da-samartlianoba
3. https://www.advokat.ge;
4. https://taoba.org.ge

# Human being and Law

**Salome Pirvely[1] Mariam Sikharulidze[2]**

[1]Rector of Free Academy of Tbilisi, Doctor of Law, Professor, spirveli@freeacademy.edu.ge, spirveli111@yahoo.com
[2]Head of Public Relations Service of Free Academy of Tbilisi, msikharulidze@freeacademy.edu.ge

**Abstract**

Law is a mandatory system of rules of conduct that is directly related to a person. Along with the development of civilization, law also develops. Very interesting are the stages of its development, new directions and those important laws or by-laws that regulate various fields in the states. With time, the essence and meaning of law expands and develops. In the 21st century it is very easy to have access to justice, be a law abiding citizen and follow the rules and norms that are set by the legislature. In the early period people needed a lot of effort to read the definition of a legal norm, to get information about a qualified lawyer/to find an appropriate support person for consultation, because there was no information resource and there was no access to such resource. The means of obtaining information have been simplified, platforms have appeared where any person can receive any kind of information if interested. The form of the law and its understanding was simplified and it became very close to a person, and such a rapprochement was caused by the development of society over time. In particular, the process that made it clear that the legislation and the law should be written, because it is on the written legislation and the law that the order in the state stands. Therefore, we can safely say that law originates from people, is subject to people, affects people and determines the rules of their behavior.

**Key words:** time, civilization, state, humanity, law, rules, laws, educational space, reality, problem, behavior, harmony.

# Benchmarking 1

(საერთაშორისო და რეგიონალური მასშტაბით)

**სალომე პირველი[1], მარინე კობალავა[2], ანჟელა აბულაძე[3], სოფიკო ალფაიძე[4], მარიამ სიხარულიძე[5]**

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორი, სამართლის სამართლის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

[2]თბილისის თავისუფალი აკადემიის ვიცე რექტორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

[3]თბილისის თავისუფალი აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი განათლების მეცნიერებათა დოქტორანტი

[4]თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი

[5]თბილისის თავისუფალი აკადემიის საზოგადობასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი

**აბსტრაქტი**

Benchmarking-ისათვის განხორციელდა კონკრეტული უნივერსიტეტების, სასწავლო უნივერსიტეტების, კოლეჯების ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების თანხვედრა და რელევანტურობა თბილისის თავისუფალ აკადემიასთან. აკადემიური მდგრადობის შესაფასებლად ასევე განხორციელდა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეფასება და ასევე, სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასება. Benchmarking-ის პროცესში განისაზღვრა მოცემულ უნივერსიტეტთა პროგრამების რაოდენობა, მათი ლოკაციები, სტუდენტთა რაოდენობა, რაც ასევე მნიშვნელოვან ელემენტად განისაზღვრა დადარების პროცესში. ბენჩმარკინგის ერთ-ერთ უმთავრეს კონცეფცია იყო თითოეული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის იდენტიფიცირება და თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგებთან მისი დადარება. აგრეთვე არსებული კვლევის გამოყენებით დადგინდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა და მისი პოპულარიზაცია და ისევ მზარდი მოთხოვნა კონკრეტულ ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობაზე. ბაზარი გაჯერებულია ამ სპეციალობაზე მოთხოვნით, ხოლო დარგის კვალიფიციურ სპეციალისტთა განსაზღვრა ინსტიტუციის პრეროგატივაა. ასევე ამ კვლევით და Benchmarking-ით დადასტურდა ბიზნესის ადმინისტრირების პრივილეგირებული პოზიცია საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. ვინაიდან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება აკუმულირდება მრავალფეროვან, უახლეს სტანდარტებზე დაფუძნებულ კურიკულუმზე და შესაბამის სასწავლო კურსებზე, რომელშიც მოიაზრება ისთი თანამედროვე და მრავალპროფილური კურსები, როგორიცაა კრიტიკული აზროვნების საფუძვლები, მარკეტინგის მენეჯმენტი, მცირე და საშუალო ბიზნესი, ლიდერობა და ა.შ. რაც თანხვედრაში აღმოჩნდა Benchmarking-ის

პროცესში. და ბოლოს, კვლევითაც დადასტურდა, რომ რეგიონალურ მასშტაბით და ასევე საერთაშორისო დონეზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი მიმართულება, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, არსებული მიზნებით, შედეგებითა და იმ სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით, რომლებიც უახლესი და მოთხოვნადია არსებულ საგანმანათლებლო ბაზარზე.

**საკვანძო სიტვები**: Benchmarking, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ბიზნეს-გარემო

Benchmarking-ი ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და Bench-ი ნიშნავს დონეს, სიმაღლეს, ხოლო Benchmarking-ი  წარმოადგენს მეთოდოლოგიას, რომელიც მიმართულია ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზზე. განათლებაში გაზომვის ეროვნული საბჭოს თანახმად განისაზღვრა, რომ საორიენტაციო შეფასებები არის მოკლე შეფასებები, რომლებსაც იყენებენ სასწავლო წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს პროგრესის მონიტორინგისთვის. Benchmarking-ის გზით განხორციელდა რამდენიმე საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირება, რაც ორიენტირებულია ინსტიტუციის საუკეთესო გამოცდილების გასაზიარებლად და გასააზრებლად უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ლიდერი პოზიციის დასაკავებლად. 2021/2022 წელს თბილისის თავისუფალმა აკადემიამ განახორციელა Benchmarking-ი, რომელმაც მოიცვა შესაბამისი საგანმანათლებლი სივრცე.

Benchmarking-ის უპირველეს მიზანს წარმოადგენს კონკურენტუნარიანი გარემოს დადგენა და შეფასება. შესაბამისად, Benchmarking-ით განხორციელდა  ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება რეგიონალური და საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. Benchmarking-ი მოიაზრებს კონკურენტების წარმატებული გამოცდილების შესწავლას პროცესების ოპტიმიზაციისათვის.  Benchmarking-ი შესრულდა ორ ძირითად ეტაპად:
<u>პირველ ეტაპზე</u> განხორციელდა „რეაქციის მოდელების შეფასება“ და იმ კონკურენტების შერჩევა, რომელთა Benchmarking-ის ანალიზის შედეგად დადგინდა კონკურენტუნარიანი სტრატეგიების შეფასების შესაძლებლობები მათი საუკეთესო გამოცდილების გასაზიარებლად.
Benchmarking-ის პირველივე ეტაპზე Benchmarking-ის ჩატარების მიზნით შერჩეულ იქნა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები შემდეგი ძირითადი პრინციპით:

I. რეიტინგებით გაზომილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები პირველი ათეულიდან
II. საერთაშორისო პარტნიორი უსდ-ები

რეიტინგებით გაზომილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები პირველი ათეულიდან
Benchmarking-ისათვის შეირჩა რეიტინგებით გაზომილი უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებები პირველი ათეულიდან. სამი სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი ათეულიდან: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; ხოლო კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების Benchmarking-იც რეიტინგების პირველი ათეულიდან განხორციელდა: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი და ევროპის უნივერსიტეტი. Benchmarking-ი ასევე ჩატარდა ინსტიტუციური თანამშრომლობის ფარგლებში საერთაშორისო პარტნიორებთანაც: Vytautas Magnus University - ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტი და University of Zagreb - ზაგრების უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტების რეიტინგი გაიზომა Webometrics - ით უნივერსიტეტების საერთაშორისო სარეიტინგო სისტემის მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით: https://www.webometrics.info/en/europe/georgia%20

I. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
II. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
III. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

კონკურენტული უპირატესობით და რეიტინგით პირველი, ლიდერი საგანმანათლებლო სივრცეში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) შეფასდა და ერთადერთი უნივერსიტეტია საქართველოდან, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 1,5%-ში შედის. U.S.News&World Report-ის 2020 წლის რანჟირებაში (Best Global University Ranking) თსუ 322-ე ადგილს იკავებს. გარდა ლიდერი კონკურენტული უპირატესობისა მნიშვნელოვანია Benchmarking-ით დადგენილი ვალიდურობა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის შესაბამისი საბაკალავრო საგანმანათლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის ხანგრძლივობა, საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა, პროგრამის მოცულობა კრედიტებით, კრედიტების სისტემის მოქნილობა, რომელიც ამავდროულად, ამარტივებს მობილობის ხელშეწყობას ისეთი წინააღმდეგობების დაძლევით, რაც აპრიორი ხელს უშლის სტუდენტთა თავისუფალ გადაადგილებას არის ავთენტური აკადემიისათვის. ყოველივე ზემოთთქმული კი ბოლონიის პროცესებით განსაზღვრულ დეკლარაციას უწყობს ხელს.

ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის სპეციფიკის ერთსაფეხურიანი კვალიფიკაციებისათვის საუკეთესო გამოცდილების იდენტიფიცირებისათვის მოძიებულ და დარებულ იქნა რეიტინგით მეორე უსდ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის შესაბამისი საბაკალავრო საგანმანათლო პროგრამა. საინტერესო გახდა უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრომოციო და მისი გამოცდილების გაზიარება. გაანალიზებულ იქნა ის ქმედებები და პროცესები, რომლითაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი Webometrics - უნივერსიტეტების საერთაშორისო სარეიტინგო სისტემის მიხედვით რეიტინგებით გაზომილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მეორე ადგილზე გავიდა უმოკლეს ვადაში. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ უსდ-მ განახორციელა და შესაბამისობაში მოიყვანა სტანდარტის მთელი რიგი კომპონენტები,

გააძლიერა სუსტი მხარეები, გაიზიარა საერთაშორისო გამოცდილებები რამაც საუკეთესო შედეგზე გაიყვანა.

წარმატებული გამოცდილების გასაზიარებლად მნიშვნელოვანი იყო შეგვეფასებინა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის შედეგები 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მიხედვით, ვაკანტური ადგილების შევსების მაჩვენებლის შესაბამისად, თავისი პროფილის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს შორის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მეორე ადგილს იკავებდა. აქვე მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ თავისი პროფილი გულისხმობს იმას, რომ არ შეიძლება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი კონკურენციაში განვიხილოთ სამედიცინო, სამხატვრო, მუსიკალური პროფილის მქონე უმაღლესი სასწავლებლებთან. ილიაუნი ასევე ლიდერულ პოზიციებზე იყო აბიტურიენტების არჩევანის მიხედვითაც - აბიტურიენტთა რეგისტრაციის მაჩვენებლების მიხედვით, პირველ არჩევანად ყველაზე პოპულარული ილიაუნის ბიზნესის, სამართლის, ფილოსოფიის, ქართული ფილოლოგიისა და ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამებია. ილიაუნის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის არსებულ მსგავს პროგრამებში, აბიტურიენტთა პირველი არჩევანის მიხედვით, პირველ ადგილზეა. მხოლოდ Webometrics - უნივერსიტეტების საერთაშორისო სარეიტინგო სისტემის მიხედვით https://www.webometrics.info/en/europe/georgia%20 მონაცემებით ისევ ლიდერ პოზიციებზე და მესამე ადდგილზეა.

2. საერთაშორისო პარტნიორი უსდ-ები

1) Benchmarking-ი განხორციელდა საერთაშორისო პარტნიორი უმაღლეს სასწავლებლებში. საერთაშორისო პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლებიდან ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი საერთაშორისო ბიზნეს სკოლების სარეიტინგო ორგანიზაცია Eduniversal-მა აღიარა და შეაფასა, როგორც შესანიშნავი ბიზნეს სკოლა და გადასცა 3 პალმის ჯილდო, რაც ნიშნავს, რომ ფაკულტეტი შეესაბამება მსოფლიოს 700 საუკეთესო ბიზნეს სკოლას.
   აქვე აღსანიშნავია, რომ Eduniversal-ის ბიზნეს უნივერსიტეტის რეიტინგის მიზანია ობიექტურად შეადაროს ბიზნესისა და მენეჯმენტის სკოლები მთელს მსოფლიოში. Eduniversal იყენებს პალმების რეიტინგის სისტემას, რათა შეაფასოს 1000 ბიზნეს სკოლა მსოფლიოს 154 ქვეყნიდან. პალმებისა და რეიტინგების კლასიფიკაციის შერჩევის მეთოდოლოგია ეფუძნება თითოეული ბიზნეს სკოლის გავლენას სამ დონეზე: საერთაშორისო აღიარება, რომელიც განისაზღვრება აკრედიტაციებით, წევრობითა და საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი რეიტინგებით; საერთაშორისო ცნობიერება, რომელიც განისაზღვრება დეკანებისა და დირექტორების ხმებით და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის წევრების წინადადებები.
   Benchmarking-ით დადგინდა, რომ ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტისა და თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამებს შორის მსგავსებაა დასაქმების არეალში: ორივე უსდ -ს პროგრამის ფარგლებში სტუდენტების პოტენციური დასაქმების არეალს კერძო და საჯარო სექტორი და ბიზნეს-გარემო წარმოადგენს.
   https://www.vdu.lt/en/study/program/overview/296/

https://www.vdu.lt/en/faculty-of-economics-and-management-was-ranked-by-eduniversal/

2) უნივერსიტეტების რეიტინგების ყოველწლიური გამოცემით ზაგრების ეკონომიკისა და მენეჯმენტის სკოლა მოხვდა TOP 200-ში QS Global MBA Rankings 2020-ში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის პოზიციას, როგორც ჭეშმარიტად საერთაშორისო სკოლას, რომელიც აღიარებულია მსოფლიოში.

   რეიტინგის შედეგები შედგენილია დასაქმების (40%), მეწარმეობისა და კურსდამთავრებულების შედეგების (15%), ინვესტიციის ანაზღაურების (20%), აზროვნების ლიდერობის (15%), მრავალფეროვნების (10%) საფუძველზე.

   ზაგრების უნივერსიტეტის პროგრამის პრინციპების მსგავსად, თთა-ს პროგრამის პრინციპით სტუდენტები ეუფლებიან თეორიული და პრაქტიკული ცოდნის რეალიზაციის მექანიზმებს, ბიზნეს-ანალიტიკის უნარებს და კრიტიკული აზროვნების მეთოდებს. კურიკულუმის თვალსაზრისით, თანმხვედრებია რიგ სასაწვლო კურსებში: ორივე პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ეუფლებიან სტატისტიკის მეთოდებს, ბიზნეს-ინგლისურს, მიკრო და მაკროეკონომიკის საფუძვლებს, სტრატეგიულ მენეჯმენტს, მარკეტინგს და სხვა.

   https://www.efzg.unizg.hr/default.aspx?id=10661

   https://zsem.hr/en/novosti/zsem-among-top-200-in-the-world-and-top-60-in-europe/

<u>მეორე ეტაპზე</u> განისაზღვრა კონკურენტთა ძირითადი სტრატეგიები. შეფასდა კონკურენტთა საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამის საჭიროებები და ასევე, განხორციელდა ევროპული განზომილებების იდენტიფიცირება კურიკულუმის დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევის დონეების გასაანალიზებლად. შესაბამისად, მოხდა თბილისის თავისუფალი აკადემიის აკრედიტირებული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დადარება თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუციების ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან. მეორე ეტაპის ფარგლებში Benchmarking-მა მოიცვა ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო და რეგიონალური ინსტიტუციების ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და შედეგების დადარება და აკუმულირება, რათა დაგვედგინა შრომის ბაზრისათვის ყველაზე რელევანტურ და ფუნდამენტურ კომპეტენციებში კონკურენტთა არსებული გამოცდილების შეფასება გაზიარების მიზნით. მათი შესაბამისობა თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან. ბენჩმარკინგი მოიცავს ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით შესაბამისი კრიტერიუმის დადარებას საერთაშორისო და აგრეთვე, რეგიონალური მასშტაბით.

ამავდროულად, Benchmarking-ის შესრულების გაზომვა მოხდა კონკრეტული ინდიკატორის გამოყენებით, რათა დაგვედგინა წარმოდგენილი უნივერსიტეტების, სასწავლო უნივერსიტეტების, კოლეჯების ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების თანხვედრა და

რელევანტურობა თბილისის თავისუფალ აკადემიასთან. აკადემიური მდგრადობის შესაფასებლად განხორციელდა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეფასება და ასევე, სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასება. Benchmarking-ის პროცესში ასევე, განისაზღვრა მოცემულ უნივერსიტეტთა პროგრამების რაოდენობა, მათი ლოკაციები, სტუდენტთა რაოდენობა, რაც ასევე მნიშვნელოვან ელემენტად განისაზღვრა დადარების პროცესში. რეიტინგით ლიდერი ინსტიტუციების Benchmarking-ის მონაცემები ასახულია ქვემოთ მოცემულ დანართში. ბეჩმარკინგის ერთ-ერთ უმთავრეს მისიას წარმოადგენდა, რომ განგვესაზღვრა თითოეული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები და დაგვედგინა მათი შესაბამისობა თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან, აგრეთვე დაგვედგინა წარმოდგენილი უნივერსიტეტების ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა, რათა დაგვედგინა ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის მოთხოვნის მაჩვენებელი. Benchmarking-ით დადასტურდა ბიზნესის ადმინისტრირების პრივილეგირებული პოზიცია საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. ვინაიდან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება აკუმულირდება მრავალფეროვან, უახლეს სტანდარტებზე დაფუძნებულ კურიკულუმზე და შესაბამის სასწავლო კურსებზე, რომელშიც მოიაზრება ისთი თანამედროვე და მრავალპროფილური კურსები, როგორიცაა კრიტიკული აზროვნების საფუძვლები, მარკეტინგის მენეჯმენტი, მცირე და საშუალო ბიზნესი, ლიდერობა და ა.შ. რაც თანხვედრაში აღმოჩნდა Benchmarking-ის პროცესში.
Benchmarking-ი განხორციელებული ანალიზი მოცემულ დანართში არის წარმოდგენილი. დანართი შეიცავს ინფორმაცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ლოკაციაზე, პროგრამათა რაოდენობაზე, სტუდენტთა რაოდენობა და სხვა. შედეგების გაანალიზებით კი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი მიმართულება, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, არსებული მიზნებით, შედეგებითა და იმ სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით, რომლებიც უახლესი და მოთხოვნადია არსებულ საგანმანათლებლო ბაზარზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. https://www.vdu.lt/en/study/program/overview/296/
2. https://www.vdu.lt/en/faculty-of-economics-and-management-was-ranked-by-eduniversal/
3. https://www.webometrics.info/en/europe/georgia%20

# Benchmarking 1

(internationally and regionally)

**Marine Kobalava[1], Salome Pirvely[2], Anzhela Abuladze[3], Sopiko Alpaidze[4], Mariam Sikharulidze[5]**

[1]Vice Rector of Tbilisi Free Academy, Academic Doctor of Economics
[2]Rector of Tbilisi Free Academy, Doctor of Law, Professor
[3]Head of quality management service of the Free Academy of Tbilisi, Ph.D. student of educational sciences
[4]Bachelor of Business Administration and Social Sciences of Tbilisi Free Academy
[5]Head of Public Relations Department of Tbilisi Free Academy

**Abstract**

For benchmarking, the consistency and relevance of the mandatory courses of the undergraduate business administration educational program of specific universities, educational universities, colleges with the Tbilisi Free Academy was carried out. In order to assess the academic sustainability, an assessment of the professional development opportunities of academic, scientific and invited staff was also carried out, as well as an assessment of the development opportunities of teaching quality. During the benchmarking process, the number of university programs, their locations, and the number of students were determined, which was also determined as an important element in the bidding process. One of the key concepts of benchmarking was to identify the relevance of the objectives and learning outcomes of each university's undergraduate business administration educational program and to compare it with the objectives and learning outcomes of Tbilisi Free Academy's undergraduate business administration educational program. Also, using the existing research, the relevance of the undergraduate business administration educational program and its promotion and the growing demand for a specific business administration specialty were determined. The market is saturated with demand for this specialty, and the determination of qualified specialists in the field is the prerogative of the institution. Also, with this research and benchmarking, the privileged position of business administration in the international higher education space was confirmed. Since the business administration major accumulates on a diverse, state-of-the-art curriculum and relevant courses, including such modern and multi-disciplinary courses as fundamentals of critical thinking, marketing management, small and medium business, leadership, etc. What was found in the Benchmarking process. Finally, it has been proven by research that regionally and also internationally, we can conclude that the Bachelor of Business Administration educational program is one of the leading areas that meets all requirements, with existing goals, outcomes, and mandatory and optional courses that are the latest and most up-to-date. It is in demand in the current educational market.

**Key words:** Benchmarking, higher education institution, business environment

# Benchmarking 2

## (საერთაშორისო და რეგიონალური მასშტაბით)

**მარინე კობალავა[1], ანჟელა აბულაძე[2], მაია ვასაძე[3], სოფიკო ალფაიძე[4], ნინი ჩაჩხიანი[5]**

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ვიცე რექტორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
[2]თბილისის თავისუფალი აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი განათლების მეცნიერებათა დოქტორანტი
[3]თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილე
[4]თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი
[5]თბილისის თავისუფალი აკადემიის ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის ხელმძღვანელი

**აბსტრაქტი**

სტატია "Benchmarking" შესრულდა საგანმანათლებლი სივრცეში კონკურენტუნარიანი გარემო ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის. სტატია ორ ძირითად ეტაპად დაიყო, სადაც პირველ ეტაპზე განხორციელდა კონკურენტების განსაზღვრა და „რეაქციის მოდელების შეფასება". აღსანიშნავია, რომ კონკურენტები შეირჩა რეიტინგებით. რეიტინგები აღებული იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი ათეულიდან. ხოლო, მეორე ეტაპზე განხორციელდა საერთაშორისო პარტნიორი უსდ-ების Benchmarking-ი. სტატიის მიზანს წარმოადგენდა თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ობიექტურად შეფასება ბიზნესის ადმინისტრირების სკოლებისა საერთაშორისო მასშტაბებით, როგორც ევროპაში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში და პოსტსაბჭოურ საგანმანათლებლო სივრცეში. მნიშვნელოვანია, როცა რეიტინგების კლასიფიკაციის შერჩევის მეთოდოლოგია ეფუძნება თითოეული ბიზნეს სკოლის გავლენას სამ ძირითად დონეზე: საერთაშორისო აღიარება, რომელიც განისაზღვრება პროგრამული აკრედიტაციებით, წევრობითა და საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი რეიტინგებით. ამავდროულად, დადგინდა თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამებისათვის რა წარმოადგენდა ძირითადი აქტორებს. გენერირებული ძირითადი აქტორები ეს იყო შრომით ბაზარზე დასაქმების პროცენტი, ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა, დინამიკურად მზარდი ან კლებადი რიცხოვნობა ჩარიცხულ და კურსდამთავრებულ სტუდენტებისა. ასევე, მნიშვნელოვანი გახდა საერთაშორისო პარტნიორი ინსტიტუციების ინტელექტუალური, კულტურული, სოციალური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური განზომილების გაერთიანება და გაზიარება. აღიარებულია, რომ „ცოდნის ევროპა"-ს ფართოდ აქვს კარგი ღია, რაც აპრიორი აახლოებს უახლეს ტენდენციებს საგანმანათლებლო სივრცეში. საბოლოოდ, შეფასდა კონკურენტთა ძირითადი სტრატეგიებიც. შეფასდა კონკურენტთა საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამის საჭიროებები და ასევე, განხორციელდა ევროპული განზომილებების იდენტიფიცირება კურიკულუმის დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევის დონეების გასაანალიზებლად. შესაბამისად, მოხდა თბილისის თავისუფალი აკადემიის აკრედიტირებული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დადარება თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუციების ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამასთან.

**საკვანძო სიტყვები:** Benchmarking, საგანმანათლებლო პროგრამა, რებრენდინგი

Benchmarking-ი წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს, რომელიც არ არის ამბიციური, ის რეალისტურია. Benchmarking-ი გამოიყენება შესრულების გასაზომად კონკრეტული ინდიკატორის ან ინდიკატორების გამოყენებით. Benchmarking-ი შეიძლება იყოს ერთჯერადი მოვლენა, მაგრამ ხშირად განახლებადი, როგორც უწყვეტი პროცესი, რომელიც ხორციელდება საუკეთესო გამოცდილების მუდმივად გასაზიარებლად და გასააზრებლად.

Benchmarking-ის სტრატეგიული ნიშნულით დადგინდა რთული, მაგრამ მისაღწევი მიზნები:

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, გარე შემფასებელთა რეკომენდაციების შესაბამისად და Benchmarking-ით მიღებული დასკვნების საფუძველზე ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- განხორციელდა საბაკალავრო საგანმანათლო პროგრამების დამატება და ნაცვლად ერთი არააკრედიტირებული ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა პროგრამული აკრედიტაცია გაიარა ექვსმა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ;
- განხორციელდა სისტემური საერთაშორისო პერსპექტივები;
- განხორციელდა რებრენდინგი და პაბლისიტი;
- პროგრამის ცნობადობის ასამაღლებლად განხორციელდა მარკეტინგული საქმიანობა ბრენდბუქზე დაყრდნობით;
- გაძლიერდა უცხო ენის კომპონენტი (ნაცვლად 10 კრედიტისა უცხო ენის კრედიტი გაიზარდა და წარმოდგენილია 30 კრედიტი მოცულობა).

ვინაიდან ინსტიტუცია არის ავტონომიური დაწესებულება განსხვავებული ისტორიული მემკვიდრეობითა და განსაკუთრებული ღირებულებებითა და ფასეულობებთ Benchmarking-ით მიღებული შედეგები გასათვალისწინებელია და რიგ შემთხვევებში შესაძლებელია ფუნდამენტურ პრინციპებად მათი დასახვა.

ბენჩმარკინგის გასაანალიზებლად გამოყენებულ იქნა გარკვეული მეთოდები და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავდა გარკვეულ ეტაპებს:

1. საერთაშორისო და რეგიონალური მასშტაბით კონკურენტების დადგენასა და ინფორმაციის მიძიებას;

2. „რეაქციის მოდელების შეფასების“ განხორციელებას;

პარამეტრების შერჩევა ხორციელდებოდა შედარებისთვის. ეს შეიძლება ყოფილიყო არაერთი კრიტერიუმი, როგორიცაა ჩვენი კვლევის შემთხვევაში; შეგროვებული ინფორმაცია გულდასმით გაანალიზდა და შემუშავდა ცვლილებების პროექტი, რომელიც შედის მის ფუნქციაში; განხორციელდა ცვლილებები ინსტიტუციურ და პროგრამულ

დონეზე და ასევე, მიმდინარეობს დაგეგმილი ცვლილებების მომზადება; ცვლილებები ხორციელდება აკადემიის აკადემიურ და პრაქტიკულ საქმიანობაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. https://www.vdu.lt/en/study/program/overview/296/
2. https://www.vdu.lt/en/faculty-of-economics-and-management-was-ranked-by-eduniversal/
3. https://www.webometrics.info/en/europe/georgia%20


## Benchmarking 2

(internationally and regionally)


**Marine Kobalava[1], Anzhela Abuladze[2], Maia Vasadze[3], Sopiko Alpaidze[4], Nini Chachkhiani[5]**

[1]Vice Rector of Free Academy of Tbilisi, Academic Doctor of Economics
[2]Head of quality management service of Free Academy of Tbilisi, Ph.D. student of educational sciences
[3]Deputy Dean of the School of Business Administration and Social Sciences of Free Academy of Tbilisi
[4]Bachelor of Business Administration and Social Sciences of Tbilisi Free Academy
[5]Head of School of Young Leaders of Tbilisi Free Academy



**Abstract**

The article "Benchmarking" was completed in the educational space to identify competitive environmental factors. The article was divided into two main stages, where the first stage was defined by competitors and the "evaluation of reaction models". It should be noted that competitors were selected by ratings. Ratings were taken from the first ten higher education institutions. In the second stage, the international partner of the HUSE Benchmarking was implemented. The purpose of the article was to objectively assess business administration schools on an international scale by the Free Academy of Tbilisi, both in Europe and in the United States of America and in the post-Soviet educational space. It is important when the selection methodology of the ranking classification is based on the impact of each business school on three main levels: international recognition, defined by program accreditations, membership and international, regional and local rankings. At the same time, it was established for undergraduate programs for business administration of the Tbilisi Free Academy of the Tbilisi Free Academy. The main actors generated were the percentage of employment in the labor market, the number of students enrolled, the dynamically growing or decreasing number of enrolled and graduated students. The unification and sharing of the intellectual, cultural, social and scientific-technological dimensions of international partner institutions has also become important. It is acknowledged that "Knowledge Europe" has a good open open, making the a priori approach the latest trends in the educational space. Finally, basic strategies for competitors were also evaluated. Competitors' educational programs and program needs were assessed and European dimensions were also identified to analyze the curriculum goals and levels of achieving expected learning

outcomes. Accordingly, the undergraduate education program for the Bachelor of Business Administration of the institutions of the above -mentioned institutions of the Tbilisi Free Academy was completed.
**Key words:** Benchmarking, educational program, rebranding

# ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მიზეზები და მისი შენარჩუნების პერსპექტივები საქართველოში

**ემზარ კაკულია**

თბილისის თავისუფალი აკადემიის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ekakulia@freeacademy.edu.ge

**აბსტრაქტი**

Covid-19-ის პანდემიამ მძიმე დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლიდან ეკონომიკამ გამოცოცხლება დაიწყო, ის ჯერ კიდევ ჩამორჩება პანდემიამდელ პერიოდს. თუმცა 2022 წელს აღდგენა დაფიქსირდა ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში და აღინიშნა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, რაც განპირობებულია მრავალი შიდა და გარე ფაქტორებით. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორს წარმოადგენს მიგრანტების რაოდენობის ზრდა, რომელიც გამოწვეულია მიმდინარე წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრით და ომის დაწყებით. ეკონომიკური ზრდის ორნიშნა მაჩვენებლის შენარჩუნება გრძელვადიან პერიოდში დამოკიდებულია თუ როგორ განვითარდება მოვლენები მსოფლიოში, ასევე მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

**საკვანძო სიტყვები:** პანდემია, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, მიგრანტები, ანტიკრიზისული გეგმა, მოკლევადიანი ეფექტი, გრძელვადიანი ეფექტი.

მსოფლიოში გავრცელებული Covid-19 პანდემიის მძიმე პირობების გამო იძულებით შემოღებულმა შეზღუდვებმა უარყოფითი გავლენა მოხდინა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე. 2020 წლის მაისში ეკონომიკა შევიდა მინუს 15%-ში, ერთი წლის შემდეგ კი ეკონომიკამ დაიწყო გამოცოცხლება. კერძოდ, 2021 წლის პირველ კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტი შემცირდა 4.1 პროცენტით, თუმცა მისი აღდგენა მოხდა მეორე კვარტალში და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით იგი 28.9 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მესამე კვარტალში - 9.1 პროცენტით, რასაც საბოლოოდ მოჰყვა მთლიანი შიდა პროდუქტის 25%-იანი ზრდა.

საქსტატის მონაცემებით საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ მიმდინარე წლის მაისში 11%-ზე მეტი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11.6 პროცენტიანი ზრდაა. რაც შეეხება მიმდინარე წლის პირველ კვარტალს მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი 8.7 პროცენტით გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ პირველი კვარტლის ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ნაწილობრივ განაპირობებულია 2021 წლის პანდემიის წარუმატებელ თვეებთან შედარებით. ზოგადად, მიმდინარე წლის პირველ ხუთ თვეში ეკონომიკური ზრდის მთლიანი მაჩვენებელი შეადგენს 11.2% -ს.

2022 წელს აღდგენა დაფიქსირდა ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში. განსაკუთრებით აღასანიშნავია, სატრანსპორტო სექტორი და სასაწყობე მეურნეობა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ჰიდროელექტროენერგიის წარმოება

20 პროცენტით გაიზარდა, რამაც განაპირობა ელექტროენერგიის ექსპორტის ორჯერ ზრდა წინა წელთან შედარებით. დადებითი ტენდენცია დაფიქსირდა სასტუმროსა და რესტორნების სექტორშიც. გაზრდილია ასევე ტურისტების რაოდენობაც 70%-ით 2019 წელთან შედარებით და მისგან მიღებული შემოსავალი შეადგენეს 1.6 მლრდ აშშ დოლარს, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 3,2-ჯერ მეტია. თუმცა ის ჯერ კიდევ ჩამორჩება პანდემიამდელ პერიოდს. აღსანიშნავია ექსპორტის წვლილი, რომელიც მაღალი ტემპით იზრდება. წელს საქონლის ექსპორტის მაჩვენებელმა 3.1 მლრდ დოლარი შეადგინა, მათ შორის ადგილობრივი ექსპორტის მაჩვენებელი 2,2 მლრდ დოლარია, რაც 34%-ით მეტია 2021 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.[1]

2022 წლის პირველ ნახევარში გამოცოცხლდა საბინაო მშენებლობა - სამშენებლო მასალების იმპორტი გაიზარდა 20%-ით, ცემენტის იმპორტი 28%-ით, ასევე გაიზარდა სამშენებლო მასალების ადგილობრივი წარმოება.

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გრაფიკულად ასე გამოიყურება:




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.ეკონომიკური ზრის წინასწარი შეფასება. 2022 წლის ივლისი.

საქსტატის მონაცემებით, მშპ დარგობრივ სტრუქტურებში ვაჭრობა 14.8 პროცენტით გაიზარდა, დამამუშავებელი მრეწველობა 12.0 პროცენტით, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები - 10.1 პროცენტით, სახელმწიფო მმართველობა - 7.3 პროცენტით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 6.3 პროცენტით, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა - 5.6 პროცენტით, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 5.5 პროცენტით.

ეკონომიკურ ზრდას ხელი შეუწყო აგრეთვე ე.წ. ფისკალურმა ესპანსიამ. პანდემიის პირობებში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ანტიკრიზიული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საგადასახადო შეღავათებს. ამ მიზნით განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, რამაც გადასახადის გადამხდელებს მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა ვალდებულებები, ხელი შეუწყო მათ ბიზნეს-საქმიანობას და უზრუნველყო

1 ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი: 2022 წელს რეალური ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 8,5%-მდე გაიზარდა https://www.mof.ge/News/10216

საზოგადოებრივი უსაფრთხოება. წერტილოვანი შეზღუდვების გამო, განხორციელდა საშემოსავლო და ქონების გადასახადების გადავადება. დაქირავებით დასაქმებულებს და თვითდასაქმებულებს მიეცათ კომპენსაცია და საგადასახადო შეღავათები. 2020 წელს გადასახადები გადაუვადდა 6 545 გადამხდელს, რამაც ჯამში შეადგინა 219 810 061 ლარი.[2] საგადასახადო შეღავათებმა დიდი როლი ითამაშა ეკონომიკის ზრდის პროცესში. დღგ-სგან გათავისუფლდა იმპორტი. კაპიტალის მოძრაობაზე შეზღუდვების არარსებობამ და საგადასახადო შეღავათებმა ხელი შეუწყო უცხოური ინვესტიციების შემოდინებას საქართველოში. 2022 წლის პირველ კვარტალში  უცხოური ინვესტიციების ნიშნულმა შეადგინა 568.2 მლნ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4.29-ჯერ გაიზარდა.

ეკონომიკურმა ზრდამ საშუალება მისცა ბიუჯეტის ზრდას. 700 მლნ ლარზე მეტით შემცირდა სახელმწიფო ვალის აღება. ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა მთლიანი შიდა პროდუქტის 3,2%-მდე, ხოლო მთავრობის ვალი ჩამოიწია მშპ-ის 40%-მდე.[3]

2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ გამოიწვია ლტოლვილთა ნაკადის ზრდა როგორც უკრაინიდან, ისე რუსეთიდან და ბელარუსიდან. ესენი არიან ომს და სანქციებს გამოქცეული ძირითადად შრომისუნარიანი ახალგაზრდები, რომელთაც აქვთ ფული და შესაძლებლობა. მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც რუსეთის პრეზიდენტმა თავის ტერიტორიაზე გამოაცხადა ნაწილობრივი მობილიზაცია. მობილიზაციას გამოქცეული რუსეთის მოქალაქეები ათიათასობით შემოედინებიან საქართველოში. ისინი ჯერჯერობით ცხოვრობენ საქართველოში და ხარჯავენ ფულს, მაგრამ ჩვენი  ვარაუდით, ცოტა ხანში ისინი სამუშაოს ძებნას დაიწყებენ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შრომის ბაზარზე  ადგილობრივ მუშახელთან კონკურენცია.

თუ რა გავლენა ექნება მიგრანტების ასეთი რაოდენობონით შემოდინებას საქართველოს ეკონომიკაზე, დღეს ეკონომისტები ბევრს საუბრობენ მის მოკლე და გრძელვადიან ეფექტზე.

მიგრანტების დიდი ნაწილი ქვეყანაში დიდხანს დარჩება. ზოგადად ეს დადებით გავლენას მოახდენს ჩვენს ეკონომიკაზე. კერძოდ, ეს გავლენა საშუალო და გრძელვადიან პერიოდში აისახება სატრანსპორტო გადაზიდვაზე, ლოგისტიკაზე, ექსპორტზე და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ტურიზმისა და ლოგისტიკისთვის ქვეყანაში შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არის და ამ მხრივ საჭიროა სამუშაოების ჩატარება.

ვფიქრობთ, ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, რათა გაიზარდოს ეკონომიკური აქტივობა, რაც თავის მხრივ ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს. ეს კი თავისთავად გამოიწვევს ეკონომიკურ ზრდას.

დღეს საქართველოში, როგორც ცნობილია, ერთი მხრივ, მწვავედ დგას უმუშევრობის და სიღარიბის პრობლემა, მეორე მხრივ, კვალიფიციური კადრების დეფიციტია. დღეს უკვე შეინიშნება ამ დეფიციტის ამოვსება მიგრანტების ხარჯზე. ისინი უკვე მუშაობენ სხვადასხვა სექტორში, მაგალითად, სარესტორნო, სამედიცინო და  საგანმანათლებლო.

---

2 ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2020 წლის ანგარიში, გვ. 8

3 ღარიბაშვილი ეკონომიკურ კრიზისზე ევროპაში და ორნიშნა ზრდაზე საქართველოში https://netgazeti.ge/news/633192/

ამ ეფექტის დანახვა უფრო მომავლის საკითხია.[4]

რაც შეეხება ლარის კურს, ამაზე დიდი გავლენა მოახდინა მიგრანტების მიერ თანხების ხარჯვამ - მეტი მიგრანტი ნიშნავს, მეტი ფულის ხარჯვას. ვალუტის შემოდინება ძლიერია. თუ ინფლაცია შემცირდება, ეს ნეგატიურად აისახება ლარზე.

პარადოქსია, მაგრამ რუსეთის მიერ უკრაინაში გაჩაღებულმა ომმა საქართველოს ეკონომიკაზე ჯერჯერობით უარყოფითი გავლენა არ მოახდინა. პირიქით, საქონლის მთელმა ნაკადმა მიმართულება შეიცვალა და საქართველოზე ტრანზიტის ზრდამ მკვეთრად გამოაცოცხლა ქვეყნის ეკონომიკა. მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 60%-ი მომსახურების სექტორიდან ფორმულირდება, რეალურ სექტორს კი მხოლოდ 40% -ი შეადგენს.

საქართველოში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა განპირობებულია ასევე ტურიზმის მაღალი მაჩვენებლით, გაზრდილი გადმორიცხვებით და გააქტიურებული გადაზიდვებით.

უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით ბევრი რამ გაურკვეველია. ეკონომისტების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მიგრანტებმა დადებითი გავლენა მოახდინეს ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე, მეორე ნაწილის აზრით კი პირიქით, ამას შეიძლება უმართავი პროცესები მოყვეს.

2022 წლის თებერვლის ბოლოს უკრაინაში დაწყებულმა ომმა კიდევ უფრო აქტუალური გახადა საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულების მონიტორინგი რუსეთზე. რუსეთის მიმართ დაწესებული მკაცრი სანქციები იწვევს მისი ეკონომიკის ვარდნას, რაც ასევე აისახება იმ ქვეყნებზე, რომლებსაც მასთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირები აქვთ. ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე საქართველოსთვის საფრთხის შემცველია, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა არაერთხელ გამოიყენა ეკონომიკური ბერკეტები საქართველოს, უკრაინის, მოლდოვასა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. საქართველოს მთავრობის მიზანი უნდა იყოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების მინიმუმამდე დაყვანა.

ეკონომიკური ზრდის ორნიშნა მაჩვენებლის შენარჩუნება გრძელვადიან პერიოდში დამოკიდებულია როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები მსოფლიოში, ასევე მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ჩვენი აზრით, ეკონომიკური ზრდის შენარჩუნების მიზნით საჭირაოა:

1. საქართველოში წარმოებული საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, მთავრობამ ხელი შეუწყოს, დაეხმაროს და მხარი დაუჭიროს ბიზნესს წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაში;

2. რეგიონში განვითარებული მოვლენებიდან და დამდგარი რელობიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ბიზნესისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნაზე და ხელი შეუწყოს როგორც უცხოური კომპანიების, ასევე მეტი კაპიტალის ინტეგრაციას ქართულ ეკონომიკაში;

3. შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მაღალი კვალიფიკაციის და კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის მომზადებაის მიზნით, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს პროფესიული სასწავლებლების განვითარებას, რაც ქვეყნისათვის

4 რა გავლენა ექნება რუსეთში გამოცხადებულ მობილიზაციას ეკონომიკაზე? https://bm.ge/en/video/ra-gavlena-eqneba-rusetshi-gamocxadebul-mobilizacias-ekonomikaze/33546

წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს;
4. საჭიროა პრივატიზების პროცესის დაჩქარება, სახელმწიფოს ხელში არსებული ყველა აქტივის და არსებული რესურსის მაქსიმალურად ჩართვა ქართულ ეკონომიკაში.

ამრიგად, საჭიროა ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება, კვალიფიციური კადრების მომზადება, საგადასახადო შეღავათების შემორება და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობა. საჭიროა ხელისუფლების მიერ სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება და ეკონომისტების მიერ თვალყურის დევნება მიმდინარე პროცესებზე, რაც დღევანდელ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში არც თუ ისე ადვილია.

გამოყენებული ლიტერატურა


1. რა გავლენა ექნება რუსეთში გამოცხადებულ მობილიზაციას ეკონომიკაზე? https://bm.ge/en/video/ra-gavlena-eqneba-rusetshi-gamocxadebul-mobilizacias-ekonomika-ze/33546
2. ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი: 2022 წელს რეალური ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 8,5%-მდე გაიზარდა https://www.mof.ge/News/10216
3. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2020 წლის ანგარიში
4. ღარიბაშვილი ეკონომიკურ კრიზისზე ევროპაში და ორნიშნა ზრდაზე საქართველოში https://netgazeti.ge/news/633192


## Reasons for double-digit economic growth and its maintenance Prospects in Georgia


**Emzar kakulia**

Free Academy of Tbilisi Associate Professor, Academic Doctor of Economic Sciences, ekakulia@free-academy.edu.ge



**Abstract**

The Covid-19 pandemic has dealt a heavy blow to the Georgian economy. Although the economy has started to recover since 2021, it is still lagging behind the pre-pandemic period. However, in 2022, recovery was observed in almost all sectors of the economy and double-digit economic growth was recorded, which is due to many internal and external factors. One of these factors is the increase in the number of migrants caused by Russia's invasion of Ukraine in February of this year and the start of the war. Maintaining a double-digit rate of economic growth in the long term depends on how things will develop in the world, as well as on the economic policy pursued by the government.



**keywords:** Pandemic, Double-digit economic growth. Migrants, Anti-crisis plan, Short term effect, Long term effect

# მასმედიის წარმომადგენელთა საქმიანობა

**თამარ დევიძე[1] თეკლა ოდილავაძე[2]**

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ასოცირებული პროფესორი, tdevidze@freeacademy.edu.ge

[2]თბილისის თავისუფალი აკადემიის II კურსის სტუდენტი, todilavadze@freeacademy.edu.ge

**აბსტრაქტი**

ჟურნალისტიკაში ყველაფერი რეპორტიორის საქმიანობით იწყება. ყველაზე შესანიშნავი კი ისაა, რომ რედაქტორებს შეუძლიათ საოცრების შექმნა მასალის უმოკლეს ვადებში დამუშავებითა და რედაქტირებით, დიდებული, მხედველობაში მისაღები კითხვების დასმითა და მკითხველის მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

**საკვანძო სიტყვები:** ჟურნალისტიკა, მასმედია, საზოგადოების ინფორმირება.

როგორც დეზინფორმაცია, ასევე მცდარი ინფორმაცია ორივე განსხვავდება ხარისხიანი ჟურნალისტიკისაგან, რომელიც პროფესიულ სტანდარტებსა და ეთიკას იცავს. ამავდროულად, განსხვავება სახეზეა სუსტი ჟურნალისტიკის შემთხვევაშიც, რომელიც საკუთარ დანაპირებს არის აცდენილი. პრობლემური ჟურნალისტიკა მოიცავს, მაგალითად, მიმდინარე და დაშვებულ შეცდომებს, რომელთა შესწორება არ ხდება და რაც სუსტი კვლევის ან არასათანადო გადამოწმების შედეგია. ის მოიცავს სენსაციურობას გადაჭარბების ეფექტის გამოყენებით და სამართლიანობის ხარჯზე ფაქტების ზედმეტად მიკერძოებულ შერჩევას.

ჟურნალისტები პრინციპში ვალდებულნი არიან დაიცვან კანონი და ეთიკის კოდექსები ახალი ამბების გაშუქებისას და უაღრესი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ისეთ სიტუაციებში, სადაც შესაძლოა მოხდეს მოქმედი კანონების დარღვევა. კანონის მოთხოვნების დარღვევა გამართლებული შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთ სიტუაციებში, როდესაც საზოგადოების ინფორმირების ინტერესი აღემატება (სისხლის სამართლის) კანონის მოთხოვნების დაცვის ვალდებულებას.

საზოგადოებრივი ინტერესის დადგენისას, მნიშვნელოვანია ჟურნალისტმა გაითვალისწინოს, ახალი ამბების რეპორტაჟმა რამდენად შეიძლება შეუწყოს ხელი საზოგადოებისათვის საინტერესო მსჯელობას და არა ის, თუ რამდენად მოახერხებს ამ მიზნის სრულყოფილად მიღწევას.

ზოგიერთი მედია საშუალებისათვის ადამიანების კერძო ცხოვრება საკმაოდ მომგებიან პროდუქტად იქცა. მათ სამიზნეს ძირითადად საჯარო პირები წარმოადგენენ, ვინაიდან მათი პირადი ცხოვრების დეტალების გამოქვეყნება გაყიდვების გაზრდას უწყობს ხელს. თუმცა, საჯარო პირებმა უნდა იცოდნენ, რომ მდგომარეობა, რომელიც მათ საზოგადოებაში უკავიათ - ხშირ შემთხვევაში საკუთარი არჩევანის მიხედვით - ავტომატურად მოიცავს გაზრდილ წნეხს მათ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე.

ჟურნალისტებმა პატივი უნდა სცენ საჯარო პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის

სამართლიან მოლოდინს, აღნიშნული პირების წმინდა კერძო აქტივობებისას, როგორიცაა სპორტი, სეირნობა, რესტორნიდან გამოსვლა ან შვებულების პერიოდი ან ინტიმური ურთიერთობები (ოჯახური პრობლემები, ქორწინების გარეშე ურთიერთობები), თუ აღნიშნულ გაშუქებას წვლილი არ შეაქვს საზოგადოებრივი ინტერესის საგანში.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის აბსოლუტური დაცვის მოლოდინი არ უნდა ჰქონდეთ კერძო პირებს, რომლებიც ნებაყოფლობით არიან ჩართულნი პოლემიკის გამომწვევ აქტივობებში. ჟურნალისტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ უფრო ფართო შედეგებს, რომელსაც შეიძლება მოიცავდეს პირადი ინფორმაციის გამოქვეყნება, როგორიცაა შესაძლო გარიყვა ადგილობრივი თემიდან.

ძირითადი ასპექტი, რაც ჟურნალისტმა უნდა გაითვალისწინოს პირის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელების გადაწყვეტილების მიღებისას არის ის, შესაძლოა თუ არა აღნიშნული ამბის გაშუქებამ შეუწყოს ხელი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხის გარშემო დებატებს. ეს პრინციპი საზოგადოებრივი ინტერესის პრინციპისაგან დიდად არ განსხვავდება; ამდენად, საზოგადოებრივი ინტერესის საკითხის გარშემო მსჯელობაში წვლილის შეტანა განმარტავს „საზოგადოებრივი ინტერესის“ მიზანს.

ჟურნალისტებმა ინფორმაციის მისაღებად უნდა გამოიყენონ სამართლიანი გზები და პატივისცემა გამოხატონ დაინტერესებული პირის მიმართ.

ჟურნალისტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ დაწერილი და შემოკლებული სტატია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ინტერესის საკითხის გარშემო მსჯელობას. გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს.

დანაშაულების გაშუქებისას ჟურნალისტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, შესაბამისი პირი ცნობილია თუ არა საზოგადოებისათვის.

საზოგადოებას აქვს დანაშაულის, გამოძიებისა და სასამართლო პროცესების შესახებ ინფორმაციის მიღების სამართლიანი ინტერესი. მართალია, დანაშაულის შესახებ მოვლენების გაშუქების მიზანია საზოგადოების ინფორმირება, ჟურნალისტმა მაინც კეთილსინდისიერად უნდა გააშუქოს და თავი შეიკავოს უსაფუძვლო და გადაუმოწმებელი ბრალდებების გამოქვეყნებისაგან.

კერძოდ, ჟურნალისტებმა არ უნდა წარმოაჩინონ პიროვნება როგორც დამნაშავე, ვიდრე სასამართლო არ გამოაცხადებს მსჯავრდებას. მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ეჭვი და მსჯავრდება. მიღებული პრაქტიკის მიხედვით, მედიას შეუძლია დააკონკრეტოს, პირმა აღიარა თუ არა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალის აღიარება არ უნდა იყოს წარმოჩენილი, როგორც დადასტურებული ბრალეულობა.

ტერორისტული აქტების შესახებ მონაცემები და ინფორმაცია მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს მოქალაქეთათვის. ამიტომ პრაქტიკულად ყველა ტელევიზია და მედიის სხვა საშუალებები აქტიურად მუშაობს ტერორიზმის და განხორციელებული ტერაქტების ოპერატიულად გაშუქებაზე, რითაც ხშირად ხელს უშლიან ოპერატიულ სამსახურებს. გადაცემული ინფორმაციით ტერორისტების თანამზრახველები სარგებლობენ და ახდენენ ტერორისტული ჯგუფების საქმიანობის კოორდინაციას. კონტრტერორისტული

ოპერაციის ჩატარებასთან დაკავშირებით დადგენილია (ან აუცილებელია დადგინდეს) შეზღუდვები ჟურნალისტების მიერ ინფორმაციის შეგროვებისა და მიღების საკითხთან დაკავშირებით. შეზღუდვებს აწესებს ოპერატიული შტაბის წარმომადგენელი, რომელიც ამ ოპერაციის ჩატარებას ხელმძღვანელობს. კონტრტერორისტული ოპერაციის გაშუქების დროს იკრძალება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ტექნიკური და ტაქტიკური თავისებურებების, აგრეთვე, სხვა ტიპის მონაცემების გავრცელება, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ოპერაციის განხორციელებას ან საფრთხის ქვეშ დააყენოს ადამიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა. იზღუდება ინფორმაციის გავრცელება სპეცდანაყოფების თანამშრომელთა, აგრეთვე, იმ პირთა და მათი ოჯახის წევრების შესახებ, რომლებიც ჩართულნი არიან ამ ოპერაციის პროცესში.

კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების გაშუქების დროს რედაქტორის, რედაქციის, ჟურნალისტის მიერ მასმედიის  შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევა, რომელსაც მოჰყვა ოპერაციის საიდუმლო დეტალების გამჟღავნება, ოპერაციის ტაქტიკისა და ტექნიკური დეტალების გასაჯაროება, აგრეთვე, სპეცორგანოების სამსახურების თანამშრომელთა ან მათი ოჯახის წევრების ვინაობის გამჟღავნება, კანონით ისჯება. განსაკუთრებით დამაფიქრებელია მასმედიის გამოყენებით ტერორიზმისკენ საჯარო მოწოდებები და ტერორიზმის საჯარო გამართლების მცდელობები. ტერორიზმის საჯარო გამართლების ქვეშ იგულისხმება ტერორიზმის თეორიისა და პრაქტიკის მართებულად მიჩნევა და მათი მხარდაჭერისკენ გაკეთებული მოწოდებებები. არის შემთხვევები, როდესაც ტერორისტული ორგანიზაციების ხელმძღვანელების მოწოდებები მთელი მსოფლიოს მასშტაბით გადაიცემოდა (მაგალითად, „ალ-ქაიდას“ ლიდერის - უსამა ბინ ლადენის მიერ, რომელსაც მსოფლიოს #1 ტერორისტის ტიტული მიენიჭა. „ალ-ქაიდას“ ლიდერი გარკვეული რეგულარობით გამოდიოდა ტელემიმართვებში, მიმართავდა მუსულმანურ საზოგადოებას. ეს მიმართვები გადაიცემოდა სატელიტური ტელეარხის Al Jazeera-ს საშუალებით).

მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის დებულებები, რომლებიც ეხება პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებას ვრცელდება არასარედაქციო მასალაზე. ისინი ასევე ეხება სრულად მედიას მათი ჟურნალისტიკური და სარედაქციო საქმიანობისათვის. საქართველოს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მე-17 მუხლში ნათლად არის მითითებული, რომ „მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან“.

ქცევის კოდექსი და თვითრეგულირების ორგანოები ან მექანიზმები, რომლებიც მოიცავს გამოცემებს, ჟურნალისტებს, მედიის მომხმარებლების ასოციაციებს, ექსპერტებს აკადემიური წრეებიდან და მოსამართლეებს, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ჟურნალისტიკის დაბალანსებული და ეთიკური პრაქტიკის ხელშეწყობაში.

საქართველოში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ჟურნალისტური ეთიკის

ქარტია. საზოგადოდ, ჟურნალისტებს მოუწოდებენ, დაიცვან თვითრეგულირების აღნიშნული ინსტრუმენტებით გათვალისწინებული დებულებები. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის წესებს ითვალისწინებს ასევე საქართველოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. მედიაეთიკა და პროფესიული სტანდარტი, 2015
2. მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები. 2017
3. ჟურნალისტიკა, „ყალბი ამბები“ და დეზინფორმაცია. ქართულად თარგმნილია და გამოცემულია მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ. 2021
4. რეზოლუცია 2066, მედიის პასუხისმგებლობა და ეთიკა ცვალებად მედია გარემოში, საპარლამენტო ასამბლეა. 2015
5. წერეთელი მ. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი. რიდერი. 2016
6. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია - საქართველო. https://www.qartia.ge/ka/qartia
7. საქართველოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0


## Activities of mass media representatives


**Tamar Devidze[1] Tekla Odilavadze[2]**

[1]Free Academy of Tbilisi Associate Professor, tdevidze@freeacademy.edu.ge
[2]3rd year student of Tbilisi Free Academy, todilavadze@freeacademy.edu.ge



**Abstract**

Codes of conduct and self-regulatory bodies or mechanisms that include publications, journalists, media user associations, experts from academia and judges play an important role in promoting balanced and ethical journalism practice.

The charter of journalistic ethics plays an important role in Georgia. In general, journalists are encouraged to observe the provisions stipulated by the mentioned instruments of self-regulation. The Code of Conduct of Georgian Broadcasters also provides for the rules of privacy protection.



**Key words:** journalism, mass media, informing the public.

# კრიზისების მართვა და ეკონომიკური მოვლენები საქართველოში


## ქეთევან ჭიაბრიშვილი[1] ბადრი მახარაძე[2]

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ასოცირებული პროფესორი, kchiabrishvili@freeacademy.edu.ge
[2]თბილისის თავისუფალი აკადემიის სტუდენტი, bmakharadze@freeacademy.edu.ge



**აბსტრაქტი**

მოსალოდნელი კრიზისების პროგნოზირება და იდენტიფიცირება, ანტიკრიზისული მართვა და რეგულირება, კრიზისების დაძლევის გზები და სტრატეგიები, - ეს ის ფორმულირებებია, რომელიც ბოლო ათწლეულში განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, როგორც მენეჯმენტის თეორიული, ისე პრაქტიკული მიმართულებით.
ეკონომიკური, პანდემიური და ომით გამოწვეული კრიზისები წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანია. ნაშრომში განხილული, შეფასებული და გაანალიზებულია საქართველოს ისტორიაში გასული საუკუნის 90-იანი წლების ეკონომიკური კრიზისი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით გამოწვეული პოლიტ-ეკონომკური კრიზისი და 2020 წლის პანდემიური ეკონომიკური კრიზისი. კვლევის შედარებითი ანალიზისა და სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია ჩამოთვლილი სამი სახის კრიზისის თავისებურებები და წარმოდგენილია მთავრობის მიერ განხორციელებული ანტიკრიზისული ღონისძიებების დადებითი და უარყოფითი მხარეები.



**საკვანძო სიტყვები:** კრიზისის მართვა, ანტიკრიზისული რეგულაცია, ომი, პანდემია, ეკონომიკური ციკლები.


საქართველოში მიმდინარე პოლიტეკონომიკური კონიუნქტურა და ცვლილებები სხვადასხვა დონის მმართველი რგოლებისგან ადეკვატურ და დროულ რეაქციებს მოითხოვს. კრიზისების მართვა, მართვის ის მიმართულებაა, რომელიც მენეჯერთა წრეში ბოლო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებით აქტუალური ხდება. თანამედროვე მენეჯერებს კარგად ესმისთ კრიზისული მოვლენების იდენტიფიცირების სფეროში ცოდნისა და გამოცდილების მნიშვნელობა, არასასურველი შედეგების პრევენციისა და ნაკლები დანახარჯების თვალსაზრისით. კრიზისების მართვის თეორია და პრაქტიკა, მეჯმენტის ის მიმართულებაა, რომელიც დინამიურ განვითარებას მოითხოვს შესაბამისად კრიზისულ მოვლენებსა და პროცესებში უნდა ერთვებოდნენ, როგორც ეკონომისტები, ასევე იურისტები, მეცნიერ-თანამშრომლები და სახელისუფლებო ორგანოები.
საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა სფეროებზე მოქმედი არახელსაყრელი მოვლენების აღმოსაფხვრელად თანამედროვე მართვის სისტემების გამოყენება, რომელიც დაფუძნებული იქნება პროცესისადმი სისტემურ და კომპლექსურ მიდგომაზე და ანტიკრიზისული მართვის მექანიზმების ცოდნის გამოყენებაზე.
ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩანს წინამდებარე ნაშრომის აქტუალობა, რომელშიც განხილულია თანამედროვე საქართველოს გამოწვევები კრიზისებთან გამკლავების მიმართულებით და შეფასებულია ის მიმართულებები და სფეროები, სადაც ბოლო

წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა და აქვს აღნიშნულ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს.

ეკონომიკური წინსვლაც და კრიზისული მოვლენებიც გავლენას ახდენს ყველა ქვეყანაზე, მათ შორის საქართველოზე. ეკონომიკის აღმასვლა პოზიტიური შედეგებით ხასიათდება, ხოლო კრიზისული მოვლენები ყოველთვის აფერხებს და გარკვეულ ნეგატიურ ფონს ქმნის ეკონომიკურ შესაძლებლობების გამოყენების გზაზე.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, ჩვენს ქვეყანაში არაერთი ეკონომიკური რეფორმა გატარდა იმისათვის რომ საქართველოს მდგრადი ეკონომიკური ზრდა ჰქონდეს მაკრო მასშტაბით, რაც საბოლოოდ მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ზრდაში უნდა აისახოს, მაგრამ დადებითი ეკონომიკური ეფექტების ზრდის პარალელურად, ხშირად მისი თანმდევი მოვლენაა სხვადასხვა სახის კრიზისები, რომელიც საგრძნობლად აფერხებს ეკონიმიკურ წინსვლის დინამიურ პროცესს.

ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, არაერთი კრიზისული მოვლენა გამოვლინდა რომელმაც გავლენა მოახდინა ეკონომიკურ ზრდაზე, ჯანსაღ ეკონომიკურ ურთიერთობებზე და ნეგატიური გავლენა იქონია ისეთ კონკრეტულ სახელმწიფოებრივ უწყებებზე, როგორიც არის ძალოვანი სტრუქტურები, ჯანდაცვის სამინისტრო და განათლების სამინისრო.

გამოვყოფთ ორ ძირითად კრიზისულ მოვლენასა და მის შესაბამის ეტაპს რომელიც უშუალოდ შეეხო საქართველოს.

1. ომები.
2. კოვიდ პანდემია.

ომში ჩართული ქვეყნის გამარჯვება მეტწილად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, შესაბამისი სტრუქტურების გამართულობაზე, რესურსებზე და ოპერატიული სიღრმის წვდომაზე. გამარჯვების შემთხვევაშიც კი, საომარი მოქმედებები დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე. დამოუკიდებლობის დღიდან დღემდე, ომს, როგორც კრიზისულ მოვლენას, რამდენჯერმე ჰქონდა საქართველოში ადგილი. დღეს კი განგრძობითი ხასიათის ჰიბრიდულ ომთან გვიწევს გამკლავება.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში წარმოებულმა ომმა უდიდესი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას, იმ დროისთვის ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა ისედაც სავალალოდ ხასიათდებოდა, რადგან დამოუკიდებლობა ახალი აღდგენილი იყო და შესაბამისად სახელმწიფო სტრუქტურები და ინსტიტუციები ჩამოყალიბებას იწყებდა. ქვეყანა საჭიროებდა კონსტიტუციურად სრუფასოვან, გამართულ წესრიგს და შესაბამისი რეფორმების გატარებას, რამაც ხელი შეუწყო კრიზისული მოვლენების ზრდას ქვეყანაში. სტრუქტურული რეფორმების დაწყება და გატარება, ახალ-ახალ კრიზისულ მოვლენებს აჩენდა. მხოლოდ ის რად ღირს, რომ ქართულ სახელმწიფოს რეალურად მოსწყდა ერთ-ერთი სახელმწიფოებრივი შემადგენელი ნაწილი - აფხაზეთი.

განათლების სფეროში, ვერ ხერხდებოდა სკოლების სათანადოთ აღჭურვა შესაბამისი ტექნოლოგიებით და სხვა მატერიალური საშუალებებით, ასევე არ მიეწოდებოდა ელექტრო ენერგია და ბუნებრივი აირი, რის გამოც ხშირ შემთხვევებში ფერხდებოდა ან სრულად წყდებოდა სასწავლო პროცესი. ამასთან, რეგიონებში მოსწავლეებს თავად

უწევდათ  გასათბობი საშუალების მოძებნა და შევსება შეშის სახით.
ქვეყანაში ინფრასტრუქტურული  პროექტები შეჩერებული იყო. არ მიმდინარეობდა ისეთი საყოფაცხოვრებო შენობა ნაგებობების რეაბილიტაცია და ახალი შენობების შენება, როგორიცაა სკოლები, კლინიკური ცენტრები, ცენტრალური და მეორე ხარისხოვანი გზების განახლებები. საწარმოები შეზღუდულად ფუნქციონირებდა, დასავლეთ საქართველოში არსებული უნიკალური ქართული ჩაის ფაბრიკების უმეტესობა ფიზიკურად იქნა განადგურებული და მიტაცებული.

ჯანდაცვის სფერო. საავადმყოფოებს არ მიეწოდებოდა უწყვეტი ელექტროენერგია და არ იყო შესაბამისი ტექნოლოგიებითა და სხვა მატერიალური რესურსით აღჭურვილი, ამასთან,  დეფიციტური იყო კვალიფიციური მედპერსონალი, ვინაიდან ექიმების გარკვეულმა ნაწილმა, ომის პერიოდში დატოვა საქართველო. ხშირი იყო კორუფციისა და კრიმინალის ფაქტები, ყაჩაღობა, გაიძარცვა სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ობიექტი, მათ შორის საცხოვრებელი სახლებიც. 2000 წლის შემდეგ გატარებული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმებით საქართველოში გარკვეული ეკონომიკური ზრდა  დაფიქსირდა. რეფორმები შეეხო თავდაცვის სამინისტროსაც, დაიწყო საკონტრაქტო სამსახურისა და რეგულარული არმიის ჩამოყალიბება. შეიქმნა რამდენიმე საბრძოლო დანაყოფი, სადაც ყოველდღიური წვრთნა თანამედროვე აღჭურვილობითა და ტექნოლოგიებით მიმდინარეობდა. რეფორმები შეეხო შინაგან საქმეთა სამინისტროს, სადაც თვისობრივად განახლდა შიდა სრუქტურა. შეიქმნა საგზაო საპატრულო პოლიცია, რამაც სრულად აღმოფხვრა რგოლში არსებული კორუფცია. რეფორმებისა და მსოფლიოს დონორ ორგანიზაციებთან შეთანხმებების შედეგად განხორციელება დაიწყო ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა. დაიწყო ბაქო ჯეიჰანის მილსადენისა და თბილისი-ლესელიძის მიმართულებით ავტობანის მშენებლობა.
ჯანდაცვის მიმართულებით გაიხსნა ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კლინიკები, და დაიწყო სამედიცინო პერსონალის გადამზადება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია ამერიკის შეერთებული შტატები. განათლების სფეროში უმაღლეს საფეხურზე საერთო ეროვნული გამოცდების შემოღება, მასწავლებელთა საკვალიფიკაციო პროგრამების განხორციელება და სკოლების რეაბილიტაცია და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა პროგრესული განვითარების იმედის მომცემი გახდა. თუმცა,  2008 წლის აგვისტოს ომით გამოწვეულმა კრიზისმა სრულიად შეცვალა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. აღნიშნულ ვითარებას დაერთო ამავე წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისიც. ამ პერიოდში ეკონომიკური ზრდის ტემპი ძირითადად ტურიზმსა და სამშენებლო სექტორზე იყო დამოკიდებული. ომით გამოწვეულმა კრიზისმა ორივე სფეროს დატვირთვა გარკვეული პერიოდოთ შეაჩერა, რის გამოც, ზიანი მიადგა კერძო კომპანიებს რომელთაც ინვესტიცია ტურიზმის განვითარებაში განახორციელეს. კრიზისი შეეხეო როგორც ზღვისპირა რეგიონებს, ასევე მაღალმთიან ტურისტულ ზონებს. გაიზარდა უმუშევრობა.
გორის ჩრდლოეთით სოფლებში მაცხოვრებელ ათასობით მოქალაქეს, 2008 წლის აგვისტოს ომის გამო მოუწია საკუთარი სახლების დატოვება და ლტოლვილებად იქცნენ წეროვანსა და სხვა დასახლებებში, მასიურად აშენებულ პატარა კოტეჯებში. ქვეყნის

ანტიკრიზისული გეგმა მკაფიოდ ჩამოყალიბებული იყო, თუმცა სხვადასხვა პირდაპირი და ირიბი ეფექტების გავლენით, მისი შესრულება სხვადასხვა გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დგებოდა.

აგვისტოს მოვლენებიდან სამი-ოთხი წლის შემდეგ დაიწყო სახელმწიფო სტრუქტურების ხელახლა გადახალისება. გატარდა არაერთი რეფორმა, რომელმაც ხელი შეუწყო ქვეყნის განვითარებას. წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა ეკონომიკური მდგომარეობა, რომელმაც ხელი შეუწყო ახალი პროექტების განხორციელებას. გაიხსნა ქვეყნისთვის საერთაშორისო ბაზარი, მიღწეული იქნა ასოცირების შეთანხმება რაც საფუძველი გახდა ევროპის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის, რეფორმები შეეხო ქვეყანაში არსებულ ყველა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებს.

დღეს სწრაფად იცვლება მოვლენები. ტექნოლოგიური განვითარება და ახალი ბიზნეს მოდელები ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია, თანმდევია კრიზისული მოვლენებიც, რომელიც შეიძლება იყოს მთავრობის არასწორი პოლიტიკიდან ან გლობალური საფრთხეებიდან გამომდინარე.

ომისა და მისგან შექმნილი კრიზისული მოვლენების ნათელი მაგალითია დღევანდელი რუსეთ უკრაინის ომი, როცა ნათლადაა გამოკვეთილი გლობალური ეკონომიკური კრიზისი. უკრაინა ომში ჩართვამდე მეტნაკლებად უმკლავდებოდა ქვეყანაში არსებულ პოლიტეკონომიკურ გამოწვევებს. ევროპის განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკურმა პროექციამ ვერ გაუძლო შექმნილ საომარ ვთარებას და იძულებული გახდა დახმარება ეთხოვა დანარჩენი ცივილიზებული მსოფლიოსთვის, როგორც თავდაცვითი, ისე ეკონომიკური პაკეტებით. შესაბამისად ქვეყნების უმრავლესობამ უკრაინას კრიზისული მოვლენების დაძლევის მიზნით სხვადასხვა სახის მატერიალური თუ არამატერიალური საშუალებებით დახმარება გაუწია, მათ შორის კონკრეტულმა ქვეყნებმა ლეტალური იარაღითაც.

ომი გლობალური პოლიტიკის ნაწილი და კრიზისის გამომწვევი მიზეზია. მისი შედეგების დროული დაძლევა, მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანას და დიპლომატიური გზით წარმოებულ მოლაპარაკებებს შეუძლია.

კოვიდ პანდმია.

კოვიდ 19-ის გავრცელებით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა შეაფერხა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპი. 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ კოვიდ პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური რეცესია იყო მეტად მასშტაბური, რომლის ეკონომიკური შედეგები არამცთუ აღმოფხვრილია, არამედ დღესაც არ არის საბოლოო შედეგებით განსაზღვრული. კრიზისული მოვლენა რომელმაც შეაფერხა მსოფლიო ეკონომიკური ზრდის ტემპი და არამარტო შეაჩერა შეიძლება ითქვას რომ გარკვეულ ნიშნულამდეც კი დაიწია ეს არის პანდემია, რომელიც ჯერაც არ არის აღმოფხვრილი სრულად.არც საქართველო აღმოჩნდა ამ მხრივ გამონაკლისი და საკმაოდ დიდი ბრძოლა მოუწია ქვეყანას იმისთვის,რომ სათანადოთ მომხდარიყო რიგი საკითხების ისე გადალაგება,რომ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიეღო ქვეყანას პანდემის მართვის პირობებში. თუმცა მიუხედავად სწორი პოლოტიკის გატარებითა და სათანადო ღონისძიებების გატარებისა,ქვეყანაში შექმნილმა მაღალმა კრიზისულმა ვითარებამ

ეკონომიკური ზრდა მაინც შეასუსტა.

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, 2020 წლისთვის ქვეყნის ეკონომიკა-4.0%-ით შემცირდება. არსებულმა რეალობამ მზარდი ეკონომიკური ვითარება საფრთხის ქვეშ დააყენა. კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის მიმართ საქართველოს ეკონომიკის მაღალი მოწყვლადობა სხვადასხვა ფაქტორებითაა გამოწვეული. უპირველეს ყოვლისა ის უკავშირდება მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურას, სადაც დარგობრივად ყველაზე დიდი წილი ისეთ ეკონომიკურ საქმიანობებზე მოდის, რომლებიც ყველაზე მეტად დაზიანდნენ კორონავირუსის პირობებში - ესენია საბითუმო და საცალო ვაჭრობა (13.9 %), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (11.4 %), მშენებლობის სექტორი (8.3%), საფინანსო-სადაზღვევო საქმიანობები (6.1%) და ტურისტული სექტორი. შესაძლებელია ითქვას, რომ პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკას ომი გამოუცხადა და ამ ომის პირველ ტალღას საქართველო მტკიცედ და მომზადებული შეხვდა, რამაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დადებითი შეფასებები მოჰყვა, თუმცა მიმდინარე წლის ბოლოს მდგომარეობა კვლავ შემობრუნდა და ქვეყნის ეკონომიკა დამატებითი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) , 2019 წლის მონაცემებით 33 911 ათასი კაცი იყო , ხოლო 2020 წლის კვარტლების მიხედვით კი შემდეგია: პირველი კვარტალი- 892 ათასი, მეორე კვარტალი- 919 ათასი, მესამე კვარტალი კი - 847 ათასი. თვალსაჩინოა, სამუშაო ძალის ზრდა მეორე კვარტალში როცა, პანდემიამ ე.წ ,,პაუზა'' აიღო საქართველოში ( ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციების გატარებით და მოსახლეობის არსებულ პრობლემასთან გაგებით მოკიდების გამო) და ნაწილობრივ განახლდა ყველა იმ ბიზნესის მუშაობა, რომლებიც დროებით შეჩერებული იყო. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სტატისტიკამ საერთო მონაცემებით იკლო, რაც პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. საარჩევნო წელმა დამატებითი რესურსიც მოითხოვა და ეკონომიკა კვლავ მკაცრი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკისა და მანდატის მოლოდინში მოექცა, ანტიკრიზისული გეგმა როგორც აღვნიშნეთ მსოფლიო დღესაც ებრძვის პანდემიას და მის მიერ გამოწვეულ წინაკრიზისულ ვითარებას. კრიზისების მართვის მიმართულებით სახელმწიფოები ჯანდაცვის სისტემასთან თანამშრომლობით აკეთებენ პროგნოზებს, ადგენენ და ამუშავებენ გეგმებს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შემდგომი სხვადასხვაგვარი განვითარების შედეგების გათვალისწინებით. მათ შორის, საქართველოს მთავრობამაც შეიმუშავა ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც რამდენიმე ეტაპადაა დაყოფილი და დღეისთვის უკვე ამოქმედებულია. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, გამოკვეთილია სამი საპასუხისმგებლო მიმართულება, რომელიც მთავარ გამოწვევას წარმოადგენს; ესენია: პანდემიის მინიმალური დანაკარგებით დაძლევა, მოსახლეობისათვის სოციალური დაცვისა და ტრანსფერული ღონისძიებების უზრუნველყოფა და ეკონომიკის სწრაფი ამუშავება. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ პანდემიის შესაკავებლად სხვადასხვა რესურსის მობილიზება და განაწილება-გადანაწილება ხდება, თუმცა მკვლევართა აზრით, პანდემიის შეჩერებას (ყველაზე პოზიტიური სცენარის შემთხვევაში) კიდევ რამდენიმე თვე დასჭირდება და მის შედეგებთან გასამკლავებლად ქვეყანას დიდი ძალისხმევა დასჭირდება. სოციალურ მიმართულებას ანტიკრიზისულ

გეგმაში დიდი ადგილი უჭირავს. პანდემიის დაწყებიდან სახელმწიფომ არაერთი სუბსიდია განახორციელა, როგორიცაა, არასრულწლოვნებისთვის 200 ლარიანი დახმარებების გაცემა, სამუშაოდაკარგული მოქალაქეებისთვის ასევე 200 ლარიანი ერთჯერადი დახმარების გაწევა; პენსიონერებისთვის საპენსიო თანხის წინასწარ აღების საშუალება და ა.შ. ანტიკრიზისული გეგმის მესამე ნაწილი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პაკეტია. სახელმწიფომ მნიშნელოვანი შეღავათები დააწესა საბანკო-საკრედიტო ვალდებულების მქონე მეწარმეთათვის (საბანკო შენატანები გადავადდა სამი თვით) და დაიწყო მათ მიერ გადახდილი დღგ-ს გადასახადის უკან დაბრუნების პროექტის განხოერციელებაც. აქვე აღსანიშნავია ევროპული და ამერიკული დონორი ორგნიზაციების მიერ საქართველოსთვის გაცემული ფულადი დახმარებები, რომლის მიზნობრიობაც ზემოთაღნიშნული ანტიკრიზისული გეგმის წარმატებით განხორციელებაა. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმების შემდეგ, საერთაშორისო დონორებისგან საქართველომ მიიღო 1,5 მილიარდი ა.შ.შ დოლარის დახმარების გარანტიები ბიუჯეტისა და მთავრობის მიმართულებით, ხოლო დამატებით 1,5 მილიარდი კერძო სექტორთან დაკავშირებით. აღნიშნული გამოწვევების გასამკლავებლად საქართველოს მთავრობას მყარად უნდა ჰქონდეს გააზრებული ახალი ეკონომიკური წესრიგის ძირითადი მიმართულებები პანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდში: 1. ადგილობრივი წარმოების, აგროწარმოების, სასურსათო უსაფრთხოების და მარაგების შექმნის მიმართულებების გაძლიერება. „რაც ქვეყანას სჭირდება, ქვეყანაშივე უნდა ვაწარმოოთ“ 2. მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის ტემპი შენელდა, განვითარებად ქვეყნებს შანსი ეძლევათ ინვესტიციების მოზიდვისა თუნდაც მინიმალური ამონაგებით. (IT ტექნოლოგიებში, ბიოტექნოლოგიებში და ა.შ.) 3. ლარის კურსის სტაბილიზაცია სწორი მონეტარული პოლიტიკით 4. ადგილობრივი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (ამისთვის შეიქმნა სწორედ ხელსაყრელი პირობა) 5. ევროკავშირისა და ამერიკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი ტრანსფერების მიმართვა ზემოთაღნიშნული მიმართულებების გასავითარებლად 6. განათლების პოლიტიკაში - დისტანციური სწავლების ე.წ. სვოტანალიზის შედეგად მისი დადებითი მხარეებისა და შესაძლებლობების გაძლიერება, ნაკლოვანებებისა და საფრთხეების მინიმალურ დონემდე შემცირების პარალელურად.

დასკვნის სახით, შეიძლია აღინიშნოს, რომ, ეკონომიკური კრიზისების დასაძლევად რამდენიმე გზა არსებოს.

1. მთავრობის ინვესტიციები ინფრასტრუქტურის განვითარებაში,რომელიც ხელს უწყობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.
2. საშემოსავლო გადასახადის შემცირება.მუშების განკარგვადი შემოსავლების გაზრდა.
3. ფისკალური პოლიტიკა.როდესაც მთავრობა გავლენას ახდენს მოთხოვნაზე,ხარჯების ან გადასახების შეცვლით.
4. მომენტალური პოლიტიკა. როდესაც ცენტრალური ბანკი ახდენს გავლენას ფულის მოთხოვნასა და მიწოდებაზე.
5. საპროცენტო განაკვეთების შემცირება. აადვილებს სესხების გაცემას და ზრდის

ფირმების შემოსავალს რაც შესაბამისად მაღალ ხარჯვას იწვევს.

6. თავისუფალი ბაზრის მიწოდებასთან დაკავშირებული პოლიტიკა.
7. ბანკების მთავრობის დახმარება ფინანსური სექტორების ნდობის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად.
8. მიწოდების მხარის პოლიტიკა,გრძელვადიანი პოლიტიკა ეკონომიკაში პროდუქტიულობისა და ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

კრიზისის დაძლევისთვის გამოყენებული ზემოთ აღნიშნული რეფორმები გარკვეული დროის შემდეგ იძლევა ეკონომიკურ ეფექტებს, რაც მაკროეკონომიკის წრიულ მოძრაობის აქტივობის ციკლის საფეხურებს თანდათან ავსებს და კრიზისიდან შესაბამისი ეფექტური რეგულაციებით ადის პიკამდე.

ეკონომიკური აქტივობები წელთა განმავლობაში იცვლება, რაც ნიშნავს რომ ეკონომიკის უმეტესი ნაწილი გრძელვადიან პერსპექტივაში ზრდას განიცდის. აღნიშნულ პროცესში შეიძლება დროის გარკვეულ მონაკვეთში კრიზისიდან გამომდინარე შენელებაც განიცადოს. მიუხედავად იმისა რომ მთავრობა მაქსიმალურად ცდილობს თავიდან აირიდოს ეკონომიკური ვარდნა, არის მოვლენები რა დროსაც ეკონომიკური რყევების თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელია. ისინი თავს იჩენენ ყველა ქვეყანაში და მეორდება მთელი ისტორიის განმავლობაში.

ამრიგად ეკონომიკური მოვლენები და კრიზისული მენეჯმენტი ერთმანეთზეა დამოკიდებული. ქვეყანამ მაქსიმალურად უნდა იზრუნოს, რათა განახორციელოს სწორი  რეფორმები და აამოქმედოს მოქნილი რეგულაციები იმისთვის რომ მზად იყოს ნებისმიერი სახის კრიზისულ მოვლენებზე, საფრთხეებსა და გამოწვევებზე მყისიერი რეაგირებისთვის, ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ქეშელაშვილი გ.,ანტიკრიზისული მენეჯმენტი, თბ.,  2013.
2. ქეშელაშვილი გ., ფარესაშვილი ნ., პროექტების მენეჯმენტი, თბ., 2019.
3. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008.
4. ჩოხელი ე., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბ., 2013.
5. ხომერიკი თ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008.
6. ACCA saxelmZRvanelo, sainformacio sistemebi, FOULKS lynch., 2003.
7. THE FINANCE CRISIS AND RESCUE:What Went
8. Wrong? Why? What Lessons Can Be Learned? Rotman School of Management, Canada, 2008.
9. Managing Crises – Rosenthal, Boin and Comfort, 2015.

# Crisis management and economic events in Georgia

**Ketevan Chiabrishvili[1] Badri Makharadze[2]**

[1]Associate Professor of Free Academy of Tbilisi, kchiabrishvili@freeacademy.edu.ge

[2]Student of Free Academy of Tbilisi, bmakharadze@freeacademy.edu.ge

**Abstract**

Predicting and identifying expected crises, anti-crisis management and regulation, ways and strategies to overcome crises - these are the formulations that have been of special importance in the last decade, both in the theoretical and practical directions of management.

Economic, pandemic and war-induced crises are the subject of research of the present paper. The paper discusses, evaluates and analyzes the economic crisis of the 90s of the last century, the political-economic crisis caused by the 2008 Russia-Georgia war and the pandemic economic crisis of 2020 in the history of Georgia. Using the comparative analysis and statistical method of the research, the features of the listed three types of crisis are analyzed and the advantages and disadvantages of the anti-crisis measures implemented by the government are presented.

**Key words:** crisis management, anti-crisis regulation, war, pandemic, economic cycles.

# ციფრული ეკონომიკის მნიშვნელობა და პერსპექტივები

**ქეთევან ჭიაბრიშვილი[1] საბა გასიშვილი[2] მალხაზ ტერმაკოზაშვილი[3]**

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ასოცირებული პროფესორი, kchiabrishvili@freeacademy.edu.ge
[2]დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის მეორე კურსის იუნკრი
[3]დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის მეორე კურსის იუნკრი

**აბსტრაქტი**

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ციფრული ეკონომიკის რაობისა და არსის განსაზღვრა. მასში შესწავლილი და შეფასებულია  თანამედროვე ტექნოლოგიების როლი ეკონომიკასა და საერთაშორისო ვაჭრობაში. წარმოჩენილია ბაზრის ის ძირითადი სექტორები, სეგმენტები და მიმართულებები, სადაც ციფრული ოპერაციების განვითარება საქართველოს ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე კონკურენტულ და მრავალფეროვან საერთაშორისო ბაზარზე. ნაშრომში განხილულია ციფრული ეკონომიკის ეტიმოლოგია და მისი განსაკუთრებული როლი ვაჭრობასა და საბანკო სფეროში.

წინამდებარე ნაშრომში შედარებითი ანალიზის მეთოდის საშუალებით,  გაანალიზებულია ის საკვანძო საკითხები, რომელიც ციფრული პლატფორმების საშუალებით დადებით გავლენას ახდენს სოციალურ და პოლიტიკურ გარემოზე როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს მასშტაბით. ნაშრომში შესწავლილია ციფრული ეკონომიკის განვთარების პერსპექტივები და მთავრობის დონეზე შესაბამისი პოლიტიკის არსებობის მნიშვნელობა.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული ეკონომიკა, ტექნოლოგიები, ვაჭრობა, მდგრადი განვითარება, პოლიტიკა.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ თითქმის ყველა სფეროს ტრანსფორმაცია გამოიწვია. ახალი შესაძლებლობების წარმოქმნამ ზოგიერთი დარგის არსებობა ციფრული ტექნოლოგიების გარეშე უკვე წარმოუდგენელი გახადა. ციფრული რევოლუცია საზოგადოების ცხოვრებას მაქსიმალური სიჩქარით ცვლის, ამასთან წარმოშობს როგორც უზარმაზარ შესაძლებლობებს, ისე საკმაოდ დიდ სიძნელეებს. ის განსაკუთრებულ როლს თამაშობს მსოფლიო დღის წესრიგის ფორმირებაში, გლობალურ ეკონომიკურ მოვლენებში, საზოგადოებრივ განვითარებაში, საჯარო ადმინისტრირებასა და მართვაში. ტექნოლოგიები დაკავშირებულია შრომის ბაზარზე მნიშვნელოვან ცვლილებებში და მდგრადი განვითარების სფეროში მიზნების მიღწევის შესაძლებლობებში. თანამედროვე ადამიანისთვის კი, მისი მოღვაწეობის ინტერესებისა თუ საქმიანობის მიუხედავად, ციფრულ სამყაროში ადაპტირება და ამისთვის უნარ-ჩვევების შეძენა-გაუმჯობესება სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობა გახდა.

დღევანდელი რეალობა ციფრული ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია, მან თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში დაიდო ბინა. 2019 წლის მონაცემებით, 8 მილიარდი

ადამიანიდან, მობილური ტელეფონი 7.26 მილიარდს აქვს, ხოლო 5.07 მილიარდი სარგებლობს ინტერნეტით. ანუ გამოდის, რომ მსოფლიო მოსახლეობის 65% -ზე მეტი დაკავშირებულია ციფრულ ტექნოლოგიებთან, მხოლოდ ეს რიცხვებიც მეტყველებს იმას, თუ რამდენად შემოაღწია ციფრულმა რეალობამ ჩვენს ყოველდღიურობაში, რაც ქმნის უდიდეს ეკონომიკურ პოტენციალს თითოეული კერძო თუ საჯარო სუბიექტებისთვის. შესაბამისად გაციფრულება, შეუქცევადი პროცესია ეკონომიკაში. თავად ტერმინი, ციფრული ეკონომიკა, "ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ეკონომიკას გულისხმობს", ხოლო ეკონომიკა, რომელიც დაფუძნებულია ციფრულ ტექნოლოგიებზე, "ციფრული ეკონომიკა" ეწოდება.სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ეკონომიკის ფილიალი, სადაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი და ფუნდამენტური საყრდენი არის ინტერნეტი,რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ეკონომიკური ზრდისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნისთვის, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის განვითარებისთვის.

ციფრული ეკონომიკა:

ციფრული ეკონომიკა მზარდი სფეროა, იგი მოიცავს: „სოციალური მედიას, ინტერნეტ ვაჭრობას, კომპიუტერულ ქლაუდ სისტემებს, მობილური ვებ-სერვისებს და სხვა მრავალს". დღესდღეისობით ამ სფეროში დაახლოებით 300 მილიონი ადამიანია დასაქმებული, აქედან 25 მილიონი პროგრამისტი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ რა ტემპით მიიწევს წინ აღნიშნული დარგი, რიცხვები კიდევ უფრო გაიზრდება. უდიდეს პოტენციალთან ერთად, ციფრული ეკონომიკა მნიშვნელოვნად ამცირებს ახალი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის განვითარების შანსებს და ამავდროულად უამრავ ახალგაზრდას სთავაზობს სტაბილურ სამსახურს, რადგან სწორედ მათთვისაა კომპიუტერულიცხოვრებაგანუყოფელინაწილი.ასევე,„ევროკომისიისმიერჩატარებული კვლევის მიხედვით, მცირე ბიზნესის ზრდის ტემპი 3-ჯერ მაღალია, თუ კომპანია ციფრული ტექნოლოგიებით ხელმძღვანელობს". ასე რომ, ციფრული ტექნოლოგიები შეგვიძლია მოვისაზროთ როგორც მსოფლიო ეკონომიკის ზრდის კატალიზატორი.

ეს არის ბიზნეს პროცესების საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ინტერნეტის საშუალებით ანუ ციფრული ფორმატით. იგი ეკონომიკური საქმიანობაა, რომელიც წარიმართება მილიონობით ადამიანს შორის კონტაქტის შედეგად, ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით და რომლის დანიშნულებასაც „ბიზნესის კეთება" წარმოადგენს. ციფრული ეკონომიკის ხერხემალი კავშირებია , ანუ ადამიანები, ორგანიზაციები და მანქანები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ინტერნეტის, ქსელური მოწყობილობებისა და კომპიუტერების საშუალებით. საუკუნე რომელშიც ჩვენ დავიბადეთ და ვცხოვრობთ სწორედ, რომ ინტერნეტის ეპოქადაა წოდებული. გვიფიქრია კი იმაზე, თუ როგორი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება რომ არა ინტერნეტი და მისი შესაძლებლობები: „ეს არის საშუალება, რომელიც ყოველდღიურად გვიზოგავს დროს, ენერგიას და თუნდაც გადააგილების დანახარჯებს, ეს ყველაფერი კი ღილაკზე ერთი თითის დაჭერით ხდება".

ციფრული ტექნოლოგიის მაგალითები:

1. ვებგვერდი

პლატფორმა რომელიც გვაწვდის ყველა სახის ინფორმაციას, ის დღესდღეობით იქცა

მომხმარებელთან კომუნიკაციის საუკეთესო და მარტივ საშუალებად. ინტერნეტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნაწილი, რომელსაც დღეს ადამიანები ყველაზე კარგად იყენებენ, ეს არის ვებგვერდი, რომელიც ამარტივებს და დროის დაზოგვის საშუალებას იძლევა ამა თუ იმ მოთხოვნილების წარმოქმნის დროს. ის ბიზნეს სუბიექტებისათვისაც ამარტივებს მომხმარებელთან ურთიერთობას, საჯაროდ განთავსებული ინფორმაციის ხარჯზე, რომლის ნახვაც ყველასთვის ხელმისაწვდომია. ბიზნეს სუბიექტს ეძლევა საშუალება დაზოგოს დაქირავებული პერსონალის დრო,ამასთანავე ის თავიდან იცილებს ახალი კადრების აყვანით გამოწვეულ ფინანსურ დანახარჯებსაც, მისი მარტივი და მოქნილი შესაძლებლობების შედეგად.

2. ონლაინ ყიდვა-გაყიდვა

უამრავი ადამიანის გაზრდილი მოთხოვნების ფარგლებში ონლაინ ყიდვა-გაყიდვა მაღაზიაში გვაცილებს დაუსრულებელ რიგებს, როცა შოპინგი უკვე სიამოვნება კი არა, ტანჯვაა. XXI საუკუნის ყველაზე დიდი ფუფუნებაა ონლაინ ნივთის შეძენაა, როცა სახლიდან გაუსვლელად, საცობში მოხვედრის გარეშე, სალაროსთან ურიგოდ გასვლით, შეგიძლიათ შეიძინოთ სასურველი ნივთი, იქნება ეს საკვები პროდუქტი, ტექნიკა , ჩასაცმელი თუ სხვა ჩვენთვის სასურველი პროდუქტი, კურიერი ამ ყველაფერს სახლში მოგიტანთ თქვენი დამატებითი ძალისხმევის გარეშე.

3. სმარტფონები

ჭკვიანი მობილური ტელეფონების ამოქმედებამ გარდაქმნა საკომუნიკაციო სისტემები, როგორც ხმოვანი, ასევე მოკლეტექსტური კომუნიკაციის საშუალებით. დღეს არსებობს სმარტფონები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა სახის ციფრულ ტექნოლოგიას, როგორიცაა კალკულატორები, კამერები, რუკების შედგენა, კალენდარში შეხვედრის ჩანიშვნა, ონლაინ თარგმანი, სხვადასხვა საძიებო სისტემა, ფიზიკური აქტივობის მაჩვენებელი და სხვა. უამრავი სასარგებლო ფუნქციის მატარებელია ერთი პატარა მოწყობილობა, რომლის გარეშეც ცხოვრება უკვე წარმოუდგენელია, აგრეთვე მისი ფუნქიების ჩამონათვალი დღითიდღე იზრდება და გაოცებას იწვევს ჩვენში. ეს კი გამარტივებული ეკონომიკური მოგების საშუალებას გვაძლევს ჩვენ მომხმარებლებს.

4. კრიპტოვალუტა

კრიპტოვალუტის ყველაზე ცნობილი ფორმაა ბიტკოინი, რომელიც დაფუძნებულია ბლოკჩეინის ტექნოლოგიაზე. ის ისეთივე ვალუტის ფორმაა როგორიც აშშ დოლარი და გირვანქა სტერლინგი, თუმცა მას არ გააჩნია მატერიის ფორმა და მთლიანად ციფრულ ფორმატს ემყარება, შესაბამისად კრიპტოვალუტა გამოიყენება ვირტუალურ გაცვლით სისტემაში. კრიპტო ფულის გადარიცხვისას ტრანზაქციები შედის და ჩაიწერება ზოგად წიგნში, ბლოკჩეინის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, რის საფუძველზეც ხორციელდება ხარჯვითი ბალანსის დაანგარიშება, ამის შემდეგ ხდება ახალი ტრანზაქციების გადამოწმება. ბლოკის ჯაჭვის მთლიანობა და ქრონოლოგიური რიგი დაცულია კრიპტოგრაფიით.

ეს ის მაგალითებია ტექნოლოგიებზე, რომლებიც ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ამას ასევე ემატება ისეთი ტექნოლოგიური საშუალებები როგორიცაა: ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინის ტექნოლოგია, ონლაინ წიგნები,

ღრუბელური სისტემა თუ სხვა მრავალი, რომელიც ციფრული ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია.

ტექნოლოგიების ჩართვა საერთაშორისო ვაჭრობაში:

ციფრული ეკონომიკის განვითარება ქმნის ახალ შესაძლებლობებს ეკონომიკისათვის. მასიყენებენგანვითარებისმიზნით,ეკონომიკისგასაუმჯობესებლად,პროდუქტიულობის ზრდისათვის. ციფრული პლატფორმები ხელს უწყობენ გარიგებების ქსელში ჩართვასა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას. ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით, ბიზნესს შეუძლია პერსპექტივების ზრდა, აგრეთვე ადამიანური რესურსზე დანახარჯების შემცირება, რაც საბოლოოდ მოგების მაქსიმიზაციას უწყობს ხელს.ციფრული პლატფორმები სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ მსოფლიო ბაზარზე და ბევრმა კომპანიამ ლიდერის პოზიცია დაიკავა გარკვეული მიმართულებებით მაგ: „საძიებო პლატფორმის 90% ფლობს Google-ი, სოციალური ქსელების ორმესამედს facebook-ი ფლობს, მსოფლიოში ოლაინ საცალო გაყიდვების 40%-ს Amazon Web განაგებს, ჩინეთში ელექტრონული კომერციის ბაზრის 60 % Alipay (Alibaba) ფლობს და სხვა მრავალი მაგალითი“.

ციფრული გიგანტების წარმატებასა და დომინანტურ პოზიციას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს :

1) მომხმარებელთა სიმრავლე პლათფორმაზე - ანუ, რაც უფრო მეტი მომხმარებელი ჰყავს ამა თუ იმ ციფრულ პლათფორმაზე არსებულ კომპანიას, ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნადია, რაც უფრო მოთხოვნადია, მით უფრო დიდია მისი გავლენა ციფრულ კომერციაზე, მით უფრო ღირებული ხდება იგი ყველასთვის, როგორც მომხმარებლისთვის, ისე ბაზრისათვის.

2) ინფორმაციისა და მონაცემების სწრაფი ანალიზი - ყველამ ვიცით, რომ ინფორმაციას დიდი ძალა გააჩნია, ციფრულ პლათფორმაზეც მონაცემების სწრაფ დამუშავებას, ანალიზს, დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არის გარანტი პირველობისა, სისწრაფე ამ კუთხით უპირატესობას ანიჭებს კომპანიას მეტოქის მიმართ.

3) მულტიფუნქციურობა - კომპანიის პრიორიტეტულობასა და მოთხოვნადობას განსაზღვრავს მისი უნარი, შესთავაზოს მომხმარებელს რამდენიმე მომსახურება ერთ სივრცეში. ჩვენს რეალობაში, იმის ფონზე, რომ მუდმივად განვიცდით დროის სიმცირეს, მნიშვნელოვანია მისი ეკონომიის მიზნით ავარჩიოთ ესა თუ ის კომპანია, რომლის პლათფორმაცგვთავაზობსბევრისახისმომსახურებასდაარგვიწევსსხვამოთხოვნისათვის გადავიდეთ სხვა კომპანიაზე.ტექნოლოგიების სფერო ქმნის შესაძლებლობებსა და ახალ გამოწვევებს, რათქმაუნდა მისი განვითარება გარკვეულწილად დამოკიდებულია სამთავრობო პოლიტიკაზე, ვინაიდან დაინტერესებული პირები, მოლაპარაკებების შედეგად ქმნიან „თამაშის წესებს“. სწორედ ქვეყნის მმართველი ძალა განსაზღვრავს ტექნოლოგიების განვითარების მომავალს, მათ უნდა გააკეთონ არჩევანი და შეიტანონ კანონში ისეთი პუნქტები, რომლებიც ხელს შეუშლის კონკრეტული კომპანიის გაბატონებას ციფრულ ეკონომიკაში და ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვაჭრობას ყველა ქვეყნის ჩართულობით.

საქართველოს პოტენციალი:

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ეს სფერო დღითიდღე იხვეწება და ვითარდება. უკვე არსებობს მრავალი კომპანია, რომელიც ციფრული ტექნოლოგიებით ხელმძღვანელობს, იქმნება სხვადასხვა ინოვაციური პროდუქტი და სტარტაპი. საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი ციფრული ეკონომიკური რესურსი, განვითარებული ელექტრონული სერვისები და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, თუმცა, არ ფლობს ციფრულ ეკონომიკურ პოლიტიკას და ეფექტიან სტრატეგიას. ციფრული ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში ძირითად გამოწვევად რჩება:

- " ელექტრონული მმართველობის სტანდარტები, ნორმატიულ სამართლებრივი ბაზა, ციფრული სტრატეგია და პოლიტიკა".
- „ინდუსტრიის აპარატული და პროგრამული პროდუქტების განვითარების ხელშემწყობი პროგრამები".
- „სოციალურ-ეკონომიკურიაქტივიზაცია,რომელიცსტიმულირებულიაბლოკჩეინით, ქლოუდკომპიუტინგით, მობილური, სოციალური და სენსორული ქსელებით".

შესაბამისად, არსებული მოცემულობის გამო, საქართველოს მთავრობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

1. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ქვეყნის ციფროვიზაციისკენ;

2. მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს ციფრული გარემოს აუთვისებელ მიმართულებებზე, „ციფრულ მიწებსა" და საექსპორტო ციფრულ პროდუქტებზე;

3. უნდა გააქტიურდეს ციფრული ეკონომიკური დიპლომატია და დიპლომატიური პლატფორმით გააქტიურებული ციფრული ეკონომიკური ურთიერთობები;

4. საქართველოს პოლიტიკური ინტერესებით, გლობალურ ბაზარზე უნდა ჩამოყალიბდეს სტრატეგიული ბიზნეს აქტივობისა და კონკურენტუნარიანობის მქონე ქართული კომპანიები;

იმისათვის, რომ სრულფასოვნად გაიხსნას ციფრული ტექნოლოგიების სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი და ამასთან, თავი ავარიდოთ არასასურველ შედეგებს, აუცილებელია რაც შეიძლება უფრო ჩქარა განვამტკიცოთ საერთაშორისო თანამშრომლობა, რაც საშუალებას მოგვცემს მეტად ინფორმირების და ციფრული ეკონომიკის საფუძვლიანად ათვისების. ეს ყოველივე რაღათქმაუნდა არ მოიაზრება რამდენიმე წელიწადში, მაგრამ მთავარი არის გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც გარკვეულ წარმატებას მოგვიტანს დროის გარკვეულ პერიოდში.

საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ ციფრული ეკონომიკა წარმოადგენს ჩვენს ყოველდღიურობას, რომელიც მაქსიმალური სისწრაფით ვითარდება მსოფლიო ბაზარზე და ის არის საუკეთესო გზა ეკონომიკური განვითარებისთვის. „ეს არის საშუალება, რომელიც ყოველდღიურად გვიზოგავს დროს, ენერგიას და თუნდაც გადააგილების დანახარჯებს, ეს ყველაფერი კი ღილაკზე ერთი თითის დაჭერით ხდება", რაც მარტივი მოგების საშუალებაა. ამრიგად მსოფლიო მთლიანად ჩართულია ეკონომიკის გაციფრულებაში და საჭიროა საქართველომაც გადადგას შესაბამისი ნაბიჯები და გამოიყენოს პოტენციალი, რათა თანდათან მოხდეს მსოფლიო დღის წესრიგში ჩაბმა,

ურთიერთობების გამოყენებით და ინვესტიციების მოძიებით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1.https://www.isoconsulting.ge/single-post/რა-არის-ციფრული-ეკონომიკა

2.https://bm.ge/ka/article/cifruli-ekonomika-sigaribis-da-utanasworobis-winaagmdeg---ra-ti-abuladze/38437

3.https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=1102&title=ციფრული%20ეკონომიკა:%20პრობლემები%20და%20პერსპექტივები

4.https://www.economiafinanzas.com/ka/que-es-la-economia-digital/

5.http://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=1001&title=ციფრული%20პლატფორმები%20და%20ეკონომიკური%20გავლენები

6.https://forbes.ge/tsiphruli-ekonomika-krizi/


## Importance and prospects of digital economy


**Ketevan Chiabryshvili[1] Saba Gasishvili[2] Malkhaz Termakozashvili[3]**

[1] Associate Professor of Free Academy of Tbilisi, kchiabrishvili@freeacademy.edu.ge
[2] Second-year cadet of the Georgian National Defense Academy named after Davit Agmashenebeli
[3] Second-year cadet of the Georgian National Defense Academy named after Davit Agmashenebeli



**Abstract**

The purpose of this paper is to determine the feature and essence of the digital economy. It studies and evaluates the role of modern technologies in economy and international trade. The main sectors, segments and directions of the market are presented, where the development of digital operations has been considered as vitally important for the economy of Georgia in the modern competitive and diverse international market. The paper discusses the etymology of the digital economy and its special roles in trade and banking.In this paper, through the method of comparative analysis, the key issues have been analyzed that possess a positive impact on the social and political environment both internationally and in Georgia on digital platforms. The paper examines the prospects of digital economy development and the importance of having appropriate policies at the Government level.



**Key words:** Digital Economy, Technologies, International Trade, Sustainable Development, Politics

# მწვანე ეკონომიკის წანამძღვრები და მისი რამდენიმე მნიშვნელობა

**ქეთევან ჭიაბრიშვილი[1] დავით წაქაძე[2] ნიკოლოზ ზაზიაშვილი[3]**

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ასოცირებული პროფესორი, kchiabrishvili@freeacademy.edu.ge
[2]დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიის სტუდენტი
[3]დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიის სტუდენტი

**აბსტრაქტი**

მწვანე ეკონომიკის განვითარება თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური ვითარების უკეთესისკენ შეცვლის რეალური გზა და მიმართულებაა. ნაშრომში წარმოდგენილი, განხილული და გაანალიზებულია მწვანე ეკონომიკის აუცილებლობის, როგორც მდგრადი განვითარების შემადგენელის ისტორიული წანამძღვრები და მისი მნიშვნელოვანი მიმართულებები, მათ შორის წრიული ეკონომიკა, ნარჩენების სეპარაცია და პროექტები, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში საწარმოო პროცესისა და შეზღუდული რესურსების რაცინალურად და ეფექტიანად მართვის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. ნაშრომში იმ ქვეყნების გამოცდილებაზეა ყურადღება გამახვილებული, რომლებმაც გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს ეკონომიკის ამ კუთხით განვითარებაში. ნაშრომში ასევე განხილულია წრიული ეკონომიკის არსი და ძირითადი კონცეფციები.
მოსახლეობის რიცხოვნობა დღითიდღე, არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობის პარალელურად იზრდება. ამ ორ მოცემულობაში კანონზომიერების დარღვევა პირდაპირი თუ თანმდევი ეკონომიკური ეფექტებით მრავალ ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემას წარმოქმნის. წრიული ეკონომიკა აღნიშნული პრობლემის მოგვარების საშუალებას გვთავაზობს. ნაშრომში გადმოცემულია ის ძირითადი მექანიზმები, რომლითაც წრიული ეკონომიკის დანერგვაა შესაძლებელი და ჩანს განსხვავება სწორხაზოვან და წრიულ ეკონომიკებს შორის. ნაშრომში ყურადღება ეთმობა წრიული ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან - ნარჩენების მართვის მიმართულებას და ამ კუთხით მთავრობების მიერ შექმნილი კონცეფციების და მისი შესაძლო განხორციელების ანალიზს.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, მწვანე კონცეფცია, წრიული ეკონომიკა, ნარჩენების მართვა

ეკონომიკის მდგრადი განვითარება თანამედროვე სახელმწიფოს ამოცანაა. რამდენიმე ათეული წელია, მწვანე ეკონომიკის განვითარება და მასთან დაკავშირებული ტრადიციული თუ ინოვაციური პროექტებისა და მარეგულირებელი ღონისძიებების არსებობა და განხორციელება, ამ ამოცანის ერთ-ერთ პრიოტიტეტს წარმოადგენს. დღეს, მთავრობებს დეკლარირებული აქვთ ეკონომიკის განვითარების მწვანე ორიენტაცია და მისი განხორციელება რამდენიმე წელია ჩვენს ქვეყანაშიც მიმდინარეობს. უკანასკნელ პერიოდში წამყვანი ქვეყნების განვითარების სტრატეგიაში სამეცნიერო კვლევებზე

დაყრდნობით სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა, გარემოს განადგურებისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ არსებულ და საჭირო ღონისძიებებს, რომელიც თავის მხრივ ეკონომიკური მოდელის და საწარმოო პროცესების გარკვეულ ცვლილებებს საჭიროებს.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მწვანე ეკონომიკის, როგორც თანამედროვე მდგრადი ეკონომიკის შემადგენელი ნაწილის მნიშვნელობა და მისი თეორიული წანამძღვრები. ასევე გაანალიზებულია მისი მნიშვნელოვანი კონცეფცია, - წრიული ეკონომიკა და ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება - ნარჩენების სეპარაცია.

საკითხის მეცნიერული და თეორიული წანამძღვრები: მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი განვითარება და მწვანე ეკონომიკა თანამედროვე კონცეპტებია, აღნიშნული ტერმინები პირველად 1972 წელს, რომის კლუბის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში -„ზრდის შეზღუდვები“ გამოჩნდა. დოკუმენტის შექმნაში, იმ დროისთვის აღიარებული 17 მეცნიერ-მკვლევარი იყო ჩართული (მაგ. დონელა და დენის მიდოუები, WORD 3-ის შემქმნელები.) მეცნიერთა ეს ჯგუფი აქტიურად იკვლევდა ინდუსტრიალიზაციის პროცესს, მოსახლეობის ზრდას, რესურსების მოხმარებას და ამ მოვლენებთან დაკავშირებულ გარემოს დაბინძურების პრობლემებს . კვლევის შედეგად შეიქმნა ანგარიში, რომლის მთავარ მიზანს იმ შედეგების ნათლად წარმოჩენა წარმოადგენდა, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მიმართ ადამიანის ზერელე დამოკიდებულებას მოსდევს. ნაშრომის ძირითადი აქცენტია ის, რომ დღეს, მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდის, შეზღუდული რესურსების წარმოებისა და ჭარბი მოხმარების გამო, კაცობრიობა, სავარაუდო და მოსალოდნელი ბუნებრივი კატაკლიზმებისა და კლიმატის ცვლილების თვალსაზრისით, სერიოზული საფრთხის წინაშე დგას.

1992 წელს რიო დე ჟანეიროში გაეროს მიერ, გარემოს დაცვის განვითარების შესახებ ჩატარებულ კონფერენციაზე, მიღებულ იქნა გრუ ჰარმელ ბრუნტლენდის მიერ წარდგენილი კონცეფცია, ეკონომიკის მდგრადი განვითარების შესახებ. ამავე კონფერენციაზე ჩაეყარა საფუძველი მწვანე ეკონომიკისა და შესაბამისად, მდგრადი განვითარების მნიშვნელობასაც. 1994 წელი კი გარდამტეხი ეტაპია მდგრადი ბიზნესის განვითარებაში. ამ წელს ჯონ ელკინტონმა წარმოადგინა ეკონომიკური მოდელი, რომელშიც საზოგადოების ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მიზნები თანაბარმნიშვნელოვანია. ეს მოდელი ცნობილია, როგორც - ,,triple bottom line”-ი (ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ფაქტორების ერთმნიშვნელობა). 1992 წლის კონფერენციიდან 20 წლის თავზე - 2012 წელს ჩატარდა კონფერენცია ,,რიო+20“, რომელზეც განსახილველ საკითხებს წარმოადგენდა, მსოფლიო მოსახლეობისა და ეკონომიკის ზრდა, არაგანახლებადი რესურსების ალტერნატიული რესურსებით ჩანაცვლება, გარემოს დაბინძურება, განახლებადი რესურსების სწორად გამოყენება და მათი კვლავ გამოყენების შესაძლებლობის შენარჩუნება. მწვანე ეკონომიკის მიზანსაც სწორედ ამ თემებთან დაკავშირებული, გლობალური პრობლემების გადაჭრა წარმოადგენს. მოცემული პრობლემის აქტუალობა გამომდინარეობს თავის მხრივ მდგრადი განვითარების არსიდან, ვინაიდან ის ფუნდამენტურ როლს თამაშობს ეკონომიკური ზრდის საკითხში, ისე, რომ დაცული იყოს მომავალი თაობის ინტერესებიც, ამასთან იგი

ემსახურება  წარმოების შედეგად გარემოზე ნეგატიური ზეგავლენის მინიმალიზაციას-რაც კაცობრიობის სწორი განვითარების წინაპირობაა.

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის  (United Nations Environment Programme) ფარგლებში შეიქმნა ანგარიში, რომელშიც საუბარია კლიმატის ცვლილებებთან, რესურსებთან, ენერგეტიკასა და ფინანსებთან დაკავშირებული გლობალური პრობლემების მიზეზებზე. ანგარიში ამტკიცებს, რომ საერთაშორისო კრიზისის მიზეზი ინვესტიციების და ეკონომიკის არასწორი გზით მართვაა, ინვესტირება ხდებოდა ,,ყავისფერ ეკონომიკაში" (მაგ. წიაღისეული) მწვანე სექტორის (მაგ.განახლებადი ენერგია) ნაცვლად, ამას გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის წარმომადგენლობა რესურსების არასწორ გადანაწილებად მიიჩნევს.  ამავე მოხსენებაში ნათქვამია, რომ სწორი გზით ეკონომიკურ ზრდას აუცილებლად მივიღებთ გრძელვადიან პერსპექტივაში, თუ მსოფლიო მწვანე ეკონომიკას აირჩევს, ამისთის საჭირო იქნება წელიწადში 1,3 ტრილიონი აშშ  დოლარი (გლობალური მშპ-ს დაახლოებით 2%) 2050 წლამდე.  ევროკავშირის ეგიდით არაერთი საერთაშორისო დონის პროგრამა მიმდინარეობს, მათ შორისაა EU4Environment, ამ უკანასკნელის მიზანია ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება და უკეთ გამოყენება, ადამიანთა გარემოსდაცვითი კეთილდღეობის გაზრდა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება შემდეგ ქვეყნებში: მოლდოვა, სომხეთი, უკრაინა, საქართველო, აზრებაიჯანი, ბელორუსია.  მიზნის მიღწევა იგეგმება გარემოსდაცვითი და ეკონომიკური სუბიექტების გაერთიანებით. მოცემული პროგრამა მიმართულია ხუთი პრიორიტეტული შედეგისკენ: 1)მწვანე გადაწყვეტილებების მიღება 2)წრიული ეკონომიკა 3) სამართლიანი და თანაბარი შესაძლებლობები გარემოსდაცვით სფეროში 4)ეკოსისტემური სერვისები 5) გარემოსდაცვით და ეკონომიკური სპექტრის შესხებ ცოდნის ამაღლება.

 არსებითად  მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ყველა სფეროში  განვითარების სტრატეგია უშუალოდ იყოს დაკავშირებული მოქალაქეთა კეთილდღეობის დონის ამაღლებასთან, ეს მოსაზრება ამტკიცებს მწვანე ეკონომიკის მნიშვნელობის სიდიადეს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. წრიული ეკონომიკა ცირკულარული ეკონომიკა  (Circular economy) წარმოადგენს მდგრადი განვითარების სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავს გარემოს დეგრადაციისა და რესურსების სიმწირესთან დაკავშირებული, გადაუდებელი პრობლემების გადაჭრის გზების პოვნას.  მეცნიერები და მკვლევარები აქტიურად იკვლევენ და შესაბამისად უკეთესი მომავლის შექმნის სტრატეგიებს ადგენენ. ცნობილია, რომ  2050 წლისთვის რესურსების მოხმარების დონე იმდენად გაიზრდება, რომ პროპორციულად სამჯერ დიდ პლანეტის საჭიროებას მოითხოვს. მომავალი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში წიაღისეულის, ბიომასის, მინერალებისა და მეტალების გლობალური მოხმარება ორჯერ გაიზრდება, ამას ემატება ნარჩენების

დიდი რაოდენობა, რომელიც 2050 წლისთვის 70%-ით გაიზრდება. მსოფლიომ რესურსების ეფექტური გამოყენებისა და გლობალური დათბობის თავიდან ასაცილებლად შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც ქვეყნები სწორხაზოვან ეკონომიკურ ზრდას შეამცირებენ რესურსების რაციონალური გამოყენების ხარჯზე, სწორედ ამ სტრატეგიას წარმოადგენს წრიული ეკონომიკა (CE) . ამ უკანასკნელი ეკონომიკური მოდელის არსს წარმოადგენს რესურსების რაციონალური გამოყენება, პირველხარისხოვანი რესურსების ფლანგვის შეჩერება, პროდუქტებისა და მათი შემადგენელი კომპონენტების წრიული გამოყენების გზით. მსოფლიოში ამ ეტაპისთვის წრიული ეკონომიკის რამდენიმე მოდელი განიხილება, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია ბი ჯონსონის ,,5R" მოდელი, რომელიც შედგება შემდეგი ხუთი კომპონენტისგან:

- Reuse (თავიდან გამოყენება) - ნივთების მრავალჯერადად გამოყენება, ერთჯერადი ნივთების ხმარებიდან ამოღება.
- Recycle (გადამუშავება) - ნივთების გადამუშავება, თუ ეს შესაძლებელია.
- Refuse (უარყოფა) - ნივთების გამოყენება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.
- Reduce (შემცირება) - ნაკლებად საჭირო ნივთების შეძენის შემცირება, მხოლოდ იმის შეძენა რაც ადამიანისთვის საჭიროა.
- Rot (დაკომპოსტირება) - ის მასალა, რომელიც შესაძლოა დაკომპოსტირდეს მნიშნელოვანია გამოვიყენოთ ნიადაგის განაყოფიერებისათვის.

,,ევროკავშირი გარემოსთვის" (EU4Enviroment) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამაა, რომელიც ეკონომიკის სფეროს განვითარების მრავალ სტრატეგიას მოიცავს, მათ შორისაა წრიული ეკონომიკა, ამ მხრივ პროგრამის მიზანია : ცნობიერების ამაღლება წრიული ეკონომიკის კონცეფციებისა და მიდგომების შესახებ, საწარმოო საქმიანობიდან ნარჩენების წყაროს დადგენა და შეფასება, ნარჩენების რუკების მომზადება საპილოტე მუნიციპალიტეტებში.

ევროკომისიამ მიიღო წრიული ეკონომიკის ახალი სამოქმედო გეგმა (CEAP), ეს არის ევროპული მწვანე გარიგების ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი ნაწილი, ევროპის ახალი დღის წესრიგი, რომელიც შეამცირებს ზეწოლას ბუნებრივ რესურსებზე და შექმნის მდგრად ზრდასა და სამუშაო ადგილებს, იგი ასევე გახლავთ წინაპირობა 2050 წლის კლიმატის ნეიტრალურობის მიზნის შემადგენელი ნაწილი.

გლობალური გამოცდილება მწვანე ეკონომიკის განვითარებისა და ნარჩენების სეპარაცია

თანამედროვე მსოფლიოში გლობალური ეკონომიკა მწვანე სტრატეგიამ მოიცვა, ვინაიდან იგი ყველა სახელმწიფოსთვის სასურველი სტრატეგიაა. ეს უკანასკნელი საუკეთესო საშუალებაა შედეგიანი ალტერნატივების საპოვნელად, იგი არის გარანტი რეალური და მყარი ეკონომიკური განვითარებისა, ამასთან ამცირებს გარემოს დაბინძურებას, კლიმატის ცვლილებებსა და რესურსების გამოლევის ალბათობას. მწვანე ეკონომიკის დაყოფა შესაძლებელია ექვს ნაწილად, ესენია- განახლებადი ენერგია, მწვანე შენობები (ეკოლოგიურად სუფთა მასალები და ენერგიის მოდიფიკატორები), მწვანე ტრანსპორტი (ჰიბრიდული და ელექტროსატრანსპორტო საშუალებები), წყლის რაციონალურად გამოყენება, ნარჩენებისა და მიწის მენეჯმენტი. მწვანე ეკონომიკის ამ დადებითი მხარეებიდან გამომდინარე, იგი სულ უფრო პოპულარული და სასურველი ხდება მსოფლიოს მასშტაბით. ყოველწლიურად იზრდება მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი. ჩინეთმა წინა ათწლეულში პირველი ადგილი დაიკავა განახლებად ენერგიაში დაბანდებული ინვესტიციების რაოდენობით, 2010 წელს სწორედ ჩინეთმა 34 მილიარდი დოლარის ინვესტიცია გაიღო სუფთა ენერგიის დასაფინანსებლად. საინტერესოა კენიის გამოცდილებაც, 2008 წელს კენიის ენერგეტიკის სამინისტრომ მიიღო ახალი ტარიფი, რომელიც მიზნად ისახავდა განახლებადი ენერგიის (მზის, ჰიდროელექტროსადგურების..) გამოყენების გაზრდას, ვინაიდან კენიაში ამ გეგმას ჰქონდა პოტენციალი განვითარებისა. ბრაზილიის ქალაქ კურიტიბაში შეიქმნა ინოვაციური პროექტები, რომელთა დამსახურებითაც ურბანიზაციისა და მოსახლეობის გაზრდის მიუხედავად ქალაქში გარემოს დაცვითი ტენდენციები გაიზარდა.

დღეის მონაცემებით, ბუნებრივი რესურსების რაოდენობა, მისი მოხმარებისა და არსებული მარაგის მიხედვით ფაქტიურად ერთმანეთთან გათანაბრებულია. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ბუნებიდან ამოღებული რესურსის სრული მოცულობის მხოლოდ 10% გარდაიქმნება საზოგადოებისათვის სასარგებლო პროდუქტად, 90% კი რჩება ნარჩენად. ნარჩენების საერთო მოცულობის მრავალტონიან ნაწილს კი - სწორედ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენები წარმოადგენს.

ნარჩენების მართვა აქტუალურ და მეტად საყურადღებო ეკონომიკური პრობლემაა, არამხოლოდ კონკრეტული ქვეყნებისთვის, არამედ გლობალურ დონეზე. ნარჩენებს აქვთ უარყოფითი გავლენა გარემოზე, ადამიანსა და მის ჯამრთელობაზე, ყოველივეს ამძაფრებს მცირე ტერიტორიის მქონე ქვეყნებისთვის ნაგავსაყრელებისათვის ადგილის დათმობა, ნარჩენები პოტენციური ნედლეულისა და ენერგიის კარგვაა, ნარჩენების გადამუშავებით სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს სერიოზული ეკონომიკური და სოციალური სარგებელი. ბოლო რამდენიმე დეკადის განმავლობაში ევროკავშირი ინტენსიურად მუშაობდა

გარემოსდაცვითი პროექტების გეგმებზე, მათ შორის ნარჩენების სეპარაცია ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა, ევროკავშირის მე-6 გარემოსდავით სამოქმედო გეგმაში(2002-2012) ნარჩენების პრევენცია იყო ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს შორის, ამ გეგმას კი მოჰყვა ნარჩენების გადამუშავების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა. ევროკავშირის მიზანი იყო 2020 წლისთვის მუნიციპალური ნარჩენების 50%-ით და სამშენებლო ნარჩენების 70%-ით შემცირება. განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, ჩვენს ქვეყანაშიც მყარი ნარჩენების მართვა დიდი გამოწვევებს უკავშირდება.ქალაქებს, რაიონებსა და სოფლებს დასუფთავების სერვისი არ არის განვითარებული შესაბამისად მათი მოსახლეობა ყველა ხელსაყრელ საშუალებას მიმართავს, როგორიცაა ნაგვის მდინარეებსა და ხეობებში გადაყრა. ამ პრობლემის გადასაჭრელად, საქართველოში ნარჩენების სეპარირება 2019 წლიდან იგეგმებოდა, თუმცა მასზე მუშაობის დაწყება დროულად ვერ მოხერხდა. ნარჩენების სეპარირების პროექტი 2021 წელს დაიწყო და მას თბილისის მერია და თბილსერვის ჯგუფი ახორციელებს. საქართველოში ნარჩენების სეპარირების სტრატეგია ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, მასზე მუშაობა ახლაც მიმდინარეობს და დასრულება 2021 წლის მიწურულს იგეგმება.

კაცობრიობა განვითარების ახალ ეტაპზეა, ახალი ერა და ტექნოლოგიური მიღწევები  საშუალებას გვაძლევს მაქსიმალურად სწორად ცხოვრებისა, რაც გამოიხატება რესურსების სწორად გამოყენებასა და გადანაწილებაში. მოსახლეობის რაოდენობის ზრდას თან ახლავს მოთხოვნილების მასშტაბების გაზრდაც, ეს ყოველივე კი თავისთავად მოითხოვს რესურსების მეტ რაოდენობას, ამოწურვადი რესურსების გამოყენების ზრდას შეუძლია კაცობრიობის დამანგრეველ შედეგებამდე მიყვანა, სწორედ ამიტომაა არსებითად მნიშვნელოვანი ალტერნატიული გზების ძებნა. თანამედროვე სამყაროს სწორად განვითარების ერთადერთი გზა გარემოსდაცვითი სტრატეგიების შემუშავებაში მდგომარეობს. მდგარადი განვითარება ყველა სახელმწიფოებრივ სფეროს ეხება, მათგან გასნაკუთრებულად მნიშვნელოვანია - მწვანე ეკონომიკა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკის განვითარებას გარემოს დაცვის პირობებში. მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია წრიული ეკონომიკისა და ნარჩენების სეპარაციის დანერგვა. საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, შესაბამისად ჩვენს სახელმწიფოში მწვანე ეკონომიკის სტრატეგიის განხორციელება მარტივი არ იქნება. მწვანე ეკონომიკას ინვესტიციების დიდი რაოდენობა სჭირდება, რისი რესურსიც განვითარებად ქვეყნებში არაა, თუმცა საქართველოს მთავრობა აქტიურადაა ჩართული მსოფლიოში მწვანე ეკონომიკასთან დაკავშირებით გატარებულ სიახლეებში. ვთვლი, რომ ჩვენს ქვეყანას აქვს პოტენციალი მწვანე ეკონომიკის განვითარებისა, ეს პროცესი უკვე დაწყებულია, რაც ამტკიცებს ჩვენს სურვილსა და მისწრაფებას მოხდეს მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის სტრატეგიების იმპლემენტაცია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1) Assessing the health impacts of a circular economy (who.int);
2) კონფერენცია (tsu.ge);
3) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (economy.ge);
4) Why Green Economy? | Introduction to the green economy;
5) წრიული (ცირკულარული) ეკონომიკა – Sustainability.Ge;
6) Why Green Economy? | Keywords: green growth;
7) Why Green Economy? | Green Economy Report (UNEP);
8) Assessing the health impacts of a circular economy (who.int);
9) COVID-19: Towards a green economic recovery - Punch Newspapers (punchng.com);
10) მწვანე ეკონომიკა და საქართველო - საქართველოს ეკონომიკა (geoeconomics.ge);
11) How to build a fair and green economic system after covid-19 | New Scientist;
12) Leaflet-GE (1) (recp.ge);
13) Green Economy: Developing countries success stories | Green Growth Knowledge Platform.


## Principles of green economy and some of its implications


**Ketevan Chiabrishvili[1] Davit Tsakadze[2] Nikoloz Zaziashvili[3]**

[1]Associate Professor of Free Academy of Tbilisi, kchiabrishvili@freeacademy.edu.ge
[2]Student of the National Defense Academy of Georgia named after Davit Agmashenebeli



**ABSTRACT**

Development of green economy is the most realistic way to solve social-economic and ecological problems and improve sustainability. Paper discusses and analyses the importance of green economy as one of the most important components of sustainability; circle economy, its main principles and concepts; waste separation projects aiming at better management of production processes and scarce resources; examples of success stories of different countries.

World population increases in parallel with scarcity of nonrenewable natural resources. Those two serve as precondition to economic and ecological problems and lead to consequences. Circle economy can be considered as one solution. Paper provides main mechanisms for implementation of circle economy; also shows the difference between linear and circle economies. Waste management is among those mechanisms and attention is devoted to concepts of the governments and ways for their implementation.



**Key words:** green economy, green declaration, circle economy, reproduction, waste management

# საინვესტიციო გარემოს მართვა

ქეთევან ჭიაბრიშვილი[1] ლაშა აბულაძე[2] დავით ლეჟავა[3]

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ასოცირებული პროფესორი, kchiabrishvili@freeacademy.edu.ge
[2]დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიის სტუდენტი
[3]დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიის სტუდენტი

**აბსტრაქტი**

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოს საინვესტიციო გარემოს ანალიზი, განვითარების პერსპექტივების მიმოხილვა და იმ პროექტების შეფასება, რომელთაც შესაძლოა დადებითი ასახვა ჰპოვონ ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ოპტიმიზაციაზე. ნაშრომში განხილულია ინვესტიციების ეტიმოლოგია და როლი ქვეყნის ეკონომიკაში, ასევე საუბარია იმ მიმართულებებზე, რომელთა პოპულარიზაციაც როგორც ქვეყნის, ისე ინვესტორის ინტერესებში შედის (პროფესიული განათლება....). მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული იმ ფაქტორებზე, რომელთა არსებობაც ერთგვარი მოტივაციაა ინვესტორებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ინვესტიცია, საინვესტიციო გარემო, პროფესიული განათლება, ინვესტორი საფონდო ბირჟა, მოთხოვნა - მიწოდება.

ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობისთვის აუცილებელია მაკროეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნება, კერძოდ, მნიშვნელოვანია შრომისუნარიანი მოსახლეობის მაქსიმალურად დასაქმება, სახელმწიფოს ეკონომიკური დოვლათის ზრდა(ეკონომიკური ზრდა), ინფლაციის დონის შემცირება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ქვეყნის გლობალურ ეკონომიკაში ჩართულობის ზრდა და სხვა. ყველაფერ ამის წინაპირობას ქმნის ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს არსებობა, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად ბიზნესის კეთების სიმარტივესა და იაფი მუშახელის შეთავაზებაში გამოიხატება. ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანას აძლევს შესაძლებლობას მაქსიმალურად გამოიყენოს მის მფლობელობაში არსებული რესურსები, გაზარდოს საექსპორტო პოტენციალი და მოიზიდოს სავალუტო შემოსავლები, ასევე გასათვალისწინებელია, რომ ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკური წრებრუნვის დაჩქარებას შეუწყობს ხელს, რაც დადებითად აისახება როგორც მოსახლეობის, ისე სახელმწიფოს შემოსავლების ზრდის დინამიკაზე. იმისათვის, რომ უფრო ცხადი გახდეს ინვესტიციის ეტიმოლოგია და ის როლი, რაც მას ქვეყნის ეკონომიკაში გააჩნია განვიხილოთ მისი არსი. ინვესტიცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და აღნიშნავს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებში კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებას. სხვა განმარტების მიხედვით, რომელსაც უილიამ შარპი და მისი თანამოაზრეები გვთავაზობენ, ინვესტიცია ეს არის ,,ფულთან განშორება დღეს, ხვალ უფრო მეტის მიღების მიზნით». საქართველოს კანონის მიხედვით: ,,ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა

ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში.›› მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია ინვესტიციების კლასიფიკაცია განაცხადის, გამოყენების ხასიათისა და დროისგათვალისწინებით.

განაცხადის მიხედვით ინვესტიცია შეიძლება განხოლციელდეს ქონებაში (მატერიალური), ფინანსურ საკუთრებაში ან არამატერიალურ აქტივებში. საყურადღებოა, რომ ინვესტიციის აღნიშნული სახე იყოფა პორტფოლიო და პირდაპირ, ანუ რეალურ ინვესტიციებად, განვიხილოთ თითოეული:

ინვესტიცია ქონებაში - მოიცავს იმ ინვესტიციებს , რომლებიც მონაწილეობენ წარმოების პროცესში. ფინანსური ინვესტიციები- ითვალისწინებს ფინანსურ საკუთრებაში ჩადებულ თანხას ან/და ბიზნესის უფლებების შეძენას, რაც გამოიხატება აქციების ან ფასიანი ქაღალდების შესყიდვაში. არამატერიალური ინვესტიციები- აერთიანებს იმ კაპიტალ დაბანდებებს, რომლებიც ხორციელდება ცალკეულ კვლევებში, რეკლამირებასა და სხვა არამატერიალურ აქტივებთან დაკავშირებულ საკითხებში. რაც შეეხება პორტფოლიოს იგი ითვალისწინებს ფინანსური პორტფელის მობილიზებას ფასიანი ქაღალდებისა და სხვა გარკვეული ღირებულების მქონე აქტივების შეძენით. პირდაპირი ანუ რეალური ინვესტიციები არის ის კაპიტალდაბანდებები, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფო ან კერძო კომპანიის წარმოებაში. ხანგრძლივობის თვალსაზრისით განიხილავენ მოკლევადიან (1 წლამდე),

საშუალოვადიან (1-3წლამდე) და გრძელვადიან (3-5წლამდე და მეტი) ინვესტიციებს. საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს მართვა და ინვესტორის დაინტერესებაზე მოქმედი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც დადებითად მოქმედებს ინვესტორის დაინტერესებაზე არის ქვეყნის სავაჭრო შეთანხმებები სხვა

სახელმწიფოებთან. საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა იმ თვალსაზრისით, რომ მას აქვს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება როგორც ევროკავშირთან, ისე ჩინეთთან, შესაბამისად, ეს უკვე ნიშნავს დამატებითი ტარიფის გარეშე მსოფლიოს უდიდეს და მსყიდველუნარიან ბაზრებზე წვდომას.

იმისათვის, რომ მოხდეს ინვესტიციების შემოდინების ზრდა აუცილებელია განხორციელდეს ისეთი პროექტები,რომლებიც გაზრდიან საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას, კერძოდ აუცილებელია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ამ მხრივ საყურადღებოა რიკოთის გვირაბების სისტემა, რომელიც საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობას მნიშვნელოვნად გაზრდის. კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გაფართოებაც, რამეთუ ქვეყანას გააჩნია უნიკალური ტურისტული პოტენციალი, რომლის მაქსიმალურად ასათვისებლად აუცილებელია საჰაერო ტრანსპორტის განვითარებულობა. ქვეყანაში მეტი ტურისტის შემოსვლა სტიმული იქნება ინვესტორისთვის, რომ განახორციელოს ინვესტიცია ტურისტებისთვის სასურველი ინფრასტრუქტურისა და სერვისების შექმნის საქმეში.

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩინეთის ხელისუფლების ხელშეწყობით ხორციელდება ,,ერთი სარტყელი-ერთი გზის პროექტი›› , რომელიც მიზნად ისახავს

აბრეშუმის გზის თანამედროვე ანალოგის შექმნას. პოზიტიურ სიგნალად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ჩინეთიდან ტრანს-კასპიური მაგისტრალის გავლით საქართველოში სატვირთო მატარებლის ჩამოსვლა. დღეის მდგომარეობით საქართველოს ნავსადგურები ვერ იღებენ დიდი ზომის(10000TEU) ხომალდებს, რის გამოც შემოსული ტვირთის პატარა გემებზე გადატვირთვა ხდება თურქეთისა და საბერძნეთის პორტებში. აღნიშნული პროცედურა საჭიროებს დროს, რაც სპეციალური შენახვის პირობების საჭიროების მქონე ტვირთის გადაზიდვის ფასს ზრდის. იმისათვის, რომ აღნიშნული ჩავარდნა აღმოიფხვრას აუცილებელია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის აშენება. 2015 წლის მდგომარეობით ჩინეთიდან საქართველომდე ტვირთის გადასაზიდად საჭირო იყო 45დღემდე პერიოდი, რაც ბუნებრივია დიდ ხარჯებთანაც იყო დაკავშირებული მით უფრო მაშინ თუ გადასაზიდი ტვირთი სპეციალური შენახვის პირობებს საჭიროებდა. ახალი აბრეშუმის გზის ფარგლებში აშენებული სარკინიგზო მარშრუტის საშუალებით შესაძლებელი გახდა ტრანსპორტირების დროის 9 დღემდე შემცირება, რაც ბუნებრივია მომგებიანია მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვში ჩართული თითოეული ელემენტისათვის.

ქვეყანაში არსებული ადგილობრივი საინვესტიციო პოტენციალის ათვისების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს ბანკის, Galt&Taggart-სა და DriveWealth-ის ერთობლივი პროექტი, რომელიც საქართველოს ბანკის მომხმარებლებს ამერიკის საფონდო ბირჟაზე წვდომის შესაძლებლობას აძლევს. საინვესტიციო გარემოზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმი, საგადასახადო სისტემა, კრიმინალის დონე, კორუფცია და სხვა ფაქტორები. საგულისხმოა, რომ საქართველოში ბიზნესის დაწყება მხოლოდ 4 დღეშია შესაძლებელი. აღნიშნული მოცემულობა კიდევ ერთი ნიშანია ქვეყნის საინვესტიციო გარემოს უნიკალურობისა, ვინაიდან ანალოგიური წამოწყების განხორციელება თურქეთში 8 დღეს, სომხეთში 18-ს, ხოლო ევროკავშირის წევრ საბერძნეთში 22 დღეს საჭიროებს.

მნიშვნელოვანია, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან ერთად დაცული იყოს ადგილობრივი ინვესტორებისა და მეწარმეების ინტერესებიც, ვინაიდან ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის ძალიან მარტივია ბაზრიდან მცირე მოთამაშეების განდევნა. მისასალმებელი იქნება, თუ ქართული და უცხოური კომპანიები გააფართოებენ წილობრივ პრინციპზე დამყარებული წარმოების მასშტაბებს, რადგანაც აღნიშნული სახის ინვესტიციები გამორჩეულნი არიან თავისი
ეფექტიანობითა და მდგრადობით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი მიმართულება, რაც ინვესტიციებიდან წამოსული შესაძლებლობების მაქსიმალურად ათვისებას შეუწყობს ხელს პროფესიული განათლების პოპულარიზაციაა, რადგანაც დღეის მდგომარებით საქართველოში კვალიფიციური მუშახელის დეფიციტია, რაც ბუნებრივია, ნეგატიურად აისახება ინვესტორის დაინტერესებაზე, რადგანაც უცხოეთიდან სპეციალისტის ჩამოყვანა ცალკე ხარჯებთანაა დაკავშირებული.

საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ ინვესტიციებს გამორჩეული ადგილი უჭირავთ ქვეყნის ეკონომიკაში. იმისათვის, რომ ქვეყანამ მოიზიდოს ინვესტიციები აუცილებელია კანონმდებლობის, პოლიტიკური მდგომარეობისა და სხვა ფაქტორების სტაბილურობა,

ასევე ისეთი სტრატეგიული პროექტების განხორციელება, რომლებიც ერთგვარი სტიმულის როლს ითამაშებენ ინვესტორისთვის. აუცილებელია მაქსიმალურად იყოს დაცული ადგილობრივი ინვესტორებისა და მეწარმეების ინტერესები, რათა ქვეყანა ცალკეული საქონლის შესყიდვის მხრივ არ გახდეს სხვა სახელმწიფოზე დამოკიდებული. საქართველოს საინვესტიციო გარემო ნამდვილად გამორჩეულია რეგიონში, თუმცა არსებობს გამოწვევებიც, რაც უმეტესწილად კვალიფიციური მუშახელის სიმცირესა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ნაკლებობის შედეგია. აუცილებელია აღნიშნული ჩავარდნა აღმოიფხვრას, რათა მაქსიმალურად იყოს ათვისებული საინვესტიციო პოტენციალი. ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისით ქვეყნის კანონმდებლობის ეფექტურობა სხვა ფაქტორებთან ერთად ქმნის პოზიტიურ ნიადაგს როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების მაქსიმალურად ათვისებისთვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Parliament of Georgia, 1996, Law of Georgia on Promotion and Guarantees of Investment Activities, 473, Tbilisi, Departments of Parliament;
2. Wikipedia. Investment. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1% ;
3. Geoeconomics. Investments - a mechanism to stimulate the country's economy. http://geo-economics.ge/?p=13417;
4. Geworld. Ilia Chvchavadze's point of view on foreign investments. http://geworld.ge/ge/%E1%83%98%E1%;
5. Geostat. Foreign direct investment in Georgia. https://www.geostat.ge/42097.


## Investment environment management


**Ketevan Chiabrishvili[1] Lasha Abuladze[2] David Lezhava[3]**

[1]Associate Professor of Free Academy of Tbilisi, kchiabrishvili@freeacademy.edu.ge
[2]Student of the National Defense Academy of Georgia named after Davit Agmashenebeli
[3]Student of the National Defense Academy of Georgia named after Davit Agmashenebeli



**Abstract**

The purpose of this paper is to analyze the investment environment in Georgia, review development prospects and evaluate projects that may have a positive impact on the optimization of the investment environment in the country. The paper discusses the etymology and role of investments in the country's economy, as well as the areas whose promotion is in the interests of both the country and the investor (vocational education ....). Significant attention is paid to the factors whose existence is a kind of motivation for investors.



**Key words:** Investment. Investment environment Vocational education. Investor Stock Exchange Demand- supply.

# ეკონომიკური უსაფრთხოების პროექცია

**ქეთევან ჭიაბრიშვილი[1] ლაშა მღებრიშვილი[2]**

[1]თბილისის თავისუფალი აკადემიის ასოცირებული პროფესორი, kchiabrishvili@freeacademy.edu.ge
[2]დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიის მესამე კურსის იუნკერი

**აბსტრაქტი**

ეროვნული  უსაფრთხოება, როგორც სახელმწიფოს მდგრადი განვითარების გარანტი, წარმოუდგენელია მყარი ეკონომიკური უსაფრთხოების  გარეშე. დღევანდელ, პოლიტიკურ-ეკონომიკური გამოწვევებით სავსე გარემოში ნებისმიერი ქვეყნისათვის  განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანია ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილი და შეფასებულია ეკონომიკური უსაფრთხოების არსი ინდივიდის, ქვეყნის მთლიან და საეთაშორისო დონეზე. ახსნილია მისი ძირითადი შემადგენელი ეკონომიკური სექტორების შინაარსი და საზომების მნიშვნელობა. ნაშრომში განსაკუთრებული ნაწილი ეთმობა ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოების კავშირებსა და გავლენებს.

ნაშრომში გამოყენებულია თანამედროვე და კლასიკოს თეორეტიკოსთა ნაშრომები და შედარებითი ანალიზის მეთოდით გაანალიზებულია ისეთი ეკონომიკური მიმართულებების მნიშვნელობა, როგორიცაა კონკურენტული ბაზრები, რესურსების გამოყენება, პრეკრიზისული პერიოდების ეფექტური მართვა, კვლავწარმოებადი რესურსების გამოყენება, ტექნოლოგიური განვითარება, სოციალური პროექტები და სხვა.

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, ეროვნული იდენტობა, ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობა.

## რა არის ეკონომიკური უსაფრთხოება?

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება, იმ ღონისძიებათა სისტემაა, რომელიც მდგრადი ეროვნული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას, მის დამოუკიდებლობას და განვითარებას უზრუნველყოფს. ეკონომიკური უსაფრთხოების მიზანი მოსალოდნელი შიდა და გარე რისკების იდენტიფიცირება და მასთან გამკლავებაა. ამგვარი რისკები კი მოსალოდნელია, წმინდა ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური და ტექნოლოგიური საფრთხეებისგან.

ინდივიდის ჭრილში, ეკონომიკური უსაფრთხოება ადამიანების ლეგიტიმური მოთხოვნილებაა, თანმიმდევრულად დაიკმაყოფილონ საჭიროებები და ის პირდაპირ კავშირშია  კეთილდღეობის თანამედროვე სახელმწიფოს ცნებასთან, სწორ ეკონომიკურ კონცეფციასთან და იმ სამთავრობო ინსტიტუტებთან, რომელიც თავის მხრივ  მოქალაქეთათვის საბაზისო ეკონომიკური გარანტიების უზრუნველყოფის ვალდებულებას იღებს.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა (ICRC) შეიმუშავა ხუთი ძირითადი საარსებო საზომი რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ეკონომიკური უსაფრთხოების

შეფასება, ესენია: შემოსავალი, საკვების წარმოება, საკვების მოხმარება, საცხოვრებელი პირობები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მთავრობის შესაძელბლობები ხალხის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

რაც შეეხება ქვეყნის საშიანაო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში განხილვას, - ეკონმიკური უსაფრთხოება ქვეყნის უნარი და შესაძლებლობაა, დაიცვას მისი პოლიტ-ეკონომიკური არჩევანი ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის. ისტორიას თუ გადავხედავთ, რიგი ქვეყნები მილიტარისტული, სამხედრო და დამპყრობლური პოლიტიკის გატარებით მდიდრდებოდნენ და მისი საშუალებით ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ. თანამედროვე სამყაროში ეს მოცემულობა რადიკალურადაა შეცვლილი. საერთაშორისო ვაჭრობამ, მისმა რთულმა და მრავალფეროვანმა შეთანხმებებმა და ურთიერთდამოკიდებულებებმა, რესურსების ხელმისაწვდომობამ, მათზე მოთხოვნის ზრდამ და სხვა ეკონომიკურმა ფაქტორებმა ნათლად აჩვენა, რომ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, ეკონომიკური უსაფრთხოება ისეთივე მნიშვნელოვანი კომპონენტია, როგორც სამხედრო უსაფრთხოების პოლიტიკა და უფრო მეტიც, ის ეროვნული უსაფრთხოების შენარჩუნებისა და განვითარების გაცილებით ჰუმანური გზაა, ვიდრე ზემოთ აღნიშნული საშუალება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს წინამდებარე ნაშრომის აქტუალობა, რომელშიც შევეცადეთ აგვეხსნა ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და მისი გაძლიერებისთვის აუცილებელი სამთავრობო ამოცანები. იგი არანაკლებ საყურადღებო საკითხია გამომდინარე იქედან, რომ კავშირშია თითოეული მოქალაქის ყოველდღიურობასთან,

ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკური ნაწილი იზიარებს, დამოკიდებულების კავშირს გლობალურ ეკონომიკურ მოვლენებთან და პროცესებთან, რომელიც ხაზს უსვამს ეროვნული უსაფრთხოების გარკვეულ დამოკიდებულებას საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემასთან. ამ პირობებში ცხადი ხდება, რომ ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ღირსებები სწორედ მის უნარსა და პოტენციალს მოიცავს, უზრუნველყოს რესურსები, რათა შეინარჩუნოს სხვა სისტემური სფეროების სიცოცხლისუნარიანობა და მდგრადობა. ეს ხსნის იმას, რომ ეროვნული ეკონომიკური საზოგადოების მართვის პროცესში გადაწყვეტილების მქონე პოლიტიკოსები და ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველთვის ითვალისწინებენ შედეგს: გლობალურ ბაზარზე სამხედრო წარმოების დამოუკიდებელი შესაძლებლობების შენარჩუნების გარკვეული უნარის გამომუშავებას; გლობალურ ბაზარზე ეკონომიკური დამოკიდებულების გამოყენების ალბათობას გარკვეული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, შესაძლებლობას რომ გლობალურ ბაზარზე განვითარებულმა ევოლუციებმა შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური უთანასწორობის ზრდა, ეკონომიკურურმა გლობალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო ეკონმიკური ფუნქციის დაქვეითება რაც თავის მხრივ მიგვიყვანს მანკიერ ეფექტებთან როგორებიცაა: ჩრდილოვანი ეკონომიკა, უკანონო ვაჭრობა და ტექნოლოგიების მოძრაობა;

ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივიდან რომ ვთქვათ, ეროვნული

უსაფრთხოების ეკონომიკური მიმართულება შეიძლება დაპროექტდეს, გაანალიზდეს, შეფასდეს და  სისტემურად ჩამოყალიბდეს ისეთი ინდიკატორების გათვალისწინებით, როგორიცაა სახელმწიფოს შესაძლებლობა მართოს მოვლენები: ინფლაცია, უმუშევრობა, შეუფერხებელი საგადასახდელო ბალანსი, ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობა, უცხოურ ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულება, პროტექციონიზმის გაზრდილი დონე და სხვა. გლობალურ ბაზარზე გამარჯვებულ და დამარცხებულ მხარეებს შორის ურთიერთობების შესახებ უწყვეტი ცოდნა მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რათა გაანალიზდეს ის გარემოებები და მიზეზები, რომელიც  ეკონომიკური უთანასწორობის გაღრმავების გამომწვევია.

ეკონომიკური უსაფრთხოება, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს მატერიალური ძალაუფლების პირდაპირი შედეგია, რომელიც გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით როგორიცაა: ქვეყნის მასშტაბი, პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა, საერთაშორისო ეკონომიკურ გარემოსთან ურთიერთობა და გარე კონტაქტების ინსტიტუციონალიზაცია, ინსტიტუციური და ინსტიტუციონალიზაციის შესაძლებლობა, - სოციალურად მოერგო შიდა და გარე პირობებში მიმდინარე ცვლილებებს.

ზოგიერთი სახელმწიფო ნაკლებადაა დაკავებული ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებით, ხოლო ზოგს არასდროს უთქვამს უარი ეკონომიკური უსაფრთხოების ბერკეტებზე, რათა დაიცვას და შეინარჩუნოს მნიშვნელოვანი  ინფტრასტრუქტურის ელემენტები: კერძო საწარმოები, რესურსები და ბაზრები. მეორე მხრივ, ეკონომიკური უსაფრთხოებისგანზომილებადასტურდებაიმით,რომძლიერითანამედროვეეკონომიკის გარეშე არ არსებობს, ან ნამდვილად არ შეიძლება იყოს უსაფრთხოება, კეთილდღეობა და სტაბილურობა. არც ინდივიდულაურ და ოჯახურ დონეზე და არც სახელმწიფოსა და მასში საერთაშორისო საზოგადოების დონეზე. უსაფრთხოება და თვდაცვა წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების იმ კომპონენტებს, რომელიც, პრაქტიკაში იცავს სახელმწიფოებისა და თემების სასიცოცხლო ინტერესებს. ზოგიერთ სახელმწიფოში არსებული ეკონომიკა და პოლიტიკური ნეოლიბერალური მიმდინარეობები არ აყენებენ ზიანს ან მნიშვნელოვნად ამცირებენ უსაფრთხოების ან თავდაცვის კონცეფციებს. იმ ქვეყანაშიც კი სადაც ინტენსიურად ამუშავებენ საბაზრო ეკონომიკის ფილოსოფიას და კერძოდ მოქმედების თავისუფლებას, მრავალფეროვან მარეგულირებელ ღონისძიებებს მიმართავენ  საწარმოთა ინტერესების უზრუნველსაყოფად და დასაცავად, რადგან ეროვნული ინტერესი ყველაზე მკაფიოა.

არასტაბილური ეკონომიკური გარემო შეშფოთების მიზეზი ხდება ნებისმიერ ქვეყანაში, თუმცა ყველაზე დიდი გავლენის ქონა მას განვითარებად ქვეყნებზე შეუძლია. ამგვარი გარემო გამოირჩევა საერთო მაკროეკონომიკური არასტაბილურობით, რეფორმების ნელი ტემპით, სუსტი ინსტიტუტებით, მაღალი შიდა და საერთაშორისო ვალის ტვირთით, დომინანტური არაფორმალური სექტორით და კრიმინალის მაღალი დონით. კიდევ ერთი საერთო მნიშვნელია კანონის უზენაესობის, კონტროლისა და ბალანსის ქსელის სისუსტე ან  არარსებობა.  აქედან გამომდინარე შედეგი ზედმეტად იმადგამაცრუებელია: აქტივებისა და ადამიანური რესურსების დეკლასიფიკაცია, სიღარიბის და სოციალური დაძაბულობის ზრდა. ეროვნული ეკონომიკის დაღმასვლა,

მისი პოტენციალის მოქმედებისა და რეაგირების შემთხვევაშიც კი იწვევს უკიდურესად მძიმე ეფექტებს, დაწყებული ინდივიდისა და მისი ოჯახის ეკონომიკური უსაფრთხოებით და დასრულებული სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების შემცირებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ არსებობს უსაფრთხოება, თუ არ არის ძალა და არ არსებობს რაიმე სახის ძალაუფლება თუ არ არის ეკონომიკური ძალა. ეკონომიკა წარმოადგენს ძალაუფლებისა და კეთილდღეობის გენერირების ფაქტორს. ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო არის სტაბილური ქვეყანა, რომელსაც აქვს პოლიტიკური და სტრატეგიული ინიციატივები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქვეყნის მატერიალური რესურსებით სიმდიდრე ან მისი ნაკლებობა არ უშლის ხელს ეკონომიკური კეთილდღეობის და ძალაუფლების ერთმანეთთან კავშირს. ყოველივე ამის ნათელი მაგალითია ისეთი ქვეყანა როგორიცაა იაპონია, რომელიც წარმოებისათვის საჭირო რესურსების და ნედლეულის 90%-ზე მეტს იმპორტის მეშვეობით მოიპოვებს, თუმცა გარკვეული პოლიტ-ეკონომიკური ბერკეტების საშუალებით ახერხებს იყოს ერთ-ერთი სამაგალითო სახელმწიფო ეკონომიკური უსაფრთხოების ჭრილში.

როგორც აღვნიშნეთ, ყველა მთავრობის სასიცოცხლო როლი/მოვალეობა ქვეყნის და მისი მოსახლეობის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ეროვნული უსაფრთხოება თავის მხრივ მოიცავს საფრთეხეების ფართო სპექტრს როგორებიცაა სამხედრო, ენერგეტიკული, ეკონომიკური და პოლიტიკური საფრთხეები. ამ მოცემულობიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ საყრდენს ქვეყნის ეკონომიკა და მისი უსაფრთხოება წარმოადგენს. ჩნდება კითხვა, თუ რა კონკრეტულ როლს თამაშობს ეკონომიკა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაში?

რესურსების უზრუნველყოფა. ძლიერი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისთვის აუცილებელია ძლიერი და მდგრადი ეკონომიკის შექმნა. იგი ქვეყნისთვის უზრუნველყოფს ფულად ფონდებს გადასახადების მეშვეობით, რომელიც აუცილებელია თავდაცვის ძალების შენებისა და შენარჩუნებისთვის, დაზვერვის აპარატების დასაფინანსებლად და დიპლომატიური საქმიანობის მხარდასაჭერად. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენი ერის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ეკონომიკა არა მხოლოდ ნედლეულითა და სხვა რესურსებით უზრუნველყოფს ქვეყანას, ის ასევე ახდენს კვალიფიციური და განათლებული სამუშაო ძალის მობილიზებას, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებას.

ეკონომიკური უსაფრთხოება. ძლიერი ეკონომიკა ძლიერი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის აუცილებელი პირობაა. ეკონომიკას ეროვნულ უსაფრთხოებაზე გავლენა სულ მცირე ორი გზით შეუძლია: პირველი, ცხოვრებაში ცოტა რამ თუა უფასო და ეს მოიცავს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო რესურსებს. რაც უფრო ძლიერია ეკონომიკა, მით უფრო მეტი საგადასახადო შემოსავალი შეიძლება გამოიმუშაოს ძლიერი ეროვნული უსაფრთხოებისათვის საჭირო აქტივობებში. სუსტი ეკონომიკა ნიშნავს, რომ ნაკლები რესურსია ხელმისაწვდომი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად, რაც ქვეყანას რისკის ქვეშ აყენებს. მეორე, ძლიერი ეკონომიკა ხელს უწყობს ქვეყანაში ყველა მოქალაქის ეკონომიკურ კეთილდღეობასა და

უსაფრთხოებას.

კავშირი ეკონომიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ მოსაზრებები განსხვავებულია ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების ფაქტორების განხილვისას, აშკარაა მოცემულობა, რომ მატერიალური სტაბილურობა ეკონომიკურ უსაფრთხოებასთანაა კავშირში. მართლაც „ეკონომიკური უსაფრთხოება კონსტრუქციულია, რაც გილისხმობს ქვეყნის შიგნით ძლიერი ეკონომიკის შენებას „ ხოლო „სამხედრო უსაფრთხოება არის თავდაცვითი და მტრის შეკავებას მოიაზრებს“ თქვა დევიდ სნელბეკერმა. (ISCDE 2020) გლობალიზაციის განვითარება ქვეყნების ეკონომიკურ უსაფრთხოებას გარკვეული რისკების ქვეშ აყენებს, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნების კატეგორიას, რომლებიც ჯერ კიდევ განვითრებად ქვეყნებს მიეკუთვნებიან და მათი წარმოება თუ ექსპორტი მნიშვნელოვანწილადაა სხვა ქვეყნებზე დამოკიდებული. ეს ყევლაფერი იმიტომ ხდება, რომ საკმაოდ ბერვი ქვეყანა ერთვება ნებისმეირი სახის ხელშემწყობ პროცესებში რაც გლობალიზაციასთანაა კავშირში. შესაბამისად, გლობალიზაციის შედეგად მიღებულ ეკონომიკაში, რთულდება იმის გარკვევა ვინაა მტერი და ვინ მეგობარი. ეკონომიკა და უსაფრთხოება მჭიდროდაა ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებული, შესაბამისად ვდგებით მოცემულობის წინაშე, რომ უსაფრთხო გარემო მოითხოვს ჯნსაღ ეკონომიკას, მეორეს მხრივ ეკონომიკური პოლიტიკის განვითარება პირდაპირაა დამოკიდებული უსაფრთხო გარემოზე.

ნაშრომში განვმარტეთ, ეკონომიკური უსაფრთხოების მცნება და მისი შემადგენელი კომპონენტები თუ რას მოიცავს იგი, როგორც ინდივიდის ისე სახელმწიფოს შიდა და საერთაშორისო დონეზე. რამდენად შეიცვალა ზემოთ აღნიშნულმა მცნებამ მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში და როგორ მოირგო ერთ-ერთი წამყვანი როლი სახელმწიფოს უასფრთხოების, არსებობისა და განვითარების ჭრილში.

საუბარი გვქონდა უსაფრთხო და სტაბილურ ეკონომიკას შორის არსებულ კავშირზე. ეროვნული უსაფრთხოების ჭრილიდან გამომდინარე ეკნომიკის მნიშვნელობაზე, თუ რა როლი აკისრია ეროვნული უსაფრთხოების განვითარება/მობილიზების პროცესებში.

ასევე ვისაუბრეთ გლობალიზაციის დადებით და უარყოფით შედეგებზე, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფოს განვითარების დონიდან გამომდინარეობს

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. Economic Security Strategy 2020-2023_ECONOMIC SECURITY UNIT JANUARY 2020 https://www.icrc.org/en/what-we-do/ensuring-economic-security
2. Relationships between the economy and national security_Analysis and considerations for economic security policy in the Netherlands https://www.rand.org/pubs/research_reports/RR4287.html
3. Rotaru, Marius-Petre_Economic Security - Organic Dimension of National Security (2 July 2009) https://mpra.ub.uni-muenchen.de/17936/1/MPRA_paper_17936.pdf

4. Alexander Ferguson_The Uneasy Relationship Between Economics and Security https://cco.ndu.edu/Portals/96/Documents/prism/prism_4-2/prism77-86_Ferguson.pdf
5. ბესიკ ალადაშვილი_ეკონომიკური უსაფრთხოების არსი, მიზნები და მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში. (14/01/2006) http://geoeconomics.ge/?p=2132
6. როზეტა ასათიანი_ეკონომიკური უსაფრთხოება და 'ჰოლანდიური დაავადება https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=610&title=%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90

## Projection of Economic Security

**Ketevan Chiabrishvili[1] Lasha Mgebrishvili[2]**

[1]Associate Professor of Free Academy of Tbilisi, kchiabrishvili@freeacademy.edu.ge
[2]Cadet of the third year of the Georgian National Defense Academy named after Davit Agmashenebeli

**Abstract**

National security, as a guarantor of sustainable development of the state, is unthinkable without solid economic security. In today's environment full of political and economic challenges, ensuring economic security is especially relevant and important for any country.

In this paper, the essence of economic security at the individual, country and international level is studied and evaluated. The content of its main constituent economic sectors and the importance of measurements are explained. A special part of the work is devoted to the connections and influences of national and economic security.

The paper uses the works of modern and classical theoreticians and analyzes the importance of such economic directions as competitive markets, use of resources, effective management of pre-crisis periods, use of renewable resources, technological development, social projects and others by means of comparative analysis.

**Key words:** national security, economic security, national identity, independence of the national economy.

# ვაჟა-ფშაველას ესთეტიკური გააზრებისათვის

**ისაკო (რამაზ) მეფარიშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი, თბილისის თავისუფალი აკადემიის პროფესორი,
imeparishvili@freeacademy.edu.ge

**აბსტრაქტი**

წარმოდგენილი ნაშრომი ვაჟა-ფშაველას ესთეტიკური გააზრების ერთგვარი ცდაა. ეს საკითხი ყურადღებას იმსახურებს განსახოვნებითი მნიშვნელობით. აქედან გამომდინარე პოეტის ესთეტიკური მრწამსი მითოსურ და სახარებისეულ გაგებას ეფუძნება. „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მათე. XIX. 197). მაგრამ ადამიანი ხშირად ასე არ იქცევა. რა ქნას ასეთ დროს კაცმა? ეს არის საბედისწერო კითხვა. ადამიანი ხომ ყოველთვის გზაჯვარედინზე დგას. გზაჯვარედინზეა ალუდა ქეთელაური, ზვიადაური, ჯოყოლა, აღაზა, ლუხუმი, მინდია... გზაჯვარედინზე ვართ ჩვენც!

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ვაჟა-ფშაველასთან მხატვრული სიტყვა მითოსურობის შემცვლელია. მასშია ირაციონალური და ეს გონების მიღმურობა ქმნის მხატვრულ სახეს, რაც განსახოვნებით მეტაფორიზმში ვლინდება. დაუკვირდეთ, პოეტის სიტყვა დაშორებულია საგნებსა და მოვლენებს და ახალ სინამდვილეს ქმნის. ამას აღწევს ესთეტიზმის წყალობით. სწორე ესთეტიკური განცდა ბადებს მიუწვდომლობის გრძნობას, რასაც იდუმალებისაკენ მივყავართ. იდუმალია მისი ნისლი, წვიმა, წყალი, სიკვდილი, სიცოცხლე, მუხასთან დიალოგი... ვცდილობთ მის ამოხსნას, მაგრამ არ გამოგვდის! ეს უფრო ცდა არის. ამ ცდას უნდა ვუმადლოდეთ პოეტის მხატვრულ სახეთა უნივერსალურობას, რადგან ვაჟა-ფშაველასთან მხატვრული სახეები არ ექვემდებარება ახსნა-განმარტებას. ის მეტწილად სულითაა საცნაური. „სახე არაა საშუალება, იგი თვითკმარია, ის თვითონაა თავისი საზრისი და სახეები არ ექვემდებარება ინტერპტრეტაციას“ (პასი).

ვაჟა-ფშაველას ესთეტიკური გააზრება საშუალებას მოგვცემს, რომ მისი პოეზია აღვიქვათ მითოსურ მხატვრულ სახეებთან მიმართებაში. მოვიყვან რამდენიმე სახეს: „მთათა ფიქრი“, „დაღლილი ნისლი“, „ბედისწერა წუხილში“, „ღვინით დაბანილი პირი“, „ქალის ცრემლი“ და მრავალი სხვა.

რა მოუტანია სამყაროს ვაჟა-ფშაველას ესთეტიკურმა ცნობიერებამ? საკუთარ თავში აღმოაჩინე შენი წილი ბუნება, შეეგუე და შეიგუე ის. ბუნებაში არსებული ყოველი არსება, საგანი ცოცხლობს, რადგან ადამიანი ბუნებასთან თანაყოფაში არის. თვითონაც ხომ წერს: „გარეშე ბუნებისა არ არის პოეზია“. ამ ბუნებას შეგრძნება სჭირდება, ისე ვერ გაიცნაურებ მის სიტყვებს: „მკვდარია უგრძნობი კაცი, უსაზარლესი მკვდარზედა“. შეგრძნება რწმენის გარეშე არაფერია. პოეტის რწმენას ბუნებისა და ადამიანის სიყვარული უდევს საფუძვლად. ამიტომაც ვერ ნახავთ მის პოეზიაში უიმედობას. ვაჟამ ბრძანა: „სიყვარულზე მეტი ლხინი ღმერთს არ გაუჩენია“. სიყვარული ზოგადად არ უნდა გავიგოთ, იგი ადამიანის შინაგან სამყაროში მოიხილვება; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ბუნებიდან მომდინარე სიყვარულია. ასეთი სიყვარული ქმნის სასწაულებს.

ნაშრომის უმთავრესი კითხვა არის: როგორ შეძლო ვაჟა-ფშაველამ კოსმოგონიური პოეზიის

შექმნა?

1. ვაჟა-ფშაველა ლექსში სიცოცხლეს ატანდა.
2. ვაჟა-ფშაველა კლასიკურ პოეზიას ეფუძნებოდა.
3. ვაჟა-ფშაველა სიტყვას სილამაზისთვის არ ამბობდა.
4. ვაჟა-ფშაველამ ხორცი დააუძლურა და სიტყვა ახარა

**საკვანძო სიტყვები:** ვაჟა-ფშაველა, ესთეტიკა, მითოსი, ბუნება, ნისლი, მხატვრული სიტყვა.

„ვინ შექმნა ადამიანად? რატომ არ მოველ წვიმადა“... როცა წვიმად მოსვლის სურვილი გაგიჩნდება ეს უკვე დიდი პოეზიაა. აქ გამქრალია ზღვარი ბუნებასა და ადამიანს შორის, რადგან ადამიანი ბუნებასთან თანაშეზრდილია. თავად ბუნება საკუთარ თავთან მყოფლობაა, რაც არ ნიშნავს ბუნების გაადამიანურებას. პირიქით, ადამიანი ბუნების ნაწილია, ოღონდ განსაკუთრებული ნაწილი. ადამიანმა აღავსო ბუნება ესთეტიკური შინაარსით და ამით ხელი გაუწოდა მას. განა ვაჟა-ფშაველამ არ იცის, რომ ბუნებაში მორალური, ესთეტიკური გრძნობები არ არსებობენ!? იცის! მაშინ რაღა აზრი აქვს უსულო საგნებისთვის სულის ჩაბერვას?! აქვს, რადგან მისთვის ადამიანი და ბუნება განუყოფელია. ბუნებასთან ურთიერთობაში გამოვლინდება კაცის კაცობა. სულიერი იერარქიულობის უმაღლესი გამოვლინება არის მინდია. დაუჯერებელია უბრალო ამბავის ასე გარდასახვა, რომლის საფუძველზე ახალი სამყარო იქმნება. სამყარო არა ოდენ ლიტერატურული სახეებისა, არამედ ხელშესახები ადამიანის, რომელიც ჩვენს თანადროულობაში დადის.

ვაჟა-ფშაველამ კარგად იცის, რომ ცხოვრება წინააღმდეგობებით არის სავსე. ასეთ დროს რაშია საძებარი ხსნა? ამის პასუხია „ძალიან მიყვარს იესო“. აქ ვლინდება სამყაროს კაცი, მაშინაც კი, როცა დგას: „დგანან და ელიან, უსაზღვროა მათი მოლოდინი“. დგომაში მოძრაობა სასწაული მხატვრული სახეა! არადა, ამგვარი სახეებით სავსეა მისი შემოქმედება.

„მიწის დედობა“ ყველაზე უკეთ ვაჟა-ფშაველამ გაითავისა. ამ თვალსაზრისს აღრმავებს სერგი დანელია, ტიციან ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, შალვა რადიანი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვა. მთავარი გამაერთიანებელი მათი ხედვის არის ის, რომ სიყვარულია საფუძველი პოეტის ესთეტიკური მრწამსისა. „სიყვარული შეიქმს ცოდნას“ (ეფეს. III. 18). მაგალითად, მინდიამ შეიმეცნა ქვეყანა და შეიყვარა კიდეც. მაგრამ დაშორდა თუ არა მას უმალვე ცოდნა წაერთვა და შეცნობის უნარი დაკარგა. გამოდის, რომ ცოდნა საფუძველია სიყვარულის, მშვენიერების, ამაღლებულობის, წარმატების... ერთია ცოდნის შეძენა, მეორე მისი დაკარგვა. მათ შორის ტოლობის ნიშანი არ არსებობს.

ვაჟა-ფშაველამ დგომა და განცდა თანამოაზრედ აქცია, რასაც თავისი დანიშნულება ჰქონდა. კერძოდ, გვიჩვენებს ადამიანთა ხასიათს. ის, რაც ბუნებაში ხდება ადამიანის ცხოვრებაში ვლინდება. თუმცა ბუნება უფრო გაწონასწორებულია, ვიდრე ადამიანთ ცხოვრება. პოეტი კაცთა ცხოვრებას „ბუნების თვალით“ უყურებს და ბუნებაში არსებული მშვენიერება ადამიანთან ყოფაში გადმოაქვს, რადგან მისთვის ბუნება ღვთაებრიობასთან წილნაყარი არის. ღვთაებრიობას კი დიდი ჰარმონია და წესრიგი ახასიათებს. ამის შედეგია: „ხევი მთას ჰმონებს, მთა-ხევსა, წყალნი ტყეს, ტყენი მდინარეს, ყველანი - მიწას და მიწა - თავის აღზრდილთა მცინარეთ“. (ვაჟა-ფშაველა, ტ. I. 1979. 107).

ვაჟა-ფშაველამ თავისი პოეტურ-ესთეტიკური მრწამსი ასე ჩამოაყალიბა: „თქვენ, მკითხველო, ნება გაქვთ თქვენებურად გესმოდეთ პოეზია, ხოლო მე კი ნუ დამძრახავთ იმისთვის, ჩემი აზრი თქვენსა წინააღმდეგ, რომ გამოვიდეს! არ არის ადვილი ამის გარჩევა, ამ საგნის ყოველმხრივ გამორკვევა უნდა შევძლოთ. სირცხვილიც კი არის კაცი ხატს ემსახურებოდეს და მისი ძალა და ვითარება კი არ იცოდეს. ხალხმა პოეზიის თეორიების არაფერი იციან, მაგრამ ლექსს ალღოთი მაინც ქმნიან. მათ ეპატიებათ თეორიების არ ცოდნა, მაგრამ ინტელიგენტ მგოსანს არ უნდა ვაპატიოთ ეს უცოდინარობა“ (ვაჟა-ფშაველა, ტ. IX. 1964. 391). მთავარი მაინც, პოეტის ინდივიდუალურობა არის. არა მარცვალთა დათვლა, ეპითეტთა სიმრავლე ქმნის პოეზიას, არამედ მხატვრული სახე, რაც ესთეტიკით აღიქმება.

ჩვენი მთავარი მიზანია სახისმეტყველებითი მეტაფორიზაცია, რაც ესთეტიკურ განცდას ბადებს. ამიტომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან მოვიხმობთ ისეთ ადგილებს, სადაც ყოველივე ეს მთელი სიჭარბითაა ნაჩვენები. ყველაზე მეტი მეტაფორიზაცია სიტყვა „ნისლში“ ჩანს, რაც სასწაულებრივ მხატვრულ სახედ იქცევა და საგანგებო შესწავლას ითხოვს. „ნისლი“.

1. „ნისლიანი, დაღლილი ცურვითა, მთის ყურეთ მიმალულიყვნენ“ (დაღლილი ნისლი).
2. „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“ (ნისლის ფიქრი).
3. „ნისლნი, ათას მხრით მომდგარნი, დაისვენებენ მთაზედა“ (ნისლის დასვენება).
4. „სოფლის თავს სძინავს შავ ნისლსა, დაფიქრებულის სახითა“ (დაფიქრებული ნისლი)
5. „მთაზე შაჯარდა ნისლები, გზა-გზა ცრემლების თესვითა“ (ცრემლიანი ნისლი).
6. „მუხლმოდრეკილი სხდებიან შავი ნისლები მთა-ველთა“ (მუხლმოდრეკილი ნისლი).
7. „მთებზე ეძინა ნისლებსა მიტკლით შაკრული თავითა“ (ნისლის ძილი).

დაუკვირდეთ: „ნისლის ფიქრი“, „ნისლის დასვენება“, „დაღლილი ნისლი“, „დაფიქრებული ნისლი“, „ცრემლიანი ნისლი“, „მუხლმოდრეკილი ნისლი“, „ნისლის ძილი“ მთასთან მოიაზრებიან, რაც შემთხვევითი არ არის. მთის ტრანსცენდენტალურობა, მიუწვდომლობა ასაზრდოებს პოეტის სულს. აქედან იწყება მთის რელიგია, რადგან მთა ადამიანში რწმენამდე აყვანილ ფიქრს ბადებს. ფიქრი ხომ „კაცობის გვირგვინია“.

მთა „წმიდათა წმიდაჲ“ ადგილად ითვლება. მეცნიერებაში მიღებული ის აზრი, რომ „წმიდათა წმინდაჲ“ არის ის წმინდა ადგილი, სადაც სჯულის კიდობანია მოთავსებული. ასეთი სოლომონის ტაძარია. ა. ოლენსიცკის დაკვირვებით, არა მხოლოდ სჯულის კიდობანის გამო აღიქმება ეს ადგილი წმიდათა წმიდად, არამედ იმის გამოც, რომ ეს იყო ადგილი ღმერთის გამოცხადებისა.

მთა იყო საუფლო ღვთაებებისა, ქრისტიანობის დამკვიდრებამ ერთგვარად შეცვალა მისი პირვანდელი მნიშვნელობა (ძველი ღვთაებათა ადგილის, ტაძრები და ეკლესიები შენდებოდა). ესე იგი ეფუძნებოდა წინაქრისტიანულ ფესვებს და ხდებოდა მისი დესაკრალიზაცია. ამაზე მიგვანიშნებს ლოდიანი მთა, მთაზე საკულტო ხეთა არსებობა და სხვა. ეს არის ღვთაებრიობის მითოლოგემა. „მითოსური შინაარსით მთა ცხოვრების ხის ინკარანციაა, იგივე ჯვარია ანდა იგივე კიბე შემაერთებელი მიწისა და ზეცისა“ (რ.

სირაძე, „წმინდა ნინოს ცხოვრება და დასაწყისი ქართული მწერლობისა“, 1997. 111)

ჩვენთვის საინტერესოა მთის ისეთი მნიშვნელობა, რომელსაც უკავშირდება ნისლი. მთაზე ჩამოწოლილი ნისლი სხვადასხვაგვარად ვლინდება, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი რამ - ორძალოვნება: მიწა და ზეცა, ამქვეყნიურობა და იმქვეყნიურობა. მთა მიწასთან იმდენად არის დაკავშირებული, რამდენადაც მასზეა აღმოცენებული და ამაღლებული. ხოლო „ნისლი“ მამა ღმერთის სახეა. როგორც „წმიდათა წმიდაჲ“ მთაზე გაცხადებული. აქედან გამომდინარე „ფიქრიანი ნისლი“ ეს არის უფლის სახე. ფიქრი ხომ ღმერთთან ახლოს დგომით შეიმეცნება, სადაც ადამიანის ღირებულებების სასრულობა ჩანს.

ვაჟა-ფშაველას ესთეტიკური შესწავლისთვის ყურადღება უნდა მიექცეს მხატვრულ სახეებს, რომელიც ესოდენ მრავლადაა მის შემოქმედებაში. მოვიყვანთ რამდენიმეს: „პატიოსანი ჯვარი“, „კაენის სინდრომი“, „აზრის სილამაზე“, „ღმერთთან მყოფლობა“; „მარადიული სული“, „მკვდრის სანთელი“, „დარდების მომფონებელი“, „ბედნიერება წუხილში“, „სულეთის იდუმალება“, „საფლავიდან მოხილვა“, „დაუყვედრებელი სიკეთე“ და სხვა.

ვაჟა-ფშაველასთან შეძლებ ფრთების გაშლას.

ნაშრომში განხილულია ვაჟა-ფშაველას ესთეტიკური შეხედულებანი. კარგია, ვიცოდეთ ბარტის, ბუალოს და სხვათა პოეტიკა, მაგრამ მთავარი მაინც პოეტის ინდივიდუალობა არის. პოეტის აზრით, არა მარცვალთა რაოდენობა, ეპითეტთა ბრჭყვიალება ქმნის ჭეშმარიტ პოეზიას, არამედ მხატვრული სახე, რაც ესთეტიკით აღიქმება. აქედან გამომდინარე შეგვახსენებს ვაჟა-ფშაველა: „ბუნებას ასეთი კანონი აქვს, რასაც აკეთებს გონივრულად აკეთებს“. მოწესრიგება და მოუწესრიგებლობა ბუნების სილამაზეა. ამიტომ ესთეტიკურად მათ შორის გავლა არის საჭირო. პოეზია ამით პოეზიობს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ვერ მოვაქცევთ ლიტერატურულ „იზმებში“, რადგან ის უსაშველოდ თავისუფალია და მისი გმირები ობიექტურად აფასებენ მოვლენებს, ბევრია ირაციონალური და მითოსურ ესთეტიკაში მოცემული. მეტად საშური საქმეა პოეტის შემოქმედების ესთეტიკური შესწავლა. ამ მიზნით ნაშრომში განხილულია ერთ-ერთი მხატვრული სახე „ნისლი“.

ვაჟა-ფშაველას ესთეტიკურ გააზრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამშობლოს, ოღონდ ისეთ სამშობლოს, რომელიც ბუნებრივად ესადაგება „ადგილის დედას“, ლიტერატურას და ისტორიას.

პოეტის ესთეტიკური არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს სამყარო არ არის გაჩენილი მხოლოდ ადამიანისათვის და მთელი ბუნება დაუქვემდებაროს საკუთარ სურვილებს, თუ გნებავთ წესრიგს. ბიბლიის მიხედვით, ადამიანი უფლებამოსილია „დაიმორჩილოს“ ბუნება, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს ბუნების კანონზომიერების კვალობაზე, სადაც „ხევი მთას ჰმონებს“... ბუნებაში ყველაფერი თავისთავადობით არსებობენ. მათი არსებობა სიკეთეა. თუ ბუნება ბოროტდება ამაზე ადამიანი უნდა დაფიქრდეს. ვაჟა-ფშაველას აზრით ადამიანი ბუნებას ანგრევს თავისი ადამიანური ბუნებით და არაბუნებრივი ხმით ავსებს სამყაროს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები 1992: ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკ. 1992;
2. ვაჟა-ფშაველა 1970: ვაჟა-ფშაველა, ტ. I. ლექსები, პოემები, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1979.
3. აჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1964.
4. პასი 2000: Поэзия. Философская эстетики. „Симподиут“ (СПБ-М), 2000
5. სირაძე 1997: სირაძე რ. „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული მწერლობისა. საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტი, თბ. 1997.

## For the aesthetic understanding of Vazha-Pshavela

**Isako (Ramaz) meparishvili**

Doctor of Philology, Professor at Free Academy of Tbilisi, imeparishvili@freeacademy.edu.ge

**Abstract**

Cod's image is Vazha-Pshavela's works by menas of the following symbolis representations: The shepherd, The Door. The Trinity. When discussing the ofonem etioned topic considertion should be given to the point that Vazha-Pshavela's literary works are interconn eltebl and complemegt each other by menas of content; interrelation of the texts cmprovers the existence of their inner corriletion.

The urderstanding of the inner drama of Vazha-Pshavea's protagonist is facilitated by the characterization of despair according to rierkegaard – the „siekeness urto aeath“.Which is manifested as a corstant Spirituut ogory. Worse than any illress, nut it aoes not altow a person to hive, pramiritu cuusend by a rejection of oneself and a feeling of terrible, irreparabte guilt.

The protagorist of Vazha-Pshavela in his own way pusses those lecls of personal growht ihat kierkegadrd highlights-transition from the easthctie level, i.e. from the existence of the adandoned feelings, emotions, Sportanc ous, passions to the differert levell of morality, to the existence aggravated by agonizing moral reflection and to the religions stage at which a person establishes clerdly individulized ard not formalizn contact With cod.

If we do accept a theory about existence of the prechristion georgian alphabet, we may suppose thut The life of Vazha-Pshavela's was writte by meahs of a altegiottography either in Greec or Aramaic.

**Key words:** vazha-Pshavela, aesthetics, mythos, nature, fog, artistic word

# რატომ არის მნიშვნელოვანი განათლება მდგრადი განვითარებისთვის?

მაია ბლიაძე[1] ნინო ფეტვიაშვილი[2] ნონა პოპიაშვილი[3]

[1]გეოგრაფიის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ/კონსულტანტი, maiabliadze13@gmail.com
[2]ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ - პროფესორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ/კონსულტანტი, npetvi@gmail.com
[3]წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტებისა და რესურსების პროგრამის ხელმძღვანელი, npopiashvili@tpdc.ge

**აბსტრაქტი**

განათლებას უმთავრესი როლი აკისრია იმ ცვლილებების განსახორციელებლად, რომელიც აუცილებელია მდგრადი განვითრების მისაღწევად. განათლება მდგრადი განვითარებისათვის განათლების სფეროში პოლიტიკის მიდგომების შეცვლაა, რამდენადაც მდგრადი განვითარების საკითხების შესწავლა მოითხოვს ერთიან, ინტერდისციპლინარულ, საგანთაშორისო მიდგომას. მნიშვნელოვანია, რომ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები ორგანულად შეეთვისოს სხვადასხვა სასწავლო დისციპლინების პროგრამებს. თუმცა, სასწავლო გეგმებსა თუ პროგრამებში მდგრადი განვითრების საკითხებისა და მიდგომების მხოლოდ ინტერგრირება ვერ გადაწყვეტს განათლების სისტემის წინაშე მდგარ პრობლემებისა და ამოცანების კომპლექსს. დღესდღეობით, ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავეხმაროთ პედაგოგებს ჩართონ მდგრადი განვითარების ამოცანები და იდეები საკუთარ სასწავლო პროგრამებში. მათ უნდა ვასწავლოთ ახლებური სწავლების მიდგომები და სასწავლო დისციპლინების სწავლების ეფექტურობის ამაღლების ხერხები. ასევე, მეტად მნიშვნელოვნია, რომ ლექტორები/მასწავლებლები სანამ თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში მდგრადი განვითარების ელემენტების ინტეგრირებას გადაწყვეტენ, თავად გაერკვნენ ამ არც თუ ისე მარტივ თემაში. ამასთანავე, უნდა შევძლოთ პედაგოგების იმაში დარწმუნება, რომ გარემოსდაცვითი განათლება, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას თუ როგორ ფუნქციონირებს ბუნება, როგორ უნდა შევინარჩუნოთ და დავიცვათ იგი, არ წარმოადგენს განათლება მდგრადი განვითარებისათვის ეკვივალენტს, თუმცა მჭიდროდაა მასთან დაკავშირებული. განათლება მდგრადი განვითარებისათვის უფრო ფართოა, ვიდრე ეკოლოგიური ან გარემოსდაცვითი განათლება, რადგან იგი დიდწილად სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებსა და პრობლემებს მოიცავს.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი განვითარება, განათლება მდგრადი განვითარებისთვის, ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი განათლება, მდგრადი განვითარების მიზნები

2015 წლის 25 სექტემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი (UN, 2015). აღნიშნული ახალი გლობალური ჩარჩო, რომელიც კაცობრიობის მდგრადი განვითარების გზაზე დაყენებას ემსახურება, შემუშავებული იქნა 2012 წელს, ბრაზილიაში, კერძოდ რიო დე ჟანეიროში, რიო+20 ფორმატში გამართული და მდგრადი განვითარებისადმი მიძღვნილი გაეროს კონფერენციის შემდეგ და მის შემუშავებას სამი წელი დასჭირდა. ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ გაეროს წევრი სახელმწიფოები, და

მილიონობით ადამიანი, რომლებიც ეროვნულ კვლევებს აწარმოებდნენ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე ათასობით პროცესში მონაწილე დაინტერესებული მხარე, მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის ბირთვს მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDGs) წარმოადგენს. მდგრადი განვითარების ეს საყოველთაო, ცვლილებების მომტანი და ინკლუზიური მიზნები აღწერს იმ გამოწვევებს, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას, მისივე განვითარების გზაზე. მდგრადი განვითარების აღნიშნული 17 მიზანი ემსახურება მდგრადი, მშვიდობიანი, წარმატებული და სამართლიანი ცხოვრების უზრუნველყოფას მთელს მსოფლიოში, ყველასთვის, ახლა და მომავალში. მიზნები მოიცავს იმ გლობალურ გამოწვევებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის გადარჩენისთვის. ისინი ადგენს გარემოსდაცვით წესებსა და ბუნებრივი რესურსების მოხმარების ზღვრებს. მიზნებში ასახულია მთელი რიგი სოციალური საჭიროებები, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და დასაქმების შესაძლებლობები და, ამავე დროს, კლიმატის ცვლილებასთან გამკლავებისა და გარემოს დაცვის აუცილებლობა. მდგრადი განვითარების მიზნები ემსახურება იმ სისტემური ბარიერების მოხსნას, რომლებიც მდგრად განვითარებას უშლის ხელს, როგორიცაა უთანასწორობა, არაგონივრული მოხმარება, სუსტი ინსტიტუციური შესაძლებლობები და გარემოს დეგრადაცია.

იმისათვის რომ მიღწეული იყოს დასახული მიზნები, საჭიროა ყველამ საკუთარი წვლილი შეიტანოს მათი განხორციელებისათვის გაღებულ ძალისხმევაში: მთავრობებმა, კერძო სექტორმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და თითოეულმა ადამიანმა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სახელმწიფოთა მთავრობების ვალდებულებაში შედის 2030 წლის დღის წესრიგის გახორციელებისათვის საჭირო ეროვნული ჩარჩოების, პოლიტიკისა და ღონისძიებების შემუშავების მიმართულებით გაღებული ძალისხმევის გაძღოლა და ხელშეწყობა.

მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს მისი საყოველთაო და განუყოფელი ხასიათი. მის სამიზნეს წარმოადგენს განურჩევლად ყველა ქვეყანა, განვითარებადი თუ განვითარებული. თითოეული ქვეყანა, რომელიც უერთდება მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგს იღებს ვალდებულებას, საკუთარი განვითარების მიმართულებით გაღებული ძალისხმევა შეაჯეროს საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნებთან, რაც ასევე გულისხმობს ჩვენი პლანეტის დაცვას, მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

მდგრადი განვითარების გზაზე დადგომა მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს იმაში, თუ როგორ ვაზროვნებთ და როგორ ვმოქმედებთ. უფრო მდგრადი მსოფლიოს შექმნის მიზნით და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული იმ პრობლემების მოგვარების საქმეში მეტი ჩართულობის უზრუნვესაყოფად, რომლებიც მდგრადი განვითარების მიზნებშია ჩამოყალიბებული, აუცილებელია თითოეული ადამიანის მონაწილეობა მდგრადი განვითარებისათვის საჭირო ცვლილებების გახორციელებაში. სწორედ ამას ემსახურება განათლება მდგარდი განვითარებისათვის.

განათლება მდგრადი განვითარებისათვის  მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის

მე-7 ამოცანაა, რომელიც განათლებას ეძღვნება, გლობალური მოქალაქეობის შესახებ განათლებასთან ერთად (GCED) და რომელსაც მხარს უჭერს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO). ამავდროულად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს მდგრადი განვითარებისათვის განათლების არსებითი ფუნქცია მდგრადი განვითარების ყველა სხვა დანარჩენ 16 მიზანთან მიმართებში. ემსახურება რა მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად საჭირო გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას, განათლება მდგრადი განვითარებისათვის საფუძვლად უდევს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მიმართულებით გაღებულ ნებისმიერ და ყველა ძალისხმევას, აძლევს რა საშუალებას ინდივიდუალურ პირებს საკუთარი წვლილი შეიტანონ მდგრად განვითარებაში, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების ხელშეწყობითა და, აგრეთვე, საკუთარ ცხოვრების წესსა და ქცევაში ცვლილებების შეტანით.

განათლება მდგრადი განვითარების კონცეფციის საფუძველია:

- ✓ საყოველთაობა და განათლების უწყვეტობა;
- ✓ მხარდაჭერა სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან;
- ✓ თანამედროვე მეცნიერული მიღწევების ინტეგრაცია ეკოლოგიურად მდგრადი სოციუმის მოდელების განვითარებისათვის;
- ✓ სწავლებისა და აღზრდის შეთანაწყობა;
- ✓ სწავლებისას ინტერდისციპლინური მიდგომა;
- ✓ პოზიტიური ურთიერთკავშირი სტუდენტს/მოსწავლესა და ლექტორს/ მასწავლებელს შორის და გამოცდილებასა და შემოქმედებითობაზე დაფუძნებული სწავლება.

განათლება მდგრადი განვითარებისათვის უნდა განიხილებოდეს, როგორც ხარისხიანი განათლების განუყოფელი ნაწილი, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის კონცეფციის არსებითი კომპონენტი: ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას - სკოლამდელი განათლებიდან დაწყებული, უმაღლესი, არაფორმალური და ფორმალურისგან განსხვავებული განათლებით დამთავრებული, შეუძლია აიღოს პასუხისმგებლობა მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების სასწავლო პროგრამებში ინტენსიურად ჩართვასა და მდგრადი განვითარების კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობაზე და, ფაქტობრივად, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება ასეც უნდა მოიქცეს. განათლება მდგრადი განვითარებისათვის მართლაც რომ მნიშვნელოვანი და მეტად აქტუალურია დღევანდელ მსოფლიოში არსებული გამოწვევების ფონზე.

განათლება მდგრადი განვითარებისათვის მოითხოვს ერთიან, ინტერდისციპლინარულ, საგანთაშორისო მიდგომას. მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები ორგანულად უნდა შეეთვისოს სხვადასხვა სასწავლო დისციპლინების პროგრამებს. თუმცა, კარგი იქნება თუ, უმაღლეს სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში გათვალისწინებული იქნება ისეთი სპეცკურსები, როგორიცაა, მაგალითად განათლება მდგრადი განვითარებისათვის, კულტურული მრავალფეროვნება და მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება, ქიმია და მდგრადი განვითარება, ეკონომიკური განვითარება და მდგრადობის პრობლემები და სხვ.

სკოლებასა და უმაღლეს სასწავლებლებში გაკვეთილებსა თუ ლექციებზე მუდმივად უნდა ექცეოდეს ყურადღება შესასწავლ საგანსა და ბუნებრივი, ეკონომიკური, სოციალური და ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვა ასპექტების მდგრადობას ან არამდგრადობას შორის ურთიერთკავშირს. სწავლების პროცესი აუცილებელად ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მოსწავლეებმა/სტუდენტებმა თავად გამოიტონან დასკვნა ადამიანის ცხოვრებასა და გარემოს შორის ჰარმონიულობის აუცილებლობის არსებობის შესახებ.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ სასწავლო გეგმებსა თუ პროგრამებში მდგრადი განვითრების საკითხებისა და მიდგომების ინტერგრირება ვერ გადაწყვეტს განათლების სისტემის წინაშე მდგარ პრობლემებისა და ამოცანების კომპლექსს. დღესდღეობით, ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ვასწავლოთ მასწავლებლებსა და ლექტორებს სწავლების თანამედროვე მიდგომები და სასწავლო დისციპლინების სწავლების ეფექტურობის ამაღლების ხერხები, რადგან სახელმწიფოს მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია განათლებული მოქალაქეები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ადამიანები უნდა ფლობდნენ ცოდნას, უნარებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს, იმისათვის რომ შეძლონ საკუთარი წვლილი შეიტანონ მდგრად განვითარებაში. მდგრადი განვითარების მიღწევა წარმოუდგენელია განათლების გარეშე.

მდგრადი განვითარებისათვის განათლება მიზნად ისახავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც საშუალებას მისცემს ინდივიდუალურ პირებს გააცნობიერონ და გააანალიზონ საკუთარი ქმედებები, გაითვალისწინონ ის სოციალური, კულტურული, ეკონომიკური შედეგები, რომლებიც მომავალში შეიძლება მათ ქმედებებს მოჰყვეს, და ის, თუ რა ზემოქმედება შეიძლება იქონიოს მათ მიერ გახორციელებულმა ქმედებებმა გარემოზე, როგორც ადგილობრივი, ასევე გლობალური პერსპექტივით. საჭიროა ასევე ადამიანების აღჭურვა შესაბამისი უნარებითა და შესაძლებლობებით, რათა მათ შეძლონ რთულ სიტუაციებში იმოქმედონ გადაჭრით, რაც მათგან შეიძლება მოითხოვდეს ახალი გზების არჩევას, და მონაწილეობა მიიღონ იმ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში, რომლებიც მათი საზოგადოებების მდგრად განვითარებას ემსახურება.

განათლება მდგრადი განვითარებისათვის თავის თავში მოიცავს ჰოლისტიკურ მიდგომასა და განათლებას, რომელიც ცვლილებების მოტანას ემსახურება, და რომელსაც გააჩნია საკუთარი შინაარსი და შედეგები, მეთოდები და წინაპირობები. გამომდინარე აქედან, განათლება მდგრადი განვითარებისათვის გულისხმობს არა მხოლოდ სასწავლო პროგრამაში ისეთი კონტენტის ჩართვას, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, სიღარიბე და გონივრული და რაციონალური მოხმარება; არამედ ასევე გულისხმობს ინტერაქტიულ, მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებასა და სასწავლო გარემოს.

განათლება მდგრადი განვითარებისათვის მოითხოვს სწავლებიდან სწავლაზე გადასვლას. იგი ასევე მოითხოვს ქმედებაზე ორიენტირებას, რეალური ცვლილებების მომტანი მეთოდების ე.წ. ტრანსფორმაციული პედაგოგიკის გამოყენებას, რაც ხელს უწყობს და ახალისებს სწავლის პროცესის თვითორგანიზებას, მონაწილეობასა და თანამშრომლობას, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებას, დისციპლინათაშორისი და ტრანსდისციპლინარული თემების განხილვას, ფორმალური და არაფორმალური

სწავლის გარემოთა შერწყმას. მხოლოდ ამგვარი პედაგოგიური მიდგომებით არის შესაძლებელი იმ ძირითადი კომპეტენციების დაუფლება, რომლებიც აუცილებელია მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის.

მდგრადი განვითარებისათვის განათლებას აქვს კონკრეტული შემეცნებითი, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ქცევითი სწავლის შედეგები, რაც ადამიანებს საშუალებას აძლევს გაუმკლავდნენ კონკრეტულ გამოწვევებს, რომლებიც მდგრადი განვითარების თითოეულ მიზანს უკავშირდება, და ამგვარად, ხელი შეუწყონ ამ მიზნების შესრულებას. შემეცნებითი განზომილება მოიცავს ცოდნასა და აზროვნების უნარებს, რომლებიც საჭიროა მდგრადი განვითარების მიზნისა და მის მიღწევასთან დაკავშირებული გამოწვევების უკეთ გასაცნობიერებლად. სოციალურ-ემოციური განზომილება მოიცავს სოციალურ უნარებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ინდივიდუალურ პირებს ერთმანეთთან ითანამშრომლონ, აწარმოონ მოლაპარაკებები და დაამყარონ კომუნიკაცია, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ხელშესაწყობად, და ასევე მოიცავს თვით-შემეცნების უნარებს, ღირებულებებს, დამოკიდებულებებსა და მოტივაციას, რაც შემსწავლელებს თვითგანვითარების საშუალებას აძლევს. ქცევითი განზომილება მოიცავს ქმედებასთან დაკავშირებულ კომპეტენციებს.

ცხადია, განათლებას მდგრადი განვითარებისათვის შეუძლია და უნდა გამოიყენოს როგორც ტრადიციული, ისე ეკოლოგიური და საბუნებისმეტყველო განათლების სფეროს ყველა პოზიტიური მიღწევა, გაამდიდროს იგი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კონტექსტით ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნებათ მოსწავლეებსა თუ სტუდენტებს შესაძლებლობა იმსჯელონ, გააანალიზონ და გაიაზრონ მომხმარებლობითი ქცევები, ბიზნესი, ტექნოლოგიები, სოციალური თანასწორობა, და რაც ყველაზე მთავარია - ისწავლონ და შეძლონ მომავლის პროგნოზირება.

იმისათვის, რომ მდგრად მსოფლიოში ვიცხოვროთ, ადამიანებმა უნდა შეძლონ წარმოიდგინონ მდგრადი მომავალი და ის რეალისტური გზები და ხერხები, რომლებიც დაგვეხმარება მასთან მისასვლელად; იმისათვის, რომ მდგრადი განვითარების იდეები სტუდენტებისთვის/მოსწავლეებისთვის ნამდვილად მიმზიდველი და საინტერესო გახდეს ლექტორმა/მასწავლებლებმა უფრო ხშირად უნდა განიხილონ ის საკითხები, რომლებიც ამა თუ იმ გეგმების და პროგრამების რეალიზაციის შედეგად მიღებულ პირად სარგებლობას ეხება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას განათლება მდგრადი განვითარებისათვის ყველა ინდივიდუალურ ადამიანს აძლევს საშუალებას საკუთარი წვლილი შეიტანოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, ხელს უწყობს რა მათ აღჭურვას იმ ცოდნითა და კომპეტენციებით, რომლებიც მათ სჭირდებათ არა მხოლოდ იმის გასაცნობიერებლად, თუ რას წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნები, არამედ იმისათვის, რომ როგორც ინფორმირებული მოქალაქეები, თითოეული მათგანი აქტიურად ჩაერთოს საჭირო ცვლილებების განხორციელების საქმეში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


I. მაია ბლიაძე, მდგრადი განვითარების მიზნები - https://eu.edu.ge/sites/default/files/2022;
II. მაია ბლიაძე, განათლება მდგრადი განვითარებისთვის – რა ამოცანები დგას მასწავლებელთა წინაშე? https://edu.aris.ge/news/ganatleba-mdgradi-ganvitarebisatvis-ra-amocanebi-dgas-maswavlebelta-winashe.html;
III. მანანა რატიანი, ასწავლო დღეს ისე, რომ ფიქრობდე მომავალზე - განათლება მდგრადი განვითარებისთვის. http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2015/12/ratiani-mdgradi-ganviTareba.pdf ;
IV. სწავლება გლობალური მოქალაქეობის შესახებ: თემები და სწავლის ამოცანები; გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2015 წ. http://unesdoc.unesco.org/images/0023/002329/232993e.pdf;
V. https://en.unesco.org/themes/education-sustainable-development;
VI. https://en.unesco.org/themes/education-sustainable-development/what-is-esd;
VII. https://www.developmenteducationreview.com/issue/issue-6/education-and-sustainable-development;
VIII. https://www.un.org/sustainabledevelopment/education/;
IX. https://www.plymouth.ac.uk/students-and-family/sustainability/sustainability-education/esd;
X. https://ecounesco.ie/;
XI. https://www.eugb.ge/page.php?id=2;
XII. http://european.ge/oqsimoronis-politikuri-anatomia/;
XIII. https://research-journal.org/pedagogy/obrazovanie-dlya-ustojchivogo-razvitiya-didaktika-budushhego/.


## Why is education important for sustainable development?


**Maia Bliadze[1] Nino Petviashvili[2] Nona Popiashvili[3]**

[1]Doctor of Geography, Professor of European University; Expert/consultant of the National Center for Professional Development of Teachers, maiabliadze13@gmail.com
[2]Assistant Professor of the University of Europe, expert/consultant of the National Center for Professional Development of Teachers, npetvi@gmail.com
[3]St. Andria Georgian University, associate professor, head of the standards and resources program of the National Center for Professional Development of Teachers, npopiashvili@tpdc.ge



**Abstract:**

The role of education is pivotal in implementing necessary changes to achieve sustainable development. Education for sustainable development (ESD) requires policy changes in the field of education once it promotes interdisciplinary approach to education. It is essential to naturally embed themes of sustainable development in the curriculum of all subjects in an interdisciplinary and holistic manner. However, it should be noted that the mere integration of sustainable development themes and approaches into curriculum or programs will not solve the complex problems and challenges facing the education system. Nowadays, the most vital task is to provide teachers with modern teaching methods and tools to incorporate sustainable development topics and ideas into the curriculum, thus increasing the effectiveness of teach-

ing disciplines.It is also essential that lecturers / teachers themselves figure out this wide and complex sphere before deciding to embed elements of sustainable development into their pedagogical practice.At the same time, we need to be able to convince them that environmental education, which provides information on how nature works, how to preserve and protect it, is not equivalent to education for sustainable development, but is closely related to it. Education for sustainable development is broader than ecological or environmental education, as it largely covers social and economic issues and problems.

**Key words:** Sustainable development, Education for sustainable development, Ecological and environmental education, Education for sustainability

# ბრიტანული თუ ამერიკული ინგლისური

**მეგი მანდარია**

თბილისის თავისუფალი აკადემიის აფილირებული პროფესორი

**აბსტრაქტი**

როგორც ვიცით, ინგლისური აღიარებულია საერთაშორისო ენად. მასზე მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარი საუბრობს, ან ვალდებულია ისაუბროს რადგან მის ქვეყანაში სახელმწიფო ენადაა გამოცხადებული. ამას ემატება რიგი ქვეყნებისა სადაც ინგლისური, როგორც მეორე უცხო ენა შედის სავალდებულო სასწავლო პროგრამაში. ეს ციფრი დაახლოებით ასე გამოისახება: 400 მილიონზე მეტი ადამიანისათვის ის მშობლიური ენაა, ხოლო ერთ მილიარდზე მეტ ადამიანს თავისუფლად შეუძლია ამ ენაზე საუბარი.
უფრო დეტალურად რომ განვიხილოთ ამისათვის საჭიროა ამერიკული ინგლისურის ისტორიის შესწავლა, საიდანაც ვიგებთ, რომ ყოველივე სათავეს იღებს 17-18 საუკუნეებში, როცა ამერიკას მოაწყდა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული ემიგრანტების დიდი ტალღა.

**საკვანძო სიტყვები:** ამერიკული ინგლისური, ბრიტანული ინგლისური, ლექსიკა, მართლწერა, წარმოთქმა

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ინგლისურის მრავალი სხვა სახეობებიც, მაგრამ ამერიკული და ბრიტანული ინგლისური არის ის ორი სახეობა, რომლებიც ძირითადად ისწავლება ESL/EFL პროგრამებში. ზოგადად შეთანხმდნენ, რომ არცერთი ვერსია არ არის „სწორი“, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვიყენებთ იმ ვარიანტს რომელსაც უპირატესობას ვანიჭებთ.

ენის ორივე სახეობა, ბრიტანული თუ ამერიკული 93-96 % ით გავს ერთმანეთს თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს ის ძირითადი განსხვავებები რომელიც მათ შორის არსებობს. ეს მოიცავს სხვადასხვა ასპექტებს, როგორიცაა:

1. წარმოთქმა - განსხვავება ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის, ისევე როგორც მახვილსა და ინტონაციაში.
2. ლექსიკა - განსხვავება ზმნებსა და არსებით სახელებს შორის, განსაკუთრებით ფრაზული ზმნების გამოყენებისას და აგრეთვე კონკრეტული ნივთებისა და ხელსაწყოების გამოყენებაზე.
3. მართლწერა - ძირითადი განსხვავება აღინიშნება გარკვეულ პრეფიქსსა და სუფიქსის ფორმებზე.

მიუხედავად გარკვეული განსხვავებისა ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურს შორის, მთავარი არის ის, რომ ამ ორ ენას შორის უფრო მეტი მსგავსებაა. ერთი ენის მეორის ნაცვლად შემთხვევით გამოყენება, ავტომატურად არ გამოიწვევს არასწორ კომუნიკაციას.

ამერიკელებსა და ბრიტანელებს, როგორც წესი, შეუძლიათ ერთმანეთთან ურთიერთობა ზედმეტი სირთულის გარეშე, ასე რომ ნუ იქნებით ძალიან მკაცრი საკუთარი თავის მიმართ თუ არ შეგვიძლია დავიმახსოვროთ ორივე ენის ნიუანსი.

- American English is the form of English used in the United States. It includes all English dialects used within the United States of America.
- British English is the form of English used in the United Kingdom. It includes all English dialects used within the United Kingdom. It is also used in Ireland, Australia, New Zealand, Canada, India and other Commonwealth regions.
- The main differences between American and British English include pronunciation/ dialect, grammar, vocabulary (lexis), spelling, punctuations, idioms, and formatting of dates and numbers.

Grammar: The main difference concerns spoken rather than written English

British English

- people use the present perfect to speak about a past action that they consider relevant to the present.
- - Have you done your homework yet?
  - Yes, I've just finished it.

American English

- present perfect can be used in the same way but people often use the past simple when they consider the action finished.
- -Did you do your homework yet?
  - Yes, I just finished it.

Verb Usage: Verbs are used in different manner

British English

In past tense

'to dream' - 'dreamed'

'to learn' – 'learned'

American English

In past tense

'to dream' – 'dreamt'

'to learn' – 'learnt'

Prepositions:

British English

The prepositions are usually included in the situations.

- play in a team
- go out at the weekend

American English

The prepositions are dropped or used sometimes.

- play on a team
- go out on the weekend

Letters

British English

- In the opening, there is a coma or no punctuation like 'Dear Mr John,'
- The closings are not usually included

American English

- In the opening, a colon is used, like 'Dear Mr John:'
- The closings include yours sincerely, yours truly, respectfully etc.

<u>Dates</u>

British English

- The dates are written with number before the month like, '19 November'
- Dates are written in this order- day/month/year

American English

- The dates are written with number after the month like, 'November 19'
- Dates are written in this order- month/day/year

<u>Numbers</u>

British English

- 'and' is used in the hundreds

555- Five hundred and fifty five

American English

- 'and' is not usually included.

555- Five hundred fifty five

<u>Spellings</u>

British English

- Colour
- Centre
- Defence
- Centralise
- Analyse
- Dialogue
- Gynaecology
- Neighbour
- Favourite
- Enrol

American English

- Color
- Center
- Defense
- Centralize
- Analyze
- Dialog
- Gynecology
- Neighbor
- Favorite
- Enroll

In Conclusion we can say that the way of using English is dictated by the different cultural values of the two countries, the USA and the UK.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Lakoff G,. Espenson J,. Goldberg A. Master Metaphor and Thought, 2nd edition (Ed. By A.Ortony. Cambridge University press, 1994);
2. Barlow and Kemmer 2002, "Introduction";
3. Darragh, G. A guide to the differences between American English and British English; A to Zed, A to Zee. Editorial Stanley, 2000;
4. Davies, C. A Common Language: A Guide to British and American English; Collins Reference; 2007;
5. American English or Britain English; Macmillan dictionary, 2000;
6. The UK to USA Dictionary; British English vs. American English; Solitaire Publishing Inc. 2014;
7. Oxford Advanced American Dictionary; Oxford, 2018;
8. Lodge D. Small World London: Penguin Books, 1992.


## British or American English


**Maggie Mandaria**

Affiliated professor of Free Academy of Tbilisi



**Abstract**

English is recognized as an international language. Almost half of the world's population speaks it, or is obliged to speak it because it is declared the state language in their country. In addition, there are a number of countries where English as a second foreign language is included in the compulsory curriculum. This figure is approximately as follows: for more than 400 million people it is their mother tongue, and more than one billion people can speak it fluently.

To consider it in more detail, for this we need to study the history of American English, from which we learn that everything originates in the 17th-18th centuries, when America had a large wave of immigrants from different countries.



**Key words:** American English, British English, vocabulary, spelling, pronunciation.

# საქართველოს სარეგისტრაციო სისტემა და მისი ადგილი მსოფლიოს სარეგისტრაციო სისტემებს შორის

**ეკატერინე ლაფაჩი**

თბილისის თავისუფალი აკადემიის პროფესორი, სამართლის დოქტორი,
elapachi@freeacademy.edu.ge

**აბსტრაქტი**

უფლებათა რეგისტრაცია თანამედროვეობაში უდიდესი ფუნქციის მატარებელია  სწორედ რეგისტრაციის ფაქტზეა დამოკიდებული უფლების არსებობა. საქართველოში ამ სფეროში განხორციელებული რეფორმები წინადამული ნაბიჯია, სწორედს ამ რეფორმების შედეგია ამ ეტაპზე საქართველოში ჩამოყალიბებული და  არსებული სარეგისტრაციო სისტემა.
ამ სისტემის დახვეწა და რეფორმები დღემდე მიმდინარეობს. რაც ბუნებივი პროცესია. ტექნიკური არიცხვის ბიუროებისა და მიწის მართვის დეპარტამენტის ბაზაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჩამოყალიბებამ განაპირობა  მოცემული სფეროს მსოფლიოს თანამედროვე სარეისტრაციო სისტემებთან დაახლოვება, რისი  დახვეწაც  დღემდე მიმდინარეობს. ამ ფონზე საინტერესო იქნება საქართველოს სარეგისტრაციო სისტემისა და მსოფლიოს სარეგისტრაციო სისტემების შეადრება იმ ძირითადი მახასიათბლების მიხედვით, რაშიც გამოვლინდება მსავსება და განსხვავებები მათ შორის.
მიუხედავად იმისა, რომ მათი ფუნქციას უძრავ ნივთებზე უფლებების რეგისტრაცია მიეკუთვნება, ამ სისტემების კლასიფიკაციის  მნიშვნელობა უდიდესია, რადგან მათი ანალიზის ფონზე შესაძლებელია დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა, რაც შემდგომში ხელს უწყობს ამ საქართველოს სისტემის დახვეწას.

**საკვანძო სიტყვები:** სარეგისტრაციო სისტემები, მარეგისტრირებელი ორგანო, რეგისტრაციის ობიექტი

## მსოფლიოს ძირითადი სარეგისტრაციო სისტემები

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში უძრავ ნივთებზე უფლებათა რეისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო[1].
ქართული სარეგისტრაციო სისტემა, ჩემის აზრით, წარმოადგენს ერთგვარ ნაზავს, ჰიბრიდს, რაც გულისხმობს იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა სისტემებიდან კანონმდებელს აღებული აქვს კონცეპტუალური საკითხები და ამგვარად მორგებულია საქართველოს თანამედროვეობაზე. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი პრინციპი აღებულია გერმანული სამართლიდან, რაც გუსიხმობს ერთიანი მარეგისტრირებელი დაწესებულების არსებობას და უფლებების რეისტრაციისათვის კონსტიტუციური მნიშვნელობის მინჭებას. გერმანიის სამოქალაქო კოდექსიც სწორედ ამგვარად აწესრიგებს

1 საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, 2008, მ.

უძრავ ნივთებზე უფლებების წარმოშობის საკითხს[2].

რაც შეეხება კადასტრის საკითხის მოწესრიგებას, ეს მთლიანად შვედური სისტემიდან არის აღებული და მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტი, რომ ანგლო-ამერიკული სისტემიდან აღებულია მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხი ანუ მათი ძირითადი პრინციპია მთელი პასუხისმებლობის ბრუნვის მონაწილე მხარეებისათვის დაკისრება.

შესაბამისად, საადგილმამულო სისტემის ქვეყნებში საჯარო რეესტრის ფუნქცია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციაა[3]. საქართველოშიც საჯარო რეესტრის დანიშნულება, და მისი არსებობის მთავარი ფუნქცია, სწორედ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციაა.

სარეგისტრაციო სისტემების კლასიფიკაცია შესაძლებელია ასევე სარეგისტრაციო ობიექტის, ასევე რეესტრში უფლების თაობაზე არსებული ჩანაწერისა და ამ ჩანაწერის საფუძვლის ნამდვილობის, ასევე იმის მიხედვით, თუ რომელი დაწესებულება და ორგანიზაცია ახორციელებს უფლების რეისტრაციას.[4]

საჯარო რეესტრი უმთავრესი ფუნქცია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეების ინტერესების უზრუნველყოფა და დაცვაა [5], რაც  თავისი არსებობით წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის გარანტს[6]. შესაბამისად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ინსტიტუტი ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რაც უპირველეს ყოვლისა, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის საკითხში ვლიონდება, რაც სამქალაქო ბრუნვისა და ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და დემოკრატიული საზოგადოების არსებიების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

## რეგისტრაციის ობიექტი

არსებობს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სარეგისტრაციო სისტემა: გარიგებების რეგისტრაციისა და უფლებების რეგისტრაციის სისტემები. ამ კრიტერიუმის მიხედვით განსხვავებულია რეგისტრაციის ობიექტებიც. რეგისტრაციის ობიექტი შეიძლება იყოს გარიგება ან უფლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარიგების რეგისტრაციის შემთხვევაში, ასეთი რეგისტრაცია საინფორმაციო ხასიათს ატარებს. უფრო ზუსტად კი, შეიძლება ითქვას სტატისტიკური ხასიათი აქვს. მაგალითად, როდის დაიდო, რა ტიპის გარიგება დაიდო, ვინ არიან მონაწილეები და ა. შ. ეს სისტემა მოქმედებს მაალითად ამერიკის

2 ზ. ჭეჭელაშვილი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2019;

3 ვოლფი/ველენჰოფერი, სანივთო სამართალი, საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, 29-ე გამოცემა, თბ., 2016, 420.

4 იხ. ე. ლაფაჩი, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის ავლენა, ამ უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე, 2016, 59;

5 Schöner/Stübe, Grundbuchrecht, Band 4, Handbuch der Rechtspraxis Verlag-C-H, Beck-Mün., 15. Aufl., 2012, S. 17.

6 Pamela O'Connor, Double Indemnity – Title Insurance and The Torrens system, 2003, Queensland U. Tech. L. & Just. J. 141, S. 72.

შეერთებული შტატების უმრავლეს შტატში[7].

აბსოლუტურად განსხვავებულია ის სისტემები, რომელთა მიხედვითაც ხდება უფლებების რეგისტრაცია, ამ კატეგორიას მიეკუთვნება ის ქვეყნები, რომელთა სარეგისტრაციო სისტემაში რეგისტრაციასაც კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს ანუ უფლება წარმოისობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხორციელდება მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. ამ სისტემას მიეკუთვნება გერმანიის საადგილმამულო სისტემა[8], ასევე ისეთი სისტემა, როორიცაა ტორენსის სისტემა[9], ტორენსის სისტემა მოქმედებს ინგლიში, ასევე ამერიკის შეერტებული შტატების ზოგიერთ სტატში. ამ სისტემის წარმომადგენელია საქართველოც.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ განსხვავებით უფლებათა რეგისტრაციის სხვა ქვეყნების სისტემისაგან, საქართველოს სარეგისტრაციო სისტემის დამახასიათებელი თავისებურებაა პასუხისმგებლობის მხარეებისადმი გადაკისრების პრინციპი, რადგან სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხს აგებენ მხარეები, რადგან საჯარო რეესტრის შესახებ  კანონის მიხედვით, სარგეისტარციო ორგანოს თანამშრომელი სრულიად განთავისუფლებულია ამგვარი პასუხისმგებლობისაგან[10].

რეესტრის ჩანაწერი და ამ ჩანაწერის საფუძველი

ამშემთხვევაში იმიჯნება ერთმანეთისაგან სისტემა, რომლის მიხედვითად საფუძველის და ჩანაწერის სინამდვილე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, ანუ ჩანაწერის საფუძვლად არსებული საფუძველის ბათილობა არ ახდენს გავლენას ჩანაწერის ბათილობაზე და სისტემა, რომლის მიხედვით საფუძვლის ბათილობა პირდაპირ კავშირშია ჩანაწერის ბათილობასთან.

ჩანაწერისა და მის  საფუძვლად არსებული საფუძვლის ბათილობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია  გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, სადაც მოქმედებს აბსტრაქციის პრინციპი, ხოლო ერთმანეთზე დამოკიდებულება ვლინდება ისეთი ქვეყნების სარეგისტრაციო სისტემაში, როგორიცაა ჰოლანდია. ამ სისტემაში თუ რა ადგილი უკავია საქართველოს ამაზე ერთიანი მოსაზრება აღიარებული არ არის, თუმცა ვფიქრობ, იმ საქართველო იმ ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება, სადაც ჩანაწერის ნამდვილობა დამოკიდებულია მის საფუძვლად არსებული გარიგების ნამდვილობაზე.

მარეგისტრირებელი ორგანო

<u>მარეგისტრირებელი</u> ორგანოს ორგანიზაციული მოწყობის მიხედვით სარეგისტრაციო

7 Vieweg/Werner, Sachenrecht, Köln, Berlin, Bonn, Mün., Aufl. 7, 2015, S. 4.

8 Kropholler, Bürgerliches Gesetzbuch, 8. neubearbeitete Aufl., Mün., 2005, § 873, Rdnr. 11.

9 იხ. Right to a Fair Under the European Convention on Human Rights (Article 6), Interights Manual for Lawyers, Produced With the Generous Support of the Open Society Institute, 2009, S. 10

10 საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, 2008, მ. 3-6.

სისტემების კლასიფიკაცია შესაძლებელია დაიყოს ადმინისტრაციულ და სასამართლო მარეგისტრირებელ ორგანოებად.
ადმინისტრაციული მოწყობის სარეგისტრაციო სისტემებში რეგისტრაციას აწარმოებენ სპეციალური ადმინისტრაციული ორგანოები. ამ სისტემას მიეკუთვნება ტორენსის სისტემა[11].

ხოლო სასამართლო სარეგისტრაციო სისტემებში რეგისტრაციას ასრულებენ მიწის სასამართლოები. ეს სისტემაა, გერმანიაში,[12] შვედეთში[13].
საქართველო მიკუთვნება ადმინისტრაციული სისტემის რიგს. თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონმდებლობის მოიხედვთ საჯარო რეესტრს ეკისტრება ისეთი ფუნქციებიც, რაც წესით სასამართლოების უფლებამოსილების საკთხია. მაგალითად, განიხილავს ადმინსტრაციული წარმოების წესით, რეგისტაციის გუქმების საკითხებს, რაც მოიაზრებს საკუთრების უფლების გაუქმების საკითხს[14], რაც ვფიქრობ, სასამართლოების ფუნქციაა.

საბოლოო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სარეგისტრაციო სისტემა წარმოადენს ერთგვარ ჰიბრიდს, აქვს როგორც ცენტრალური ევროპის სამართლისათვის დამახასიათებელი, ისე ანგლო-ამეროკული სისტემისათვის დამახასიათებელი ნიშნები. თუმცა უმჯობესი იქნება, პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხშიც ევროპული ქვეყნების სარეგისტრაციო სისტემების პრინციპები და მიდგომა იყოს გაზიარებული, რაც ვფიქრობ, გაზრდიდა საჯარო რეესტრის მიმართ ნდობას და ასევე აამაღლებდა ბრუნვის მონაწილეთა დაცვის ხარისხს.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, 2008;
2. ზ. ჭეჭელაშვილი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2019;
3. ვოლფი/ველენჰოფერი, სანივთო სამართალი, საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, 29-ე გამოცემა, თბ., 2016;
4. იხ. ე. ლაფაჩი, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის ავლენა, ამ უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე, 2016;
5. Schöner/Stübe, Grundbuchrecht, Band 4, Handbuch der Rechtspraxis Verlag-C-H, Beck-Mün., 15. Aufl., 2012, S. 17.
6. Pamela O'Connor, Double Indemnity – Title Insurance and The Torrens system, 2003, Queensland U. Tech. L. & Just. J. 141, S. 72


11 ჭეჭელაშვილი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2019,

12 Емильянова, Правовые проблемы государственной регистрации прав на недвижимое имущество и сделок сним, С., 2003, С. 14.

13 იხ. იქვე.

14 საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, 2008, მ. 26.

# Registration system of Georgia and its place among the registration systems of the world

**Ekaterine Lapachi**

Professor of Free Academy of Tbilisi, Doctor of Law, elapachi@freeacademy.edu.ge

**Abstract**

The registration of rights in modern times has the greatest function, the existence of the right depends on the fact of registration. The reforms implemented in this field in Georgia are a proposed step, the result of these reforms is the registration system established and existing in Georgia at this stage.
Improvements and reforms of this system are still ongoing. which is a natural process. The establishment of the National Agency of Public Registry on the basis of technical registration bureaus and the Department of Land Management led to the convergence of the given field with the modern registration systems of the world, which is still being refined. Against this background, it will be interesting to compare the registration system of Georgia and the registration systems of the world according to the main characteristics, in which complementarity and differences between them will be revealed.
Despite the fact that their function includes the registration of rights to immovable objects, the importance of classifying these systems is great, because in the light of their analysis, it is possible to reveal positive and negative aspects, which further contributes to the improvement of this Georgian system.

**Key words:** registration systems, registration authority, object of registration

# საქართველოს ბუნებრივი რესურსების და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია

## (გამაჯანსაღებელ კურორტ ბიოლის მაგალითზე)

**ნინო მახარაძე**

თბილისის თავისუფალი აკადემიის მოწვეული ლექტორი, ეკონომიკის მაგისტრი nmakharadze@freeacademy.edu.ge

**აბსტრაქტი**

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს ბუნებრივი რესურსების გავლენა ველნეს კურორტების არსებობაზე. აღნიშნულია, რომ სწორედ ეს ნიშა შეიძლება გახდეს საქართველოს ბრენდ კოდი მსოფლიოში. ნაჩვენებია, საქართველოში ერთ-ერთი პირველი ველნეს ცენტრ „ბიოლის“ სვოტ ანალიზი, მისი კონკურენტული უპირატესობა როგორც მსოფლიოს წამყვან ანალოგიურ ცენტრებთან, ასევე საქართველოში არსებულ ველნეს ცენტრებთან შედარებით. გადმოცემულია ის ეკონომიკური ეფექტი, რასაც ველნეს ცენტრების ამოქმედება მოუტანს საქართველოს.

**საკვანძო სიტყვები:** ბუნებრივი რესურსები, კულტურული მემკვიდრეობა, ველნეს ცენტრი, გამაჯანსაღებელი კურორტი „ბიოლი“.

დღევანდელ სამყაროში გლობალიზაცია როგორც ტერიტორიულ, ასევე კულტურულ საზღვრებსაც შლის, ამიტომ საჭიროა ქვეყანას ქონდეს საკუთარი ბრენდ-კოდი, რომლითაც თავის ნიშას დაიჭერს მსოფლიოში და რომელიც დაეხმარება მას კულტურის და იდენტობის შენარჩუნებაში.

საქართველო გამოირჩევა უნიკალური ბუნებით, მცირე ტერიტორიაზე არის: მრავალფეროვანი კლიმატური ზონები, ზღვა (ტროპიკული ჰავა), მთები, მდინარეები, ტყეები, თიხა (სამკურნალო დანიშნულებით), სხვადასხვა სახეობის მინერალური წყალი, სამკურნალო ტალახები, სამკურნალო მცენარეები, ღვინოთერაპიის შესაძლებლობა, მაგნიტური ქვიშები და კიდევ მრავალი სხვ. საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ადგილია სამკურნალო რესურსების მრავალფეროვნებით. ამ ტერიტორიას თანამედროვე მსოფლიო მიღწევების გამოყენებით შეუძლია გახდეს მსოფლიოს ველნეს კურორტების ქვეყანა.

საქართველოში ამ მიმართულებას მისი ისტორიული საფუძვლებიც განაპირობებს. თითქმის ყველა რეგიონში დღემდე აქვთ ცოდნა მცენარეების სასწაულმოქმედი სამკურნალო თვისებების შესახებ. შეიძლება ითქვას, ყოველ მესამე ოჯახს აქვს ბებიის დანატოვარი რეცეპტი სამკურნალო ნაყენისა თუ მალამოს შესახებ.

საქართველო კურორტებისა და საკურორტო ადგილების ქვეყანაა, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მისი ჰავა წარმოადგენს. 69 ათას კვადრატულ კილომეტრზე 15 ნიადაგობრივი და 25- ზე მეტი კლიმატურ -ნიადაგობრივი ზონა არსებობს.

საქართველო მდიდარია მტკნარი და მინერალური წყლებით, სამკურნალო ტალახებით

-პელოიდებით, რაც ამჟამადაც წარმატებით გამოიყენება ბალნეოლოგიურ ცენტრებში. ასევე აღსანიშნავია ქვიშით თერაპია, მაგნიტური ქვიშების გამოყენება. მსოფლიოს 2-3 ქვეყანაში არის სამკურნალო ქვიშები, მაგრამ მაგნიტის კონცენტრაციით უნიკალურია ურეკის ქვიშები.

საქართველოში ცალ-ცალკე არსებობს ღვინოთერაპიის, ტალახით თერაპიის, მინერალური წყლებით თერაპიის, მაგნიტური ქვიშებით თერაპიის, სპა თუ ფიტნესს ცენტრები და  თანამედროვე დასვენების პრინციპზე აგებული სასტუმროები და ა. შ.

ამგვარად, ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი პირობა არსებობს ველნეს ინდუსტრიის განვითარებისთვის. საქართველოს აქვს საშუალება მსოფლიო ბაზარზე პოზიციონირდეს, როგორც ველნეს კურორტების ქვეყანა.

ველნეს ინდუსტრიის განვითარების მხრივ ფავორიტი ქვეყნებია აშშ, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი. ეს ქვეყნები ტურისტებს ველნეს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობენ.

საქართველოში ერთ-ერთი პირველი ველნეს კურორტი ბიოლი თბილისის ცენტრიდან 15 წუთის სავალზე კოჯრის ტყეში მდებარეობს. აქ არსებული კლიმატი ხელს უწყობს ორგანიზმის საერთო ტონუსის აღდგენას და დაავადებების მიმართ წინააღმდეგობის უნარის გაძლიერებას.

პანდემიის პერიოდში, როდესაც პირველად ყატარის ავიახაზებით გაიხსნა მიმოსვლა საქართველოსთან, უამრავი ტურისტი ჩამოვიდა საუდის არაბეთიდან და მას შემდეგ ეს ქვეყანა ლიდერობს ბიოლის დამსვენებლებს შორის.

ბიოლი ახალი სიტყვაა როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო ბაზარზე. ის მუდმივად ვითარდება და აქვს ამბიციური გეგმები. ბიოლის კონკურენტებად შეიძლება მოვისაზროთ: ბორჯომი - Crownplasa, ლოპოტა, წყალტუბო, საირმე.

ზემოთ აღნიშნული კონკურენტების უპირატესობა არის ის, რომ უმეტესობა მათგანი საუკუნეზე მეტია ფუნქციონირებს. შესაბამისად, ადგილობრივ ბაზარზე მათი პოზიცია უკვე დიდი ხანია გამყარებულია. თუმცა მათი მიმართულება არის ძალიან კონკრეტული და შეზღუდული. მაგალითად, ბორჯომში და წყალტუბოში შესაძლებელია მინერალური

წყლებით, ურეკში მაგნიტური ქვიშებით და ა. შ. მკურნალობა.
ბიოლი კი საქართველოს უამრავ რესურსს ერთად აერთიანებს. უჯრედის დონეზე არსებული კვლევების შემდეგ კი ვიზიტორს თავისი ორგანიზმის საჭიროებაზე ზუსტად მორგებულ პროგრამას სთავაზობს. ასევე ის არის ერთადერთი ველნეს ცენტრი, რომელსაც უფრო მეტად სამედიცინო დანიშნულება აქვს და მისი მთავარი მიზანიც არის ადამიანის გაჯანსაღება.
სამედიცინო ველნეს ცენტრ ბიოლის სვოტ ანალიზი შემდეგია:




ეკონომიკური ეფექტი, რასაც კურორტი მოუტანს საქართველოს;

- ქვეყნის პოპულარიზაცია მსოფლიო მასშტაბით;
- მსოფლიოს მაღალშემოსავლიანი ადამიანების მოზიდვა;
- განვითარებული ინფრასტრუქტურა;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- მოთხოვნის გაზრდა ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის

პროდუქციაზე (მეფუტკრეობა, მეღვინეობა, მარცვლეულის წარმოება, მეცხოველეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, ჩაის წარმოება);

- მოთხოვნის გაზრდა სუვენირებსა და ხალხური რეწვის პროდუქციაზე;
- მომსახურების ისეთი დარგების გამოყენების  გაზრდა, როგორიცაა: ტრანსპორტი და კომუნიკაციის სხვა საშუალებები.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ერქომაიშვილი, გ. GEORGIAN WELLNESS – საქართველოს ბრენდ - კოდი მსოფლიოში. თბილისი, "უნივერსალი", 2016;
2. ერქომაიშვილი, გ. ველნეს (wellness) ინდუსტრია - ახალი ბრენდი საქართველოს ბაზარზე. ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა", N1, 2013;
3. მჭედლიძე თ., ქართული ველნეს ინდუსტრია, როგორც დიდი ეროვნული იდეა. www.mg.ge;
4. G. Erkomaishvili, R.Gvelesiani, E. Kharaishvili, M. Chavleishvili, Policy of Tourism and Opportunities of Development of Wellness Industry in Georgia. International Conference on Economics, Management of Business and Technology. World Academy of Scienxe, Engineering and Technology, Dubai, UAE. 30-31 January, 2014. www. waset.org;
5. Donald B. Ardell. What is Wellness. www. Seekwellness.comHalbert Dunn. High level Wellness. 1961, www.Icaa.cc;
6. Paul Zane Pilzer, The new Wellness Revolution, New York, 2011;
7. Kvesitadze, G., Khatisashvili, G., Sadunishvili, T, Ramsden, J.J.Biochemical Mechanisms of Detoxification in Higher Plants. Basis ofPhytoremediation. 262 pages. Springer, 2006.


## Promotion of Natural resources and cultural heritage of Georgia (using the example of the health resort of Bioli)


**Nino Makharadze**

Invited lecturer of Free Academy of Tbilisi, Master of Economics,
nmakharadze@freeacademy.edu.ge



**Abstract**

The paper describes the influence of natural resources of Georgia on the existence of wellness resorts. It is mentioned that this niche can become the brand code of Georgia in the world. The SWOT analysis of Bioli, one of the first wellness centers in Georgia, shows its competitive advantage both compared to the world's leading similar centers and compared to the existing wellness centers in Georgia. The economic effect that implementation of wellness centers will bring to Georgia is presented.



**Key words:** natural resources, cultural heritage, wellness center, health resort "Bioli".

# თაღლითობის ჩადენის ძირითადი ხერხი

**ალექსანდრე ჯავახიშვილი**

თბილისის თავისუფალი აკადემიის პროფესორი, სამართლის დოქტორი,

ajavakhishvili@freeacademy.edu.ge

**აბსტრაქტი**

საქართველოში დღესდღეისობით შეიძლება ითქვას, რომ მეტად აქტუალურ და პრობლემურ თემად წარმოადგენს ისეთ სახის დანაშაული, როგორიცაა თაღლითობა, ანუ მოტყუება, რამაც ფეხი მოიკიდა და შეაღწია ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში - იქნება ეს ვაჭრობა, მშენებლობა, ეკონომიკა, მრეწველობა, ჯანდაცვა, თუ განათლება და რაც მტავარია დამნაშავე ელემენტები - აფერისტები, ის პირები, რომლებიც თვალთმაქცობით და მიმნდობი პირების ნდობის ბოროტად გამოყენებით შოულობენ დაითვისებენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით არა მარტო თანხას, არამედ მოიპოვებენ მათ ქონებაზე უფლებასაც. ამიტომაც მკითხველმა უფრო შინაარსობრივად, რომ გაიგოს და ჩაწვდეს თაღლითობის ჩადენის ხერხების თავისებურებაში და განასხვავოს მათ შორის არსებითი განსხვავება, ჩავთვალეთ საჭიროდ აუცილებლად უფრო დაწვრილებით მოვახდინოთ აღნიშნული დანაშაულის განხილვა, რათა მომავალში თავიდან აცილებული იქნას აღნიშნული დანაშაულის შესაძლებელი ფართო გავრცელება.

**საკვანძო სიტყვები:** თაღლითობა, მოტყუება, ეკონომიკა, ჯანდაცვა, განათლება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXV-ე თავში „დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ“ არსებობს 180-ე მუხლი „თაღლითობა“, რომელშიც დადგენილია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით.

აღნიშნული სახის დანაშაული სხვა დანაშაულებისგან განსხვავდება პირველ რიგში მისი ჩადენის ხერხით, სახელდობრ, თაღლითი კანონსაწინააღმდეგოდ ეუფლება მოქალაქეთა პირად ქონებას (სხვა ნივთს) ან ქონებრივ უფლებას მოტყუებით.

თაღლითობის ჩადენის ძირითადი ხერხია მოტყუება ე.ი. დაზარალებულის წინასწარ განზრახ შეცდომაში შეყვანა გარკვეული ფაქტების, გარემოებებისა და ხდომილებების შესახებ, მისი საკუთარი ნება (ნებაყოფლობით) ქონების თაღლითისათვის გადაცემას წაქეზებით. ასეთი ხერხით თაღლითი ეუფლება ამ ქონებას. როგორც საკუთარს, სამუდამოდ და უსასყიდლოდ და სწორედ ამიტომ უნდა დადგინდეს ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯება, წინააღმდეგ შემთხვევაში თაღლითობის შემადგენლობას ადგილი არ ექნება.

მოტყუებაში უნდა განვასხვავოთ მისი <u>შინაარსი</u> და <u>ფორმა</u>. <u>შინაარსია</u> სხვადასხვა გარემოებები, რომლებითაც თაღლითს შეჰყავს შეცდომაში დაზარალებული. მოტყუება შეიძლება შეეხოს საგნებს, პიროვნებებს, მოქმედებებს, ხდომილებების, მათ ფაქტობრივ და იურიდიულ თვისებებს. და მათ შინაარს შეადგენს როგორც ობვიექტური, ისე

სუბიექტური ხასიათის გარემოებები.

ფორმის თვალსაზრისით ნებისმიერი სიცრუე შეიძლება მიეკუთვნოს ორიდან ერთ-ერთ კატეგორიას: ჭეშმარიტების დამახინჯებას ან ჭეშმარიტების დამალვას.

არსებობს ასევე თაღლითური სიცრუის ცალკე სახეები, რომლებიც შინაარსის მიხედვით მიზანშეწონილია დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

ა) სიცრუე პიროვნების შესახებ (მისი არსებობის, იგივეობის, განსაკუთრებული თვისებებისა და ხასიათის, პროფესიის, კვალიფიკაციის);

ბ) სიცრუე სხვადასხვა საგნის შესახებ (მათი არსებობას, იგივეობას, ზომას, ხარისხს, ღირებულებას);

გ) სიცრუეს სხვადასხვა, ხდომილებების ფაქტებსა და მოქმედებების შესახებ; და

დ) სიცრუე განზრახვების შესახებ (ცრუ დაპირებები).

სიცრუე პიროვნების შესახებ - რომელიც შეიცავს „სიცრუეს პიროვნებაში“, რაც ძალზე ხშირად გვხვდება თაღლითობის საქმეებში, როდესაც თაღლითი იძლევა ცრუ ცნობებს, როგორც საკუთარი პიროვნების, ასე თავისი თანამონაწილის შესახებ.

პიროვნებასთან დაკავშირებულ სიცრუეთა შორის შეიძლება გამოვყოთ სიცრუე „იგივეობაში“, როდესაც დამნაშავე წარმოადგენს თავის ან თავის თანამონაწილეს როგორც სხვა პირს, რათა მიისაკუთროს სხვა პირის უფლებამოსილება, ანდა გამოიწვიოს განსაკუთრებული ნდობა თავის მიმართ.

მოტყუების ამ ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს, აგრეთვე, მოტყუება „პიროვნულ თვისებებში“, რაც ნიშნავს იმას, რომ სუბიექტი აჯერებს ან ანიჭებს თავის მონაწილეს იმ თვისებებს, რომელიც მას არ გააჩნია და ამ შემთხვევას შეიძლება მიეკუთვნოს დამნაშავის ცრუ განცხადება იმის თაობაზე, რომ თითქოს იგი იცნობს ან ნათესაურ კავშირში იმყოფება ისეთ პირებთან, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული სამსახური გაუწიონ მოტყუებულს (დაზარალებულს) ანდა თავდებად დაუდგნენ მას. მაგალითად, თითქოსდა თანამდებობის პირებისათვის ქრთამის გადასაცემად ფულის მიღებისას თაღლითი ხშირად ატყუებს დაზარალებულს ამ თანამდებობისპირებთან ნაცნობობის ფაქტის გამო.

სიცრუე დანაშაულის საგნის შესახებ - ცრუ ცნობები სხვადასხვა საგნის არსებობის, მათი რაოდენობის, ფასის შესახებ. ჩვეულებრივ ამგვარი მოტყუება ხდება, როდესაც დამნაშავე გამყიდველის ხოლო დაზარალებული მყიდველის როლშია. გარიგებას საგნის შესახებ ცრუ ცნობების მიწოდების საშუალებით დამნაშავე ღებულობს საფასურს, რომელიც არ შეესაბამება გაყიდული საგნის ნამდვილ ღირებულებას და სწორედ არატოლფასოვანი გასამრჯელოს მიღებაში ქონებრივი ხელყოფის ხასიათი.

სიცრუე საგნის არსებობის შესახებ ჩვეულებრივ უთავსდება სიცრუეს განზრახვაში. დამნაშავე ღებულობს ფულს ისეთი საგნის გაყიდვის დაპირებით, რაც მას არ გააჩნია და ამასთან ბუნებრივია წინასწარ იცის, რომ დანაპირებს ვერ შეასრულებს. სიცრუე შეიძლება ეხებოდეს საგნების რაოდენობას ან ზომას, როდესაც დამნაშავე გადასცემს

დაზარალებულს გარიგების საგანს, დაპირებულზე რიცხვით, ზომით ან წონით ნაკლებს და სწორედ ასეთი მოტყუება ატარებს ყველაზე ხშირად ყიდვა-გაყიდვის დროს მოტყუების ფორმას.

მოტყუება რაოდენობაში ახლოსაა ხარისხში მოტყუებასთან. მოტყუებად რაოდენობაში უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ყიდვა-გაყიდვის პროცესში გარიგებით დადგენილი ფულადი თანხის დაზარალებულისათვის შემცირებული ოდენობის გადაცემა.

<u>სიცრუეს ხდომილებებსა და მოქმედებების შესახებ</u> - შეიძლება იყოს რაიმე სამუშაოს შესრულების ფაქტი, რომელიც ფაქტობრივად არ შესრლებულა, ან შესრულდა მცირე მოცულობით - კვალიფიცირდება როგორც თაღლითობა. სიცრუე შეიძლება იყოს სათანადო გასამრჯელოს უკანონოდ მიღების მიზნით გაწეული ხარჯების შესახებ ყალბ მტკიცებაში. მაგალითად მსჯავრდებული იყო პირი, რომელმაც სასაფლაოზე მუშად მუშაობის დროს მოტყუების გზით მიიღო მოქალაქესგან 800 ლარი და შეპირდა მას მამას საფლავზე ბეტონის საძირკვლის (ცოკოლის) მოწყობას, მოზაიკური ფილების და კარნიზების დაყენებას, მაგრამ გააკეთა მხოლოდ საძირკველი, ე.ი. პრეისკურანტის მიხედვით შესრულდა მხოლოდ 317 ლარის სამუშაო, ხოლო დანარჩენი 483 ლარი კი მითვისებული იქნა.

<u>სიცრუე განზრახულობის შესახებ (ცრუ დაპირებები)</u> - ე.ი. დამნაშავე დაპირებას იძლევა შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება ქონების გამღები პირის სასარგებლოდ, ხოლო დაზარალებულის ქონების მიღების შემდეგ იყენებს მას საკუთარი თავის სასარგებლოდ. აქედან გამომდინარეობს, რომ ცნობები „სიცრუე განზრახულობის შესახებ“ და „ცრუ დაპირებები“ იდენტურია, ანუ ერთი და იგივეა.

ცრუ დაპირების შინაარსია მომავალი დროის გარემოებები - თაღლითი დაპირებას იძლევა „იშოვოს“ დეფიციტური საქონელი გადასცეს ფული დანიშნულებისამებრ, გადაიხადოს ვალი. ცრუ დაპირებები არის ყველაზე ტიპიური მოტყუება იმ გარემოებებში, რომლებიც მომავალს ეხება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თაღლითობის განხილვის დროს ზოგიერთი იურისტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დანაშაულის ჩადენის დროს აუცილებელია განხილული იყოს ასევე მოტყუების კიდევ ერთი სახე, როგორიცაა ნდობის ბოროტულად გამოყენება (მიუხედავად იმისა, რომ ადრინდელი სისხლის სამართლის კოდექსში თაღლითობის მუხლში ნდობის ბოროტად გამოყენება, იხილებოდა, როგორც თაღლითობის ჩადენის მეორე ხერხი), რომელიც არის მატერიალური სარფის უკანონოდ მიღების მიზნით დამნაშავესა და დაზარალებულს შორის შექმნილი განსაკუთრებული მიმნდობი დამოკიდებულების გამოყენება. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი ბოროტულად იყენებს მის მიმართ ნდობას, რათა ამ გზით კანონსაწინააღმდეგოდ, უსასყიდლოდ და სამოუდამოდ იგდოს ხელთ სხვისი ქონება.

ნდობის ურთიერთობათა საფუძველი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფაქტობრივი გარემოება: დაზარალებულის დამნაშავესთან ნაცნობობა, კონკრეტული გარემო პირობები,

დაზარალებულის განსაკუთრებული მიმნდობლობა (ურთიერთობები მეზობლებს შორის, ნათესაური კავშირი, საერთო ნაცნობობა).

უნდა აღინიშნოს, რომ ნდობის ბოროტულად გამოყენების სახესხვაობაა დაზარალებულის მიმნდობლობის ბოროტად გამოყენებაც, მაგრამ ნდობის ბოროტად გამოყენება არის მინდობილობის ბოროტად გამოყენების იდენტური, რადგან ეს ცნობები სხვადასხვა შინაარს გამოხატავენ, ვინაიდან ნდობა საერთო წესით გულისხმობს ადამიანებს შორის ურთიერთობის არსებობას. ნდობა ეს ყოველთვის ნებაა ვინმესა ან რამის მიმართ, მიმნდობლობა კი ადამიანის ხასიათის თვისებათაგანია.

მიმნდობლობა, როგორც ადამიანის ხასიათის თვისება შეიძლება იყოს ნდობის ურთიერთობის საფუძველი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი უნდა გამოიხატოს, გამოვლინდეს რაიმე მოქმედების სახით, რომ ნდობის ბოროტად გამოყენება გახდეს ქონების ხელყოფის დამოუკიდებელი საშუალება.

მიმნდობლობის გამოყენება ასევე დამახასიათებელია მოტყუების გზით ჩადენილი თაღლითობისათვის. მეტიც, დაზარალებულთა მიმნდობლობით დამნაშავეები ხშირად სარგებლობენ ქურდობისა და სხვა დანაშაულების ჩადენის დროს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოტყუების ერთ-ერთ და განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს ნდობის ბოროტად გამოყენება - ნდობის მოტყუება და ამიტომ მჭიდროდ არიან ერთმანეთში გადახლართული და მათ შორის მკაფიო ზღვარის გატარება ყოველთვის არ ხერხდება.

მაშასადამე, აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ თაღლითობა, როგორც მართლსაწინააღმდეგო და კანონსაწინააღმდეგო ქმედება დღესდღეობით განეკუთვნება იმ დანაშაულთა კატეგორიას, რომელიც აქტუალურია და მრავალფეროვანია თავისი ჩადენის ხერხით და წარმოადგენს საზოგადოებისათვის (პატიოსანი, წესიერი და გულუბრყვილო ადამიანებისათვის) დიდ საფრთხეს და საშიშროებას.

გამოყენებული ლიტერატურა


1. ჯავახიშვილი, ა. - თაღლითობის ხერხები, სადისერტაციო ნაშრომი თბ. 1993 წ.
2. ჯავახიშვილი, ა. - თაღლითობის ხერხები, ჟურნალი „სამართალი“ N34 1991 წ.
3. ჯავახიშვილი, ა. - „თაღლითობა“ - სამეცნიერო ძიებანი თბ. 2006 წ.
4. ჯავახიშვილი, ა. - „თანამედროვე თაღლითობა საქართველოში“ - სამეცნიერო ძიებანი, თბ. 2014 წ.

# The main method of committing fraud

**Alexandre Javakhishvili**

Professor of Free Academy of Tbilisi, Doctor of Law, ajavakhishvili@freeacademy.edu.ge

**Abstract**

In Georgia today, it can be said that a very relevant and problematic topic is such a crime as fraud, i.e. deception, which has taken hold and penetrated into almost all areas of life - be it trade, construction, economy, industry, health care, or education, and whatever the culprit is. Elements - swindlers, those persons who earn through hypocrisy and abuse of the trust of trusting persons, will appropriate a particularly large amount of money, but will also gain the right to their property. Therefore, in order for the reader to more meaningfully understand and understand the peculiarity of the ways of committing fraud and distinguish the essential difference between them, we consider it necessary to discuss the mentioned crime in more detail in order to prevent the possible wide spread of the mentioned crime in the future.

**Key words:** fraud, deception, economy, health care, education.

# არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის გამოყენებამდე გასათვალისწინებელი საკითხები ეროვნული კანონმდებლობის თანახმად

**სალომე გულიაშვილი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, salomeguliashvili95@gmail.com

**აბსტრაქტი**

დღევანდელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვა მოწოდების სიმაღლეზეა, მით უფრო, თუ ეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ისეთ ინსტიტუტს ეხება, როგორიცაა - პატიმრობა. საკითხი მით უფრო, სენსიტიურია, როდესაც იგი ეხება არასრულწლოვნებს. ეროვნული კანონმდებლობის გაანალიზებით თვალსაჩინო გახდება, თუ რა საკანონმდებლო და პროცედურული სავალდებულო კრიტერიუმების დაკმაყოფილებაა აუცილებელი მანამდე სანამ, არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული იქნება პატიმრობა, როგორც უკიდურესი აღკვეთის ღონისძიება. სტატიის მიზანია წარმოაჩინოს შიდასაკანონმდელო დონეზე აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა, რისთვისაც გამოყენებული იქება კვლევის იმგვარი მეთოდები როგორიცა: ლოგიკური, გრამატიკული, ისტორიული, ტელეოლოგიური, სისტემური, შედარებით-სამართლებრივი და პრობლემური ანალიზის მეთოდები, რომელთა საშუალებით საკითხის დამუშავების შემდეგ მივალთ ერთგვარ შედაგამდე, თუ რა გამოწვევების წინაშეა ნორმათშემფარდებელი მანამდე სანამ არასრულწლოვნის მიმართ ყველაზე მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას - პატიმრობას გამოიყენებდეს.

**საკვანძო სიტყვები:** იუვენალური; შემზღუდავი; პრინციპი; ჰარმონიზაცია.

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ადამიანის თავისუფლება დაცულია“.[1] კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესის მიზანია არ დაუშვას პიროვნების თავისუფლების უკანონოდ, დაუსაბუთებლად და თვითნებურად შეზღუდვა. კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესის შესასრულებლად კანონმდებელი ვალდებულია შექმნას იმგვარი მყარი სამართლებრივი სისტემა, რომელიც, ერთი მხრივ, გამორიცხავს თვითნებურად პირისთვის თავისუფლების შეზღუდვას და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცესუალური უფლებების გარანტირებას.[2] აღკვეთის ღონისძიების სახედ განსაზღვრული - პატიმრობა - წარმოადგენს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებში ყველაზე მკაცრ ჩარევას. სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუცია და სხვა საკონონმდებლო აქტები მკაფიოდ განსაზღვრავენ პატიმრობის გამოყენების წინაპირობებს, რაც განუხრელად უნდა იქნეს დაცული. [3] მით უფრო, საკითხი სიღრმისეულ გაანალიზებას და პატიმრობის მაღალი ხარისხით დასაბუთებას მოითხოვს, როდესაც ბრალდებული - არასრულწლოვანია. „პეკინის

1 საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [წვდომის თარიღი 4 სექტემბერი 2022].

2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №3/2/646).

3 იქვე.

წესების“ მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „არასრულწლოვნის მოთავსება რომელიმე გამასწორებელ დაწესებულებაში ყოველთვის უნდა იყოს უკიდურესი ზომა, რომელიც გამოიყენება მინიმალურად აუცილებელი დროის განმავლობაში“.[4] პატიმრობა, როგორც უკიდურესი აღკვეთის ღონისძიება ქართულ საკანონმდებლო სივრცეშიც დომინირებულია, მას შემდგომ, რაც 2015 წლის 12 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, სადაც განსხვავებულად იქნა ჩამოყალიბებული არასრულწლოვანთა მიმართ მრავალი ფუნდამენტური საკითხი, მათ შორის, პატიმრობა. მკაფიოდ გაიწერა არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობის გამოყენების საფუძვლები, რაც სრულწლოვანთაგან განსხვავებულად ჩამოყალიბდა და ამასთან, პრინციპის დონეზე მოხდა გაწერა - პატიმრობის, როგორც უკიდურესი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ და ამასთან, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის, როგორც ნებისმიერ საკითხთან მხედველობაში მისაღები გარემოება, რითაც კანონმდებლის პოლიტიკა და ორიენტირება არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობის გამოყენებამდე თვალსაჩინოდ გამოიკვეთა.

პრინციპთა პრინციპი - არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებით რეგულირებული ნებისმიერი საკითხი მით უფრო, პატიმრობა განხილული უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის გაანალიზების კვალდაკვალ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები“.[5] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისა და ინდივიდუალური მიდგომის უპირველეს გათვალისწინებაში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით აღნიშნული პრინციპი პროცესის მწარმოებელი პირისგან მოითხოვს, რომ მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანის მიმართ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის მიმართ გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება.[6] მათ შორის, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებამდე, რა დროსაც მთლიანობაში უნდა შეფასდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და იმგვარად იქნეს მიღებული გადაწყვეტილება საჯარო ინტერესისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის მხედველობაში მიღებით.

---

4 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ („პეკინის წესები”). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://idsdge.files.wordpress.com/2017/06/e1839ee18394e18399e18398e1839ce18398e183a1-e183ace18394e183a1e18394e18391e18398.pdf> [წვდომის თარიღი 4 სექტემბერი 2022].

5 საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=21> [წვდომის თარიღი 4 სექტემბერი 2022].

6 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის
პროექტზე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/06/file0012.pdf> [წვდომის თარიღი 4 სექტემბერი 2022].

არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობა, როგორც უკიდურესი აღკვეთის ღონისძიება
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში პრინციპის დონეზეა გაწერილი პატიმრობის, როგორც უკიდურეს აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების შესახებ. კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-9 მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ: „1. დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი. 2. არასრულწლოვნის დაკავება, დაპატიმრება და მისთვის თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული.“[7] აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე აუცილებელია, რომ კანონმდებლობაში გაწერილი იყოს პატიმრობის ალტერნატიური ზომების გამოყენების საშუალებები, რომ სერიოზულად იქნეს განხილული არასაპატიმრო ალტერნატივის გამოყენება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება პატიმრობის შეფარდების ნაცვლად.[8]

არასრულწლოვნის  მიამართ პატიმრობის გამოყენებამდე გაწერილი სავალდებულო მოთხოვნები
საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლი აწესრიგებს პატიმრობის გამოყენებამდე კუმულაციურად მოთხოვნად საფუძვლებს: „არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების, გამოყენება დასაშვებია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას: ა) სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა;  ბ) პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა; გ) მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს.“[9]
შედარების თვალსაჩინოებისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული: ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.“[10]

---

7 საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=21> [წვდომის თარიღი 4 სექტემბერი 2022].

8 ჰამილტონი, ქ., 2011. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები. გაეროს ბავშვთა ფონდი, გვ. 50.

9 საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=21> [წვდომის თარიღი 4 სექტემბერი 2022].

10 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=146> [წვდომის თარიღი 4 სექტემბერი 2022].

კანონმდებლობა არ ადგენს ცალ-ცალკე მიზნებს აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახის გამოყენებისათვის, განსხვავება მდგომარეობს თუ რა ხარისხისაა ბრალდებულის მიერ საპროცესო (ფორმალური) საფუძვლების ჩადენის საფრთხე, რომლის აღსაკვეთადაც გამოიყენება აღკვეთის ესა თუ ის ღონისძიება. შესაბამისად, რაც მეტია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული ჩაიდენს იმ ქმედებებს, რომლეთა აღსაკვეთადაც ხდება მათი გამოყენება, მით უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება და პირიქით.[11]

ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძვლების აუცილებლობა;

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) და ფორმალური (საპროცესო) საფუძვლების ერთობლივად მხედველობაში მიღების შემდეგ უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ რომელი აღკვეთის ღონისძიებაა ყველაზე რელევანტური საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და ბრალდებულის პიროვნებასთან მიმართებით.[12] „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო და ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდგომ, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს. აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა - რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება, შესაძლებელია სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიებებით, რომელთაგან მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ყველაზე უფრო რელევანტური ღონისძიება."[13]

სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა

იმისათვის, რომ არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობა იქნეს გამოყენებული სავალდებულოა, რომ ბრალდება, რაც არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართაა წარდგენილი სასჯელის სახით ითვლისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რადგან კანონმდებელმა პატიმრობის გამოყენება მუხლის სანქციას დაუკავშირა, უმჯობესი იქნება, როომ არა ყველა იმ დანაშაულზე იქნეს პატიმრობა გამოყენებული, რომლებზეც თავისუფლების აღკვეთა არის გათვალისწინებული, არამედ მათზე, რომლებიც მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიაში ხვდებიან.[14]

პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა

11 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 4 დეკემბრის განჩინება (საქმე N1გ/1923-15).

12 გაბელია, ჯ., 2022. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების პრაქტიკა (თანამედროვე ტენდენციების შედარების საფუძველზე), რევაზ გოგშელიძე საიუბულეო კრებული 65. გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 254.

13 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 1 ივლისის განჩინება ( საქმე N1/გ-621).

14 შალიკაშვილი, მ. და მიქანაძე, გ., 2016. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გვ. 185.

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვის საფრთხის დასაბუთებისათვის, საქმის ყველა გარემოება უნდა იქნეს შესწავლილი, რომელიც მიმალვის საფრთხის რელევანტურობას დაასაბუთებდა. მაგალითად, არასრულწლოვნის სანაცნობო, სამეგობრო წრე, რომელიც მას მიმალვაში დაეხმარებოდა, ასევე, ფინანსური მდგომარეობა. თუმცაღა, მნიშვნელოვანია, გარკვეული ღონისძიებები ჰქონდეს ამ კუთხით გატარებული, რაც მიმალვას დაასაბუთებდა, მაგალითად, ფულის სესხება, პასპორტის აღება, თვითმფრინავის ბილეთის ყიდვა და ასე შემდეგ, რაც სათანადო მტკიცებულებებით უნდა დასტურდებოდეს.[15]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მიმალვის საფრთხის დასაბუთება მხოლოდ მკაცრ სასჯელზე აპელირებით არარელევანტურია, თუ სხვა ფაქტორებიც არ იარსებებს, რაც მიმალვის რეალურობას თვალსაჩინოს გახდის.[16] სხვა რელევანტური საფრთხეები, რომლითაც შესაძლებელია დასაბუთდეს ბრალდებულის მიერ მიმალვის საფრთხე შეიძლება იყოს დაკავების მომენტში ბრალდებულის გაქცევის მცდელობა, საზღვარგარეთ არსებული კონტაქტები, ძლიერი ფინანსური მდგომარეობა და ავტორიტეტი, რომლითაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ობიექტურ დამკვირვებელს მიმალვის საფრთხის რეალურობას აფიქრებინებს, ასევე, მისი ხშირი საზღვრის კვეთის ფაქტორიც მხედველობაში მისაღები ფაქტორია, რამაც მისი მიმალვის საფრთხე შეიძლება დაასაბუთოს.[17] ბრალდებულის მხრიდან მიმალვის საფრთხეს და მართლმსაჯულების აღსრულებისათვის ხელის შეშლის საფრთხეს მომეტებულად ასაბუთებს ის ფაქტორი, რომ ბრალდებული ფლობს სხვადასხვა გვარით და სახელით არსებულ პასპორტებს.

ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის დასაბუთებისთვის მხედველობაშია მისაღები ბრალდებულის წარსული ნასამართლოებები, როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებლობითი.[18] ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის დასაბუთებისთვის მხედველობაშია მისაღები ქმედების ხასიათი, გამოწვეული შედეგი, საზოგადოებრივი საშიშროება, ზიანის სახე, მოცემულ საქმეზე ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებები, რასაც ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში შესაძლებელია ხელი შეეშალოს. ვინაიდან, მტკიცებულებების განადგურება არ გულისხმობს მხოლოდ უკვე მოპოვებული მტკიცებულებების განადგურების საფრთხეს, არამედ მასში იგულისხმება სისხლის სამართლის საქმეზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების ხელსეშლის საფრთხეც.[19]

მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხისას უნდა დასაბუთდეს ბრალდებულის მხრიდან ისეთი ქმედებების ჩადენის მაღალი ალბათობა,

---

15 საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანალიტიკური განყოფილება, 2019. აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში. თბილისი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, გვ. 59.

16 გაბელია, ჯ., 2022. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების პრაქტიკა (თანამედროვე ტენდენციების შედარების საფუძველზე), რევაზ გოგშელიძე საიუბულეო კრებული 65. გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 260.

17 იქვე, გვ. 261.

18 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 28 აპრილის განჩინება (საქმე N1გ/788).

19 საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანალიტიკური განყოფილება, 2019. აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში. თბილისი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, გვ. 65.

როგორიცაა: მოწმეებზე ზეწოლა, რათა არ მისცეს ჩვენება მის წინააღმდეგ; გამოძიების ქვეშ მყოფი პირების გაფრთხილება ან პირის დაყოლიება იმ მიზნით, რომ მისთვის სასურველი ჩვენება მისცეს; მტკიცებულებების განადგურება ან მათი მოპოვებისათვის ხელის შეშლა.[20]

მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს

თანამედროვე მსოფლიოში აღკვეთის ღონისძიებებიდან პატიმრობის გამოყენების სულ უფრო იშვიათი გამოყენების ტენდენცია შეინიშნება, ვინაიდან პატიმრობა ვერ აღწევს თავის მიზნებს.[21]

სისხლის სამართლის საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობა აგებულია ჰუმანიზმის პრინციპზე. სწორედ ამიტომ, როდესაც ხდება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება სათანადო არგუმენტაციით უნდა მოხდეს მისი დასაბუთება, რაც ასევეა გადაწყვეტილი სასჯელის დანიშვნის წესების მიხედვითაც; კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი პირველი ნაწილის თანახმად: „ სასჯელის უფრო მკაცრი სახე ინიშნება მაშინ, როდესაც უფრო მსუბუქი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას. აღნიშნული კი იმას უნდა გულისხმობდეს, რომ ყოველგვარი ეჭვი ყოველთვის ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს“.[22] პირის პატიმრობაში ყოფნა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუ არსებობს საჯარო ინტერესის იმგვარი საჭიროება, რომელიც მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმფციისა, გადაწონის პირის თავისუფლებაში ყოფნის ინტერესს.[23]

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 თებერვლის განჩინებაში ვკითხულობთ, რომ: „სასამართლომ და სამართალდამცავმა ორგანოებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ ის, რომ არასრულწლოვანი საზოგადოების ჯგუფის წევრს წარმოადგენს, მისი განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და მათი ზეგავლენის ერთგვარი შედეგია, ხოლო თავად არასრულწლოვანი ძალიან მგრძნობიარეა მის გარშემო არსებული ემოციური კლიმატის და მიმდინარე მოვლენების მიმართ. ზოგადად, არასრულწლოვან დამნაშავეებს, გამონაკლისის გარდა, სრულწლოვან დამნაშავეთაგან განსხვავებით, არ შეუძლიათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და ხარისხის მთლიანად სრულყოფილად გაცნობიერება, რაც ზოგიერთი მოზარდის მცირე ასაკის ან არასაკმაო ინტელექტუალურ განვითარებასთან ან გამოუცდელობასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ (სასამართლომ, პროკურატურამ) პოზიტიური როლი ითამაშოს არასრულწლოვანი დამნაშავე პირების ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობასა და მათი რესოციალიზაციის მიზნით. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების

20 იქვე, გვ. 68.

21 გაბელია, ჯ., 2022. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების პრაქტიკა (თანამედროვე ტენდენციების შედარების საფუძველზე), რევაზ გოგშელიძე საიუბილეო კრებული 65. გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 251.

22 იქვე, გვ. 253.

23 ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Labita V. Italy, 06/04/2000, განაცხადი 26772/95.

გამოყენება (რომელიც მართალია არის სავსებით კანონიერი ქმედება იმ არასრულწლოვნის მიმართ, რომელმაც მიაღწია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩაიდინა დანაშაული) და აღკვეთის ღონისძიების ეტაპზე კონკრეტული ფორმის შერჩევა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით და გამოყენებული, ნებისმიერი ღონისძიება ყველა შემთხვევაში იყოს მისი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების თანაზომიერი (პროპორციული), ხოლო უპირატესობა ყოველთვის მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას, რათა უპირველესად გათვალისწინებულ იქნას არასრულწლოვნის მომავალში სათანადოდ აღზრდისა და მისი საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბების შესაძლებლობა.“ [24]
„პირის თავისუფლებაში ჩარევის ნებისმიერი ღონისძიება განხილული უნდა იქნას, ერთი მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და, მეორე მხრივ, საქმის სამართლიანი განხილვისთვის პირის თავისუფლების მნიშვნელობის ფონზე. მხოლოდ ეჭვის (ვარაუდის) არსებობა პირის მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის, პროცესის მონაწილეებზე შესაძლო ზემოქმედების ან მტკიცებულებათა განადგურების თაობაზე, ვერ გადაწონის თავისუფლების სასარგებლოდ არსებულ პრეზუმფციას, სანამ უტყუარი, რელევანტური და საკმარისი მტკიცებულებებით არ იქნება დადასტურებული თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობა და გარდაუვალობა. ამასთან, ზემოაღნიშნულზე დასაბუთებული ვარაუდის არსებობა შესაძლოა იყოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, მაგრამ პირისათვის აღკვეთის ღონისძიების ეტაპზე მხოლოდ პატიმრობაში ყოფნის საჭიროება, აუცილებლად მაღალი სტანდარტით უნდა იყოს დასაბუთებული, მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება არასრულწლოვან ბრალდებულს, რომელთა მიმართებაშიც საკითხის გადაწყვეტა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.“[25]
ამრიგად, არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის გამოყენება არა მხოლოდ თუ როდის გამოიყენება იმ საფუძვლების გაწერითაა დარეგულირებული კანონმდებლობაში, არამედ, პრინციპების დონეზეც კი განსაზღვრულია, რაშიც იგულისხმება საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობისა და პატიმრობის, როგორც უკიდურესი აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენების პრინციპი, რაც იუვენალური იუსტიციის კუთხით არსებულ პოლიტიკას თვალსაჩინოს ხდის. მნიშვნელოვანია, არასრულწლოვნისათვის პატიმრობის შეფარდებამდე ყველა საკანონმდელო მოცემულობის დაცვა და საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან იმის გაანალიზება, თუ რამდენად უზრუნველყოფს იუვენალური იუსტიციის მიზნებს პატიმრობის გამოყენება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. გაბელია, ჯ., 2022. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების პრაქტიკა (თანამედროვე ტენდენციების შედარების საფუძველზე), რევაზ გოგშელიძე საიუბულეო კრებული 65. გამომცემლობა მერიდიანი.
2. შალიკაშვილი, მ. და მიქანაძე, გ., 2016. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი,


24 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება (საქმე N1ბ/178-15).

25 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება (საქმე N1ბ/178-15).

ფრაიბურგი, სტრასბურგი
3. ჰამილტონი, ქ., 2011. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები. გაეროს ბავშვთა ფონდი
4. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანალიტიკური განყოფილება, 2019. აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში. თბილისი, ადამიანის უფლებათა ცენტრი
5. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტზე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/06/file0012.pdf [წვდომის თარიღი 4 სექტემბერი 2022]
6. საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 [წვდომის თარიღი 4 სექტემბერი 2022]
7. საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=21> [წვდომის თარიღი 4 სექტემბერი 2022]
8. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=146 [წვდომის თარიღი 4 სექტემბერი 2022].
9. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ („პეკინის წესები»). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://idsdge.files.wordpress.com/2017/06/e1839ee18394e18399e18398e1839ce18398e183a1-e183ace18394e183a1e18394e18391e18398.pdf> [წვდომის თარიღი 4 სექტემბერი 2022].
10. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Labita V. Italy, 06/04/2000, განაცხადი 26772/95.
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №3/2/646).
12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 4 დეკემბრის განჩინება (საქმე N1გ/1923-15).
13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 1 ივლისის განჩინება ( საქმე N1/გ-621).
14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 28 აპრილის განჩინება (საქმე N1გ/788).
15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება (საქმე N1გ/178-15).

# Issues to consider before applying detention to minors under national legislation

**Salome Guliashvili**

Doctoral student of law program of Caucasus International University,
salomeguliashvili95@gmail.com

**Abstract**

In today's world, the protection of human rights is at the height of the call, especially if it concerns such an institution of restriction of human rights and freedoms as detention. The issue is even more sensitive when it concerns minors. By analyzing the national legislation, it will become clear what legal and procedural mandatory criteria must be met before detention is used against a minor as an extreme deterrent measure. The purpose of the article is to present the solution of the mentioned issue at the internal legislative level, for which research methods such as logical, grammatical, historical, teleological, systematic, comparative-legal and problematic analysis methods are used, by means of which, after processing the issue, we will reach a kind of conclusion about what challenges the law-maker is facing before Before using the most severe preventive measure against the minor - imprisonment.

**Key words:** juvenile; limiting principle; harmonization;

# ენიგმა ზვიად გამსახურდიას იგავში „სასწორთვალა და უწონადი ხმის ჭაბუკი.“

**ნანა ქირია**

თბილისის თავისუფალი აკადემიის აფილირებული პროფესორი,
nkiria@freeacademy.edu.ge

**აბსტრაქტი**

იგავში „სასწორთვალა და უწონადი ხმის ჭაბუკი“ დაპირისპირებულია ერთიანობის კანონი. სიბნელის გარეშე არ არის სინათლე. ბოროტების გამოცდის გზით იხსნება და იმარჯვებს სიკეთე. თავისუფლება ქმნის შესაძლებელს სიკეთესაც დაბოროტებასაც. ბოროტება არყოფნაა, ხმის შეუსმენლობა უნდა განვასხვაოთ არაფრისგან, მზის ამოუსვლელობისაგან. იგავში აღთქმული ბოროტება ვერასდროს ვერ იქნება აღსრულებული. მას არ შეუძლია სიცოცხლის მეუფების დამკვიდრება, რამეთუ წყვეტს ურთიერთობას სიცოცხლის წყაროსთან.
ავტორის აზრით, ბოროტებასთან ბრძოლას ადვილად შეუძლია იქცეს ბოროტებად და ბოროტებასთან ბრძოლა უნდა თავისთავიდან უნდა იწყებოდეს და არა - სხვებისგან. როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, ზვიად გამსახურდიამ კარგად უწყოდა, რომ ქრისტიანობა გამოსყიდვის რელიგიაა და ამდენად ბოროტების არსებობას გულისხმობს, ყოფიერების უბედურებასა და სიმწარეს. ამიტომ დუალისტურია მისი ხედვა ჭაბუკის საცხოვრისზეც, რომელიც მიუთითებს ქრისტიანობის ორბუნებოვნებაზე. ავტორის წარმოდგენით გამოსყიდვის საიდუმლოს რაციონალურად გაგება შეუძლებელია, ისევე როგორც არ შეიძლება საღვთო ცხოვრების საიდუმლოებების გაგება. მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება გამოსყიდვის საიდუმლოს რაციონალიზაციაა, გაიგივება მისი იმ ურთიერთობებთან, რომლებიც არსებობენ ბუნებაში.

ზვიად გამსახურდია ენიგმატურად გვიჩვენებს, რომ ქრისტეს მოვლინება და გამოსყიდვა სულიერ პლანში შეიძლება გავიგოთ როგორც მხოლოდ სამყაროს შემოქმედება, როგორც შესაქმის მერვე დღე. ახალი სულიერი ადამიანის მოვლენა არ შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანური ბუნების ნატურალური ევოლუციის შედეგი.

ტექსტში ბევრი სიმბოლოა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ წინასწარმეტყველურ იგავში ენიგმატური გაცილებიტ მეტია, ვიდრე - წინასწამეტყველური. ადამიანური ბუნების გარეშე, ადამიანის თავისუფლების გამოსყიდვის საიდუმლოს გარეშე არაფერი განხორციელდება.

**საკვანძო სიტყვები**: იგავ-არაკი, ლიტერატურა, სიყვარული.

იგავ-არაკი ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურული ჟანრია და მითივით ძველია. ამ ჟანრის ნაწარმოებები უძველესი ხალხის ლიტერატურულ ძეგლებში გვხვდება, რომლებიც მოიცავენ არა მხოლოდ იმ ჟანრებს, რომლებიც დამწერლობასთან ერთად პარალელურად გაჩნდა, არამედ, პირველ რიგში, იმათ, რომლებიც ხალხურ შემოქმედებაში გამოჩნდა და დიდი ხნით გრძელდებოდა ზეპირსიტყვიერებად.

ზვიადგამსახურდიასიგავებილექსიკურადდათემატურადგათანამედროვებულია

და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის ზედმიწევნით იცავს იგავ-არაკულ ზომიერებასა და იდეებს. მისი შემოქმედების მართებული გაგება მოითხოვს სიღრმისეული სემანტიკისა და სტილისტიკური მახასიათებლების ზუსტ გააზრებას. მის პერსონაჟებს ახასიათებს სხვადასხვა თვისების წარმოჩენის უნარი სხვადასხვა სიუჟეტში.

ზვიად გამსახურდიას იგავებს თავისი განსაკუთრებული ადგილი აქვს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. ისინი არ გამოირჩევიან ეპიკურობითა და სიდიდით, მაგრამ თავად მწერლის ცხოვრების არსობრივი იდეებისა და პრინციპების გასაღებს შეიცავენ. მისი პრინციპები და იდეები ყოველთვის შეესაბამებოდა ცხოვრებაში გადადგმულ ნაბიჯებს, რაც ნათელს ჰფენს არა მხოლოდ მის სალიტერატურო მემკვიდრეობას, არამედ მთლიანად მის არსებობას დედამიწაზე.

წინასწამეტყველურ იგავში „სასწორთვალა და უწონადი ხმის ჭაბუკი" დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი უზადოდ მუშაობს. სიბნელის გარეშე არ არის სინათლე. ბოროტების გამოცდის გზით იხსნება და იმარჯვებს სიკეთე. თავისუფლება ქმნის შესაძლებელს სიკეთესაც და ბოროტებასაც. ბოროტება არყოფნაა, ხმის შეუსმენლობა, რომელიც უნდა განვასხვავოთ პირველსაწყისი არაფრისაგან, მზის ამოუსვლელობისაგან. მაგრამ არყოფნა არსებობს, და მას შეუძლია ჰქონდეს უზარმაზარი ძალა, სიყალბის ძალა. ბოროტება ყოფიერების გამრუდებაა, ყოფიერების კარიკატურა, გარყვნა და ავადმყოფობა - წუმპე ბაყაყებისა, ცირკის ლომის კომფორტი, უმზეო ქვეყანა, ყინულეთი.

მწერლის აზრით, რასაც ჩვენ უეჭველად მივიჩნევთ ბოროტებად, ატარებს უარყოფით ხასიათს, და არ შეიცავს თავისთავში არავითარ დადებითი ყოფიერების ელემენტს. ბოროტება, შური, შურისძიება, გარყვნილება, ეგოიზმი, ანგარების სიყვარული, ეჭვიანობა, სიძუნწე, ამპარტავნება, სიხარბე კლავენ ცხვრებს, ადამიანის ძალებს სპობენ.

სიყვარული კი ამკვიდრებს სიცოცხლეს, არსებობას ყველასა და ყველაფერში. დადებითი არსებობა შეიძლება იყოს მხოლოდ სიყვარულის მეუფეობაში. სიყვარულში მტკიცდება სახე ყოველგვარი ადამიანად ყოფნისა, ყოველგვარი საღვთო შემოქმედებისა. მოყვარულს შეყვარებულისათვის ეთმობა სამუდამო ცხოვრება. როგორც ზვიად გამსახურდია დასძენს, „გამოაცხობენ თონეში უკვდავების პურს". საზიზღარს კი სიცოცხლის შეწყვეტა სურს, სიკვდილი. სიყვარულისა და სიძულვილის მოცულობით განისაზღრება მტკიცებულების ან უარყოფის დონე. ამიტომაც ბოროტებისა და სიკვდილისაგან ხსნა შეიძლება იყოს დაუსრულებელი სიყვარული.

მისტიკურ-წინასწარმეტყველურ იგავში ვკითხულობთ: „წამოვიდნენ ფრთოსნები და დაასხდნენ ანთებულ კელაპტრებს, მაგრამ ფრთოსნები არ დასწვა ცეცხლმა, არამედ უფრო ააელვარა, ისე გაბრწყინდა იქაურობა, ხალხი ვერ სცნობდა ურთიერთს, იმდენად გამშვენიერდა ყველა, მხოლოდ ხელმწიფის კარისკაცები გაშავდნენ და მაჯლაჯუნებს დაემსგავსნენ." - აღთქმული ბოროტება ვერასდროს ვერ იქნება აღსრულებული. მას არ შეუძლია სიცოცხლის მეუფების დამკვიდრება, რამეთუ წყვეტს ურთიერთობას სიცოცხლის წყაროსთან. ბოროტი საშუალებები საბოლოოდ იმარჯვებენ და ცხოვრების ერთადერთ შინაარსად იქცევიან. სიძულვილს არასდროს შეუძლია სიყვარულამდე

მისვლა, განხეთქილებას - გაერთიანება, მკვლელობას სიცოცხლემდე არასდროს მივყავართ, ძალადატანებას არასდროს შეუძლია მშვიდობამდე მიყვანა. ავტორი გვეუბნება, რომ არ არსებობს ბოროტი გზები სიკეთისკენ. ბოროტ გზებზე ზეიმობს ბოროტება, როდესაც ბოროტება ადამიანთა გულებში შევიდა და მოწამლა ისინი, ამის მერე იწყებენ ისინი სიცოცხლის მოსპობის საქმეს. თუკი თქვენს გულში შევა ბოროტება იმის მიმართ, ვისაც თვლით ბოროტების მატარებლად, ვერ გაიმარჯვებთ ბოროტებაზე, თქვენ მის მეუფებაში დარჩებით: „ხელმწიფე შეშფოთდა, რადგან იცოდა, რომ ყინულის დადნობა მისი მეფობის დასასრულს მოასწავებდა. შეჰყარა კარისკაცები და უთხრა: „ჩქარა ავლაგმოთ ეს თავხედი, თორემ ხალხს თავგზას აუბნევს, ამასობაში უწონადი ხმის ჭაბუკიც მოვა და შავი დღე დაგვადგება.“

მეფისა და მწყემსის, იგივე „უწონადი ხმის ჭაბუკის“ დიალოგში ვკითხულობთ:

„ვისაც კომბალს შევახებ, ყველა ჩემი ცხვარი გახდება,“ - უთხრა მწყემსმა.

„ყველა?“- ჰკითხა ხელმწიფემ.

„ყველა, ოთხი კაცის გარდა ამ ქალაქში,“ - მიუგო მწყემსმა.

„ვინ არიან ეგენი?“

„ვისაც შენ უსმენ, ხელმწიფეო!“

„მაშ, მეც მაგათში ვარ?“

„არა, შენ არ უსმენ შენს თავს, ხელმწიფეო!“

„შენ ვინ გამოგგზავნა?“

„შენ თვითონ მეფეო!“

„რისთვის?“

„შესარიგებლად.“

„ვინ უნდა შეარიგო?“

„შენ უნდა შეგარიგო შენსავ თავთან.“

ავტორის აზრით, ბოროტებასთან ბრძოლას ადვილად შეუძლია იქცეს ბოროტებად და ბოროტებასთან ბრძოლა უნდა თავისთავიდან დავიწყოთ და არა - სხვებისგან. სხვათა შორის, ჩვენი ბოროტი გრძნობები ბოროტების მიმართ ხშირად ჩვენივე თვითდამკვიდრების გამოვლინებაც არის ხოლმე.

როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, ზვიად გამსახურდიამ კარგად უწყოდა, რომ ქრისტიანობა გამოსყიდვის რელიგიაა და ამდენად ბოროტების არსებობას გულისხმობს, ყოფიერების უბედურებასა და სიმწარეს. ამიტომ დუალისტურია მისი ხედვა ჭაბუკის საცხოვრისზეც, რომელიც მიუთითებს ქრისტიანობის ორბუნებოვნებაზე: „ეს ლითონები ფრთოსნებად იქცევიან ჭაბუკის სიმღერაზე, ხოლო ფრთოსნები გარს უვლიან კოშკს შვიდფერი ნათებით. კოშკის საძირკველი ვარსკვლავეთშია, ხოლო სახურავი-სულეთში.“ ბოროტებისა და ტანჯვის ამქვეყნად არსებობით ქრისტიანობას ვერ უარვყოფთ. ქრისტეც იმიტომ მოევლინა სამყაროს, რომ სამყარო ბოროტებაშია ჩაფლული. ქრისტიანობა გვასწავლის, რომ სამყარო და ადამიანი უნდა ატარებდეს თავის ჯვარს: „როდესაც ვინმე მოათავებდა ხელმწიფის სამსახურს და მოისურვებდა მის დიდებულად გახდომას, უნდა გასულიყო ქალაქიდან, გაევლო სიცილის ბეწვის ხიდი, გადაეარა ცოფიანი კატების მინდორი,

რომელიც მის მიღმა მდებარეობდა, აქ თუ ფრთები გამოებმებოდა, გადაეფრინა ცივი თუთიყუშის კლდეზე, თავს მოევლებოდა ათასწლოვან კიპარისს და, თუ არ გადაიქცეოდა კიპარისის გირჩად, კვლავ მობრუნებულიყო ქალაქში.“ ტანჯვა არის შედეგი ბოროტებისა, ცოდვისა, მაგრამ ამავდროულად ტანჯვა არის ბოროტებისაგან თავდახსნის გზაც.

ზვიად გამსახურდიამ შესანიშნავად უწყის, რომ ქრისტიანობა უმაღლეს შეფასებას აძლევს ადამიანის სულის თავისუფლებას და მის გარეშე საღვთო მეუფების განხორციელებას არ თვლის შესაძლებლად. თუკი ქრისტეს ჭეშმარიტება სამყაროში არ აღსრულდება, ამით ქრისტეს ჭეშმარიტება კი არ არის დამნაშვე, არამედ ადამიანის სიყალბე. სიყვარულის რელიგია დამნაშავე იმაში როდია, რომ ადამიანებში გამეფებულია ზიზღი. ქრისტიანობა დამნაშავე იმაში არაა, რომ მას ამრუდებენ. ქრისტიანობა თავისუფლების რელიგიაა და არ უშვებს ამიტომაც ბოროტებისა და ტანჯვის ძალდატანებით აღოფხვრას. აი, რას ეუბნება მისანი ქვეყნის მეფეს: „ერთ დღეს ამ ქვეყნის მეფესთან მივიდა მისანი და უთხრა: „დრო მოდის, როდესაც მოვაჭრეებმა ადგილი უნდა დაუთმონ ცეცხლის ხაბაზებს. ამ ხაბაზებს თავის ქალებში ექნებათ თორნე, გულის კვესით შეძლებენ ენაზე ცეცხლის წაკიდებას და ამგვარად გამოაცხობენ თორნეში უკვდავების პურს. ხმა საერთოდ აღარ ექნებათ მათ. მართალია, მათი ცეცხლი უხმოდ იმღერებს, მაგრამ იგი გააუფასურებს შენი კარისკაცების მჭექარე ხმებს. ხმის სახელმწიფოს ცეცხლის სახელმწიფო შეცვლის, ხოლო თავად შენ სიცილის ხიდზე მოგიწევს გასვლა.“ ქრისტიანობა გაიაზრებს ტანჯვას და ბოროტებისაგან გვათავისფულებს. მაგრამ ამისგან გათავისუფლება გულისხმობს მასში ადამიანური თავისუფლების მონაწილეობას.

ზვიად გამსახურდიას წარმოდგენით გამოსყიდვის საიდუმლოს რაციონალურად გაგება შეუძლებელია, ისევე როგორც არ შეიძლება საღვთო ცხოვრების საიდუმლოებების გაგება. მართლმადიდებელი ღვთისმეტყველება გამოსყიდვის საიდუმლოს რაციონალიზაციაა, გაიგივება მისი იმ ურთიერთობებთან, რომლებიც არსებობენ ბუნებაში. აი, როგორი ძალმოსილებით მოდის გარდაქმნილი სასწორთვალა, იმედისმომცემი ცეცხლით: „მეფე სიცილის ხიდისაკენ გაემართა. ხიდის თავთან მისანი დაუხვდა, რომელმაც უწინასწარმეტყველა ჭაბუკის გამოჩენა. მეფე დააკვირდა მისანს და სასწორთვალა შეიცნო. მას აღარ ჰქონდა თვალებში სასწორი, სასწორი ახლა ხელთ ეპყრა მას, ხოლო მეორე ხელში ახალი, ჯერაც აუნთებელი ჩირაღდანი ეკავა: „ვერავინ ასწონის მის ხმას, - უთხრა მან მეფეს, - არც ამათი გამომცხვარი პური აიწონება, ხოლო მათი ცხოველმყოფელი ცეცხლი იმედის მომცემია.“ ეს სამართლებრივი გაგება ზეციური ცხოვრების მორგება იყო ადამიანის ბუნების დონესთან. ეს არაა სულიერი გაგება. მსოფლიო ტრაგედიის გაგება როგორც ღმრთისა და ადამიანის სასამართლო პროცესისა, რომელიც ღმერთის მიერ არის აღძრული მისი ნების ადამიანის მიერ ფორმალური დარღვევისა, ნიშნავს გადაიტანო საღვთო ცხოვრებაზე, ყოველთვის შეუცნობელი საიდუმლო, წარმართული წარმოდგენები ნათესაურ ცხოვრებასა და საგვარეულო შურისძიებაზე._

ცვლილებათა გზაგასაყარზე ავტორი მიმართულების ვექტორს აცვლევინებს

სასწორთვალას: „მეფემ ხიდზე შედგა ფეხი. დიდებულებსაც სურდათ მიჰყოლოდნენ, მაგრამ სასწორთვალამ შეაჩერა ისინი. თქვენთვის ეს ხიდიც დაკეტილია. თქვენი გზა სხვა მიმართულებით მიდის. და უჩვენა მათ დავიწყების მდინარე.“ ძველი ღმერთი წარმართულ-ძველაღთქმისა წარმოგვიდგება საშინელ მეუფედ, რომელიც სჯის და აზღვევინებს შეუსმენლობისათვის, მოითხოვს გამოსასყიდს, მსხვერპლის ჩანაცვლებითა და სისხლის დათხევით. აქ ღმერთი წარმოდგენილია ძველი აღთქმის, წარმართული ადამიანის ბუნებით. იურიდიულ თეორიას გამოსყიდვისას წარუხოცელი კვალი დაამჩნია ღირსების აღდგენის გაგებამ. საღვთო ნების ფორმალური დარღვევისთვის იწყება სასამართლო პროცესი და ღმერთს უნდა გადაუხადო. არავითარი ადამიანური მსხვერპლი არაა საკმარისი მის დასაკმაყოფილებლად. მხოლოდ ძე ღვთისას მსხვერპლი ეთანადება ჩადენილი დანაშაულის ზომას და მის მიერ გამოწვეული ღმერთის შეურაცხყოფა. გამოსყიდვის ასეთ გაგებას გარეგნული, ეგზოთერული ხასიათი აქვს. წარმართული სამყარო მიდიოდა გამოსყიდვისკენ, რომელიც ქრისტიანობაში გამომჟღავნდა, მასში დიადი მოლოდინი იყო. მაგრამ წარმართულ რელიგიებში იყო არა სულიერი, არამედ ბუნებრივი, გამოსყიდვის ნატურალური გაგება.

ქრისტიანობაში გამოსყიდვა სიყვარულის საქმეა და არა სასამართლოს სამართლიანობა, საღვთო უსასრულო სიყვარულის მსხვერპლი და არა შენდობა და გადახდა: „დრო მოდის, როდესაც მოვაჭრეებმა ადგილი უნდა დაუთმონ ცეცხლის ხაბაზებს. ამ ხაბაზებს თავის ქალებში ექნებათ თორნე, გულის კვესით შეძლებენ ენაზე ცეცხლის წაკიდებას და ამგვარად გამოაცხობენ თორნეში უკვდავების პურს. ხმა საერთოდ აღარ ექნებათ მათ. მართალია, მათი ცეცხლი უხმოდ იმღერებს, მაგრამ იგი გააუფასურებს შენი კარისკაცების მჭექარე ხმებს. ხმის სახელმწიფოს ცეცხლის სახელმწიფო შესცვლის, ხოლო თავად შენ სიცილის ხიდზე მოგიწევს გასვლა.“

„ჰო, მაგრამ ვინ განახორციელებს შეუძლებელს?“ - ჰკითხა შეშფოთებულმა ხელმწიფემ მისანს.

„უწონადი ხმის ჭაბუკი,“ - მიუგო მისანმა.

„ჰო, მაგრამ ვინ დასძლევს მაგ ჭაბუკს?“ - ჰკითხა ხელმწიფემ.

„ვინც ასწონის მის ხმას“ - უპასუხა მისანმა და გაქრა.

ძე ღვთისას თვითნებური მსხვერპლი იმთავითვე შედიოდა ქვეყნიერების შესაქმეში. თავად ღმერთის სურვილია, რათა სამყაროსთან ერთად იტანჯოს, შეუძლებელი შეძლოს. სამართლებრივი გაგება მსოფლიო პროცესისა გამოსყიდვას აქცევს სასამართლოს სამართლიანობის საქმედ. ღმერთი ითხოვს, რათა მას სამართლიანობა მიეგოს, გადახდას ითხოვს ზარალისთვის, რაც მას მიადგა, ითხოვს მსხვერპლს, რომელიც შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის ზომას. ქრისტეს მსხვერპლი, გამოსყიდვის საიდუმლო ადამიანის ცნობიერებაში რის ვაივაგლახით ეტევა. ჯვარი - იუდეველებისთვის მაცდურია და ელინებისთვის უაზრობა. თავად ქრისტიანულ სამყაროშიც თრგუნავთ ის და მისი გაგება გარდატეხილია ძველი აღთქმისა და წარმართობის ცნობიერებაში. კანონიკური შემეცნება სიძნელით დაიძლევა ქრისტიანობის შიგნით.

ადამიანს ესაჭიროება კანონი და ბუნებრივად არის მიდრეკილი ყველაფრის კანონის ენით გაგებისთვის. ქრისტე სრულადაც არ უგულებელყოფს კანონს, მაგრამ ის ხსნის სულიერ სამყაროს, რომელშიც, მართლაც რეალურად იძლევა კანონი, დაიძლევა მადლიანი სიყვარულით და მადლიანი თავისუფლებით: „მეორე დილით ქალაქს მოადგა ერთი უბრალო მწყემსი ბიჭი, ცალ ხელში კომბალი ეჭირა, მეორეში კი - აბგა. ქალაქში შიშიანობა იყო, ამიტომ მეფეს მოჰგვარეს ყმაწვილი:

„ვინ ხარ?“ - ჰკითხა ხელმწიფემ.

„ერთი უბრალო მწყემსი ვარ.“ - იყო პასუხი.

„კი მაგრამ, ცხვარი სადა გყავს?“

„ვისაც კომბალს შევახებ, ყველა ჩემი ცხვარი გახდება,“ - უთხრა მწყემსმა.

„ყველა?“ - ჰკითხა ხელმწიფემ.“

უმადლო თავისუფლება, დაბალი თავისუფლება, არ შეიძლება კანონს უარყოფდეს, ის ემორჩილება მის მოქმედებას. ქრისტიანობა არ არის კანონის რელიგია, მაგრამ ეს ჭეშმარიტება არ ნიშნავს, რომ ჩვენ წესიდან გადახრად უნდა ვაღიაროთ. კანონის მოქმედების სფერო და ახალი აღთქმის მოქმედების მადლი - სხვადასხვა სფეროებია. ამიტომაა შეუძლებელი, რომ ძველი აღქმის კანონებით გავიგოთთ ახალი აღთქმის მადლი. კანონსა და სასამართლოს, სიმართლეს არ ესმით შინაგანი საიდუმლო დამოკიდებულება ღმერთისა და ადამიანისა. ახალ აღთქმაში იხსნება, რომ ღმერთი არა ფორმალური კანონის აღსრულებას ითხოვს, არამედ ადამიანისაგან საპასუხო თავისუფალ სიყვარულს. კანონი ცოდვის გამოვლენაა, ისაა ღვთის ნებელობის გარდატეხა ცოდვიან ბუნებაში და არა ღმრთისა და ადამიანის თავდაპირველი საიდუმლოს გამოხატულება. გამოსყიდვაში იხსნება ეს საიდუმლო. სასამართლოს გაგებით გამოსყიდვა გულისხმობს იმას, რომ ცოდვა შეიძლება მიეტევოს ადამიანს, ღვთის რისხვა მსხვერპლისაგან შეიძლება შენელდეს, რომელიც ძე ღვთისამ მოიტანა. ამგვარი გამოსყიდვის გაგებით ადამიანის ბუნებასა და ღმერთს შორის დამოკიდებულება გარეგნულია, ადამიანურ ბუნებაში არაფერი არსებითად არ იცვლება, მაგრამ ცოდვა არ შეიძლება და არც უნდა იქნეს პატიებული. ღმერთს შეუძლია ადამიანური ცოდვის პატიება, ხოლო ადამიანს თავისთავად არ ძალუძს ცოდვის მიტევება და ღვთისაგან, მისი დიადი ჩანაფიქრისგან განდგომა. ღმერთმა რისხვა არ იცის და მის ყოვლისმიმტევებლობასაც არა აქვს საზღვარი.

მაგრამ ადამიანს რჩება მისი უმაღლესი სულიერი ბუნება, ღმრთისდარი ბუნება და ის ვერ ეგუება დამდაბლებასა და დაცემას, ის შეურაცხყოფილია ღმრთის ღალატით, ძველი ადამიანის გამყიდველობით, ბნელი არარაობის მჯობინებით საღვთო ნათელზე. ადამიანი მიისწრაფვის გამოისყიდოს ცოდვები, გრძნობს თავის უძლურებას, ელოდება გამოსყიდვას და მაცხოვარს, რომელიც დააბრუნებს მას ღმერთთან:

„შენ ვინ გამოგგზავნა?“

„შენ თვითონ მეფეო!“

„რისთვის?“

„შესარიგებლად“

„ვინ უნდა შეარიგო?“
„შენ უნდა შეგარიგო შენსავ თავთან.“
ქრისტიანობაში ცენტრალური საკითხია არა გამართლების იდეა, არამედ გარდაქმნისა. გაამრთლების იდეას ძალზე დიდი ადგილი უჭირავს დასავლეთის ქრისტიანობაში, კათოლიციზმსა და პროტესტანიზმში. აღმოსავლურ ქრისტიანობაში, ბერძნულ პატრისტიკაში ცენტრში იდგა ღვთაებრივი გარდაქმნა:
„კარისკაცები შეცვივდნენ სასახლეში, გამოიტანეს ლითონის საყვირები, მოიშველიეს ჯარი და დასცეს ნაღარა, მაგრამ მწყემსის ხმა უფრო გაძლიერდა და კიდევ უფრო მეტი ხალხი შეგროვდა მის გარშემო. რაღაც კარისკაცებისთვის გაუგებარი სიტყვებით მიმართავდა ხალხს, რაც კარისკაცებს კიდევ უფრო მეტად ახელებდა. რა დაინახეს, არაფერი გამოდისო, მოინდომეს ქვით ჩაქოლვა მწყემსისა, მაგრამ დასწვდნენ თუ არა ქვებს, ქვები ვარდებად გადაექცათ ხელში. ამასობაში მწყემსის ხელში აყვავდა კომბალი, მან დაუარა თავის გარშემო შეყრილ ხალხს და, ვისაც კი მიაკარა კომბალი, ყველა ოქროსმატყლიან ვერძად აქცია.“
აქ ზვიად გამსახურდია ენიგმატურად გვიჩვენებს, რომ ქრისტეს მოვლინება და გამოსყიდვა სულიერ პლანში შეიძლება გავიგოთ როგორც მხოლოდ სამყაროს შემოქმედება, როგორც შესაქმის მერვე დღე, როგორც ახალი ადამის მოვლენა, ანუ, როგორ პროცესი კოსმოლოგიური და ანთროპოლოგიური, როგორც საღვთო სიყვარულის აღმოჩენა შესაქმეში, როგორც ახალი სტადია ადამიანის თავისუფლებაში:
„ამასობაში ვერძებს რქებს შორის ანთებული კელაპტრები ამოუვიდათ, ციდან შვიდფრად აელვარებულ კამარად წამოვიდნენ ფრთოსნები და დაასხდნენ ანთებულ კელაპტრებს, მაგრამ ფრთოსნები არ დასწვა ცეცხლმა, არამედ უფრო ააელვარა, ისე გაბრწყინდა იქაურობა. ხალხი ვერ სცნობდა ურთიერთს, იმდენად გამშვენიერდა ყველა.“ ახალი სულიერი ადამიანის მოვლენა არ შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანური ბუნების ნატურალური ევოლუციის შედეგი, თუმცა ეს მის მიერ მომზადებულია. ეს მოვლენა გულისხმობს სულიერი სამყაროდან, მუდმივიდან გარღვევას ჩვენს ბუნებრივ სამყაროში, დროულ სამყაროში. ბუნებრივი რევოლუცია ბუნებითი სამყაროსი და ბუნებით ადამიანისა ბუნების სინამდვილეს ტოვებს ჩაკეტილ სივრცეში. თავდაპირველი ცოდვა, ბოროტება, რომელიც ამ სამყაროს საფუძველშივე დევს, რჩება ამ ჩაკეტილობაში, მიგაჯაჭვებთ საქმიან სამყაროს. გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაღლიდან მოვიდეს, სხვა სამყაროდან. სულიერი სამყაროს ენერგია, საღვთო მეუფება უნდა შემოვიდეს ჩვენს ბუნებაში, ცოდვილ სინამდვილეში და გარდაქმნას ჩვენი ბუნება, გაარღვიოს საზღვრები, რომელიც ორ სამყაროს ყოფს.
თუ ქრისტე მხოლოდ ღმერთი არ არის, რასაც დოგმატი გვასწავლის, მაშინ გამოდის, რომ გამოსყიდვაში მოქმედებს არა მხოლოდ საღვთო ბუნება, არამედ ადამიანურიც, ზეციური, სულიერი ადამიანური ბუნება. სწორედ ქრისტე-ღმერთკაცით გვეხსნება, რომ ადამიანი ეკუთვნის არა მხოლოდ მიწიერს, არამედ ზეციურ მოდგმას, რომ სულიერი ადამიანი ძის მეშვეობით საღვთო სინამდვილის სიღრმეში ჰგიებს. ქრისტეში, როგორც აბსოლუტურ ადამიანში, თავისთავში მოიცავს ადამიანური

მოდგმის მთელ სულიერებას; ადამიანთა მთელი სიმრავლე, სულიერი ადამიანი გმირულ ძალისხმევას არ იშურებს, რათა სძლიოს ცოდვასა და მის შედეგებს, სიკვდილს მსხვერპლისა და ტანჯვის გზით და უპასუხოს საღვთო სიყვარულს. ადამიანური ბუნება ქრისტეში მონაწილეობს გამსყიდვის საქმეში. მსხვერპლშეწირვა სულიერი აღმართის კანონია და ქრისტეს მოდგმაში, ახალ სულიერ მოდგმაში, იხსნება პერიოდი შემოქმედებითი ცხოვრებისა. გარდაქმნის საოცარი მაგალითია ენიგმად გამოცხადებული: „ამასობაში, მწყემსის უბრალო ტანისამოსი ელვისაგან დაწნულს დაემსგავსა, სახე მზესავით გაუბრწყინდა, თვალები ვარსკვლავთა უელვარესი გაუხდა, შემდეგ მოიმარჯვა შვიდფერი მშვილდი და დაუშინა ცეცხლის ისრები ირგვლივ შემოჯარულ გათოშილ კიბოებს, რომელთაგან გაეგოთ მისი მოსვლა და ჯგუფ-ჯგუფად მოიწევდნენ მოედნისაკენ. ქვით მოპირკეთებული მოედანი ხასხასა, მწვანე ბალახმა დაფჰარა, ლივლივა თეთრი ლოტოსებით დამშვენდა მინდორი; ბალახს ალი ედებოდა აქა-იქ, დაწვით კი არავის წვავდა.“

ადამი წავიდა თავისუფლების გამოცდის გზით და არ უპასუხა თავისუფლებისა და შემოქმედებითი სიყვარულის საღვთო მოწოდებას. ადამში ჯერ კიდევ არ გახსნილა სულიერი ადამიანი. ქრისტე, ახალი ადამი, პასუხობს ღმერთს მისი სიყვარულით და ამ პასუხის გზას უხსნის მთელ თავის სულიერ მოდგმას. გამოსყიდვა საღვთო და კაცობრივი, ორმაგი პროცესია. ზვიად გამსახურდია დრამატულ ფერებში გადმოსცემს ძველ ადამისეულ მისტერიას: „ახლა სამი დიდებული მოიხმო ხელმწიფემ. მათ დანახვაზე უწონადი ხმის ჭაბუკი შეიცვალა. იგი ისეთივე უბრალო მწყემსად გადაიქცა, როგორიც იყო მოსვლის ჟამს. დიდებულების დანახვაზე გველმაც გახსნა წრე და მიუშვა ისინი მწყემსთან. ფრთოსნებმაც დასტოვეს ოქროსმატლიანი ვერძები, კელაპტრებიც ჩაქრნენ. დიდებულებმა გამოსტაცეს ჭაბუკს აყვავებული კომბალი, რომელიც მაშინვე გახმა, ბორკილი დაადეს ქედზე, წაიყვანეს და უზარმაზარ ხაროში ჩააგდეს, შემდეგ მიწით ამოავსეს ხარო. მერმე წავიდნენ, მორეკეს ხიდის გამოღმიდან ცოფიანი კატები, შეუსიეს ცხვრებს და მუსრი გაავლეს. სისხლის ტბა დადგა მოედანზე. გველიც ნაკუწ-ნაკუწად აქციეს კატებმა.“ შეგვეძლო გვესაუბრა ტექსტში მოცემულ ცალკეულ სიმბოლოებზე, მაგრამ მათზე მსჯელობა ძალზე შორს გადახვევინებდა თემიდან, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ წინასწარმეტყველურ იგავში ენიგმატური გაცილებით მეტია, ვიდრე - წინასწარმეტყველური. ადამიანური ბუნების გარეშე, ადამიანის თავისუფლების გამოსყიდვის საიდუმლოს გარეშე არაფერი განხორციელდება. და აქ, როგორც ყველგან ქრისტიანობაში, კაცღმერთ ქრისტეს საიდუმლო არის ჭეშმარიტი გაგების გასაღები. საბოლოოდ ეს საიდუმლო იხსნება საღვთო სამებაში, სულში წყდება მამასა და შვილს შორის დამოკიდებულება. ბოროტება ვერ დაიძლევა ადამიანის თავისუფლების მონაწილეობის გარეშე, ბოროტება თავისუფლებას ანგრევს და ამახინჯებს, რომლის საშუალებითაც ბოროტება უნდა დაიძლიოს.

ჭეშმარიტება, როგორც მსხვერპლისა და სიყვარულის მოვლენა, ძალდატანების გარეშე გვათავისუფლებს, ის ქმნის ახალ, უმაღლეს თავისუფლებას. თავისუფლებას, რომელსაც გვაძლევს ქრისტეს ჭეშმარიტება, არ არის აუცილებლობის პირმშო. იგავში

უწონადი ხმის ჭაბუკი მსხვერპლისა და სიყვარულის გამოხატვით იდილიური ქალაქის გარდაქმნის ფონზე გვევლინება. იმდენად ღრმა ენიგმაა აქ მოცემული, რომ სპეციალური დაკვირვების გარეშე მისი ამოცნობა შეუძლებელია: „მეორე დილით არნახული მუსიკის ჰანგებმა გამოაღვიძეს ხელმწიფე და დიდებულები. როცა გამოვიდნენ, საოცრად შეცვლილი დახვდათ ქალაქი. სად იყო ყინული და პირქუში ამინდი! სივრცე შვიდფერად გალობდა. თორმეტხმად ასხივებდნენ მიწაზე ჩამოსული გაცოცხლებულ მნათობთა დასები. ვერძების ნასისხლარზე უცნაური გარეგნობის ხალხი ამოსულიყო. თავის ქალები თორნეებად ქცეოდათ, აღარც აბედი სჭირდებოდათ, აღარც კვესი, გულით ინთებდნენ ენებს, ხოლო ენით თავის ქალის თორნეებს, საიდანაც ნელსურნელება იფრქვეოდა ენით უთქმელი.“ გამოსყიდვას არ შეუძლია იყოს გაგებული როგორც ადამიანური ბუნების დაბრუნება პირველსაწყის მდგომარეობაში, რომელიც ახასიათებდა ადამს ცოდვით დაცემამდე. ასეთი გაგება მსოფლიო პროცესს გაუგებარს ხდის. ის პირწმინდა დაკარგვას ჰგავს. მაგრამ ახალი ადამი, ახალი სულიერი ადამიანი, ძველ ადამზე მაღლა დგას, არა მხოლოდ დაცემული, არამედ ცოდვითდაცემამდელ ადამისა, ის აღნიშნავს შესაქმის უმაღლეს სტადიას. საიდუმლო დაუსრულებელი სიყვარულია და ახალი თავისუფლებისა არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ძველ, პირველ ადამს. ავტორი ამ საიდუმლოს გახსნას მხოლოდ ქრისტეში ხედავს. ქრისტეს მოვლენა ოდენ უარყოფითი მიზეზებით ვერ აიხსნება - ბოროტებისა და ცოდვის არსებობით, ის არის შესაქმის უმაღლისი სტადიის დადებითი გამოცხადება. გამოსყიდვა არ არის მიბრუნება სამოთხისეულ მდგომარეობაში ცოდვათდაცემამდე. გამოსყიდვა არის გადასვლა უმაღლეს მდგომარეობაში, ადამიანის სულიერი ცხოვრების უმაღლესი ბუნების აღმოჩენამდე, ჯერ კიდევ არარსებულ სამყაროში შემოქმედებისა და სიყვარულის თავისუფლებისა, ანუ ახალი სამყაროს შესაქმე. ქვეყნიერების შექმნა შვიდ დღეში არ დასრულებულა, ეს მხოლოდ ერთ-ერთი სულიერი წყარო იყო შესაქმის ბედში.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ზვიად გამსახურდია ცდილობდა ბოროტებაზე გასამარჯვებლად ბოროტება დაენახა, ემხილებინა ის. ბოროტების არდანახვა და უარყოფა წინააღმდეგობის ძალებს ამცირებს. ადამიანმა უნდა ისწავლოს სულების გარჩევა. ადამიანი ბოროტი სულების ტყვეობაშია, რომელიც ხშირად სინათლის ანგელოზებადაც ევლინებიან მას. მაგალითად, თავისი „ბრძნული რჩევებით“ ცირკის ლომი დიდ გულშემატკივრად მოევლინა გალიის თავისუფლებისმოყვარე და ამაყ ლომს. მაგრამ არის სხვა საშიშროებაც, ესაა საშიშროება ბოროტებაზე უკიდურესი ორიენტაციისა, შენში მისი ჩაბუდებისა და შენ ირგვლივ, მისი ყველგან დანახვა, მისი ძალებისა და მაცდუნებლობის გადაჭარბება. ხდება რაღაც განუწყვეტელი მედიტაცია ბოროტებაზე. ადამიანი ჩაეფლობა ეჭვებში. ის ეშმაკის ძალებში უფრო რწმუნდება, ვიდრე - ღმრთისა, ანტიქრისტეში უფრო, ვიდრე ქრისტეს ძალებში. ყალიბდება უკიდურესად არაჯანსაღი სულიერი მიმართულება, რომელიც ანგრევს დადებით და შემოქმედებით ცხოვრებას. ეს მოქმედებს ადამიანზე არა მხოლოდ უარყოფის მხრივ, არამედ მისი უკიდურესი გადაჭარბების გზითაც.

ბოროტებასთან ბრძოლაში ადამიანი ინფიცირდება ბოროტებით და ბაძავს თავის მტერს.
წინასწარმეტყველურ იგავში „სასწორთვალა და უწონადი ხმის ჭაბუკი“ ენიგმატური გაცილებით მეტია, ვიდრე - წინასწარმეტყველური.
ზვიად გამსახურდია ბოროტებასთანაც კი არ იყო ბოროტი, არამედ ნათელი დამოკიდებულება ჰქონდა ზოგადად ადამიანების მიმართ. ზვიად გამსახურდია თავის შემოქმედებას ორ სვეტზე აფუძნებს - წინასწარმეტყველებასა და ალეგორიაზე, დაფარულის გამოცხადებაზე - ენიგმაზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. აბულჰასან ალი ნავდი, მუჰამედი, უკანასკნელი წინასწარმეტყველი, 1993.
2. არნოლდ ლოუბელი, „ბაყაყი და გომბეშო,“ 1970.
3. გია მამალაძე - ზვიად გამსახურდიას „სასწორთვალა და უწონადი ხმის ჭაბუკი.“
4. ზვიად გამსახურდია - იგავები და ზღაპრები, „ნაკადული,“ თბილისი, 1987.
5. თამთა როგავა, ზვიად გამსახურდიას ზღაპრის გმირთა მითოლოგემა, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 2019 წელი, 5 აპრილი.
6. თეოლოგიური შტუდიები, პროფეტიზმის წარმოშობა უძველეს ახლო აღმოსავლეთში, 2009.
7. ინგა მილორავა, ზვიად გამსახურდიას იგავების პროფეტულობა, ზვიად გამსახურდია, პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა, კონფერენციის მასალები, 2020.
8. ოჰეილ ნაგნათი, ინდური იგავ-არაკები - ინდური იგავ-არაკები მორალით ინდურ კულტურაში, 2020-05-25.
9. ყალიჩავა თამარ, ზვიად გამსახურდიას იგავები, ათინათი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროჰილიანი საერთაშორისო აკადემია, თბილისი, 2011,#1.


## Enigma in Zviad Gamsakhurdia's fable "The Scale and the Weightless Young Man."


**Nana Kiria**

Affiliated Professor of the Free Academy of Tbilisi, ntkiria@freeacademy.edu.ge



**Abstract**

n the parable of the "scales and the weightless young man" the law of unity is opposed. Without darkness there is no light. Through the test of evil, goodness opens and wins. Freedom makes possible both good and evil. Evil is absence, the disobedience of sound must be distinguished from nothing, from the absence of the sunrising. The evil promised in the parable can never be fulfilled. He cannot establish the abbots of life, because he breaks the relationship with the source of life.

According to the author, the fight against evil can easily turn into evil and the fight against evil should start from itself and not from others. As a true Christian, Zviad Gamsakhurdia was well aware that Christianity is a religion of redemption and thus implies the existence of evil, the misery and bitterness of existence. His view of the young man's dwelling is therefore dualistic, indicating the dual nature of Christianity. According to the author, the mystery of redemption is impossible to rationally understand, just as the mysteries of the divine life cannot be understood. Orthodox theology is the rationalization of the Atonement mystery, equating it with the relationships that exist in nature.

Zviad Gamsakhurdia enigmatically shows that the manifestation and redemption of Christ in the spiritual plane can be understood only as the creation of the universe, as the eighth day of creation. The emergence of a new spiritual human being cannot be the result of the natural evolution of human nature alone.

There are many symbols in the text, but it should be noted that in this prophetic parable the enigmatic is much more than - prophetic. Without human nature, nothing would be accomplished without the mystery of the redemption of human freedom.

**Key words:** fable, literature, love.

# ტექსტის კომენტირების პრინციპები სკოლაში ილიას ,,აჩრდილის“ მაგალითზე

**ზურაბ ბაღაშვილი**

**თბილისის თავისუფალი აკადემიის მოწვეული პერსონალი,**
zbagashvili@freeacademy.edu.ge

**აბსტრაქტი**

ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობის ძირითადი მეთოდი საშუალო სკოლის უფროს კლასებში კომენტირებული კითხვაა. მას სასწავლო მეთოდთა სისტემას უწოდებენ. სტატიაში განსხვავებულად არის გააზრებული კომენტირებული კითხვა, როგორც ლიტერატურული ტექსტის სწავლების ძირითადი მეთოდი საშუალო საფეხურზე და ამ კუთხით არის განხილული ი.ჭავჭავაძის პოემის „აჩრდილის“ VII-VIII თავები.

**საკვანძო სიტყვები:** ტექსტი, ანალიზი, მხატვრული სახე.

ყველას, ვისაც სურს მხატვრული ლიტერატურა სკოლაში სათანადო დონეზე ასწავლოს, უნდა გაითვალისწინოს ხელოვნების ამ დარგის მრავალმხრივი ბუნება, იდეურ-ფილოსოფიური თუ ზნეობრივი პრობლემის დამუშავების სპეციფიკურად ესთეტიკური ხასიათი... მხატვრული ნაწარმოების გააზრება უნდა მოხდეს ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზის გზით, რაც ხსენებული იდეურ-ფილოსოფიური თუ ზნეობრივი პრობლემების, როგორც სპეციფიკური მხატვრული ფენომენის, ესთეტიკურ გააზრებამდე მიგვიყვანს.

კომენტარი (ლათ. ცომმეჰტატიუს) _ 1. რაიმე ტექსტის ახსნა-განმარტება, 2. (ჩვეულებრივ მრ-ში) ახსნა _ განმარტებითი ან კრიტიკული შენიშვნა, მსჯელობა რისამე თაობაზე.

კომენტირებული კითხვა რუსი და ქართველი მეთოდისტების მიერ ტექსტზე მუშაობის მეთოდურ სისტემად არის მიჩნეული. ძნელი სათქმელია, რას გულისხმობენ სისტემაში, მაგრამ მხატვრული ნაწარმოების სკოლაში ანალიზის ძირითადი ხერხი რომ არის, ეს უდავოა. განმარტებიდან ჩანს, რომ კომენტირება ტექსტის ანალიზის ძირითადი პრინციპია.

ჩვენი თვალთახედვით, მხატვრული ტექსტის სწავლებისას კომენტარი შეიძლება გაუკეთდეს სიტყვას, წინადადებას, აზრს და მხატვრულ სახე - სიმბოლოს. სიტყვის განმარტებაში ვგულისხმობთ შინაარსობრივ - კონტექსტურ მხარეს, წინადადების განმარტება მოითხოვს ძირითადად ავტორის მიერ ნაგულისხმევი შინაარსის სწორად გაშიფრვას, აზრის განმარტება _ ნებისმიერი აფორისტული თუ არაფორისტული აზრის ლოგიკურ ახსნას... რაც შეეხება სახე-სიმბოლოს, მიგვაჩნია, რომ რთული სიმბოლოს ,,გაშიფრვა-ანალიზის“ დროს არ უნდა დაზიანდეს სპეციფიკურად მხატვრულ-

მეტაფორული სამოსი, რომელშიც ესა თუ ის შინაარსი არის ,,გახვეული~. კომენტარი, თავისი მხრივ, შეიძლება იყოს: პოეტიკური, ისტორიული, ესთეტიკური, ბიბლიური, ფილოსოფიური... შინაარსის, მოცულობის მხრივ კი _მოკლე და ვრცელი. ეს უკანასკნელი დაყოფა პირობითია და დამოკიდებულია საკომენტარო მასალის ხასიათზე...

ტერმინი ,,კომენტირებული კითხვა~ ზუსტად არ გამოხატავს გაკვეთილზე ზეპირ ან წერილობითი სახის კომენტირების პროცესს. ამ დროს სხვადასხვა შინაარსისა და მოცულობის კომენტარი კეთდება იმ ოთხი ნიშნის მიხედვით, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. სიტყვა ,,კითხვა~, ჩვენი აზრით, არ ასახავს რეალურ ვითარებას. მიგვაჩნია, რომ საკმარისია მხოლოდ ,,კომენტირების~ გამოყენება ,,კომენტირებული კითხვის~ ნაცვლად. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საშუალო საფეხურზე ,,აჩრდილის~ ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზი, ჩვენი აზრით, კომენტირების იმგვარ პრინციპს უნდა დაეფუძნოს, როგორსაც მეშვიდე_მეთორმეტე თავების მაგალითზე წარმოვადგენთ.

VII თავი

,,ეხლა აღგვილა ყველა ესე, ვითარცა მტვერი...

და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა~.

ქართველი კაცი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა _ რწმენა დაკარგა სამშობლოს ბედნიერი მომავლისა... იმედის დაკარგვა დიდ ქრისტიანულ ცოდვად ითვლება, ვინაიდან იგი უფლის მოწყალების რწმენის დაკარგვას ნიშნავს. ადამიანის სასოწარკვეთილებისა და ჭკუა-გონების არევის, ყველაფრის უარყოფის სათავეს ილია რწმენის შერყევაში ხედავდა და მისი ამგვარი მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზად მტკიცე რწმენა მიაჩნდა. ოდესღაც „რწმენის ნათლით ამაღლებული~ ღმერთთან მიახლოებული საქართველო საწუთროს ხიბლმა აცდუნა, ხორციელმა ვნებამ დაამხო და უიმედობამ დასაღუპად გაწირა: „ეხლანდელ დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა~.

ყველა ცოდვა მიეტევება ადამიანს, გარდა სასოწარკვეთისა. კარგად წერს ჯ. ღვინჯილია: „რამდენი საუკუნე უნდა ჩამოქცეოდა ქართველ კაცს თავზე, რომ ასე გაენადგურებინა რწმენა, რამდენი ცდა უნდა გაცუდებოდა ძველი ძალმოსილების აღსადგენად მიმართული, რომ ასე გაფუჭებოდა გონება... ხომ ფაქტია, რომ გადარჩენის არავითარი გზა არ ჩანდა ხოლმე~.

მოსწავლეებს მოკლედ შევახსენებთ მე-14 _ მე-18 საუკუნების საქართველოს ისტორიას, დავავალებთ, კიდევ ერთხელ გაიაზრონ ამ საუკუნეების სოციალურ-პოლიტიკური ვითარება.

„...და დაუგდიხარ, ვით ტაძარი გაუქმებული ...~

უქმად მდგომ ტაძარზე, ანუ მიტოვებულზე, სადაც წირვა-ლოცვა აღარ აღევლინება, საზარელი სანახავი ქართველისთვის, მორწმუნე ადამიანისთვის, არაფერია ამქვეყნად...

ტაძარი უფლის სახლია, ტაძრის მიტოვება ღვთის მიტოვებას ნიშნავს... აქ პარალელი შეიძლება გაივლოს ,,განდეგილთან~ (შდრ. დაცარიელებული ბეთლემი).

საქართველოს შედარება გაუქმებულ ტაძართან მძიმე ფიქრების აღმძვრელია... სიმბოლო იმდენად ღრმა შინაარსის შემცველია, რომ მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მის ახსნას.

თუ ისტორიულ და სოციალურ საკითხებზე მსჯელობისას მასწავლებელი თხრობის მეთოდს მიანიჭებს უპირატესობას, ბიბლიურ პარალელთა და ეროვნულ საკითხთა ანალიზისას შეიძლება საუბრის მეთოდისა და ვენის დიაგრამის გამოყენება. სსანამ სახე-სიმბოლოზე ან წმიდა წერილთან მიმართებაზე გავაკეთებდეთ განმარტებას, უნდა შევამოწმოთ მოსწავლეთა ცოდნა იმ საკითხებზე, რომელთა კომენტირებასაც ვაპირებთ. დასმული კითხვების შინაარსი განაპირობებს განსახილველი პრობლემის შესახებ მოსწავლეთა დამოკიდებულების ხარისხს. თუ ისტორიული ხასიათის შეკითხვებით გავიგებთ მათი ფაქტობრივი ცოდნის დონეს (მაგალითად, ფარნავაზის მეფობის შესახებ: ,,მახსოვს ფარნავაზ ჰაეროვანი, გულმტკივნეული შვილი ქვეყნისა~), სააზროვნო კითხვების დასმით შევამოწმებთ მოსწავლეთა ანალიზის უნარს (რატომ ,,წამხდარა ყველა ის ღონე და ის ძლიერება~; რამ გამოიწვია, რომ ,,ახოვანი იგი ცხოვრება... თითქო თვის დენაში შეყენებულა?~ და ა.შ.).

სერიოზულ დაფიქრებასა და განმარტებას ითხოვს შემდეგი სტროფი:

„ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას

და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ-ამაღლებული

ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას...~

რას ნიშნავს „ზოგადი ცხოვრება?~ როგორ ავხსნათ „საზოგადო ცხოვრების დენა?~

„ზოგად ცხოვრებაში~ ავტორი სისხლსავსე, ერთიანი ეროვნული და სოციალური სულისკვეთებით ცხოვრებას უნდა გულისხმობდეს, ისეთს, როდესაც საზოგადოება ერთი გაუბზარავი, მონოლითური სხეულია და პროგრესული მსოფლმხედველობის მატარებელი, დღენიადაგ მაღალი მორალური პრინციპებით ცოცხლობს და აზროვნებს. „საზოგადო ცხოვრების დენა~ ,,მცნების ნათლით ზე-აღზიდულ-ამაღლებულ~ სიცოცხლით სავსე დინებას ემსგავსება და პიროვნებისა და სამშობლოს წარმატებაც გარდაუვალი ხდება. „ზოგადი ცხოვრება~, „საზოგადო ცხოვრების დენა~ ნიშნავს გარკვეული მსოფლმხედველობრივი კუთხით ცხოვრების არსში წვდომას, განჭვრეტას, სამყაროს ზოგადი კანონზომიერებების ცოდნას და პრაქტიკულ ცხოვრებასთან კავშირში დანახვას.

„და იგი ცრემლი ურწმუნობის, ეჭვის და ტანჯვის

ჰღაღადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.~

ურწმუნოება, ეჭვი და ტანჯვა უძლურებაა. ილიასათვის იმედი, მომავლის ეჭვშეუვალი რწმენა აუცილებელია, ადამიანის  მოვალეობაა, რომელსაც უფლებაც კი არ აქვს, არ სჯეროდეს უკეთესი მომავლისა... აქ ქრისტიანული და ეროვნული ოპტიმიზმი ურთიერთკავშირშია, გადაჯაჭვულია ერთმანეთთან.

VII თავს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფორმის თვალსაზრისითაც. ავტორის ტექსტი აქ იცვლება მოხუცის სიტყვებით. პოეტური ფორმის თვალსაზრისით, ეს ცვლილება ყველაზე კარგად ჩანს იმით, რომ ათმარცვლიანი ლექსი, რომლითაც წინა ექვსი თავი არის დაწერილი, იცვლება თოთხმეტმარცვლიანით. ასეთი წყობა თითქოს უფრო შეეფერება მოხუცის დინჯ, ავტორის ტექსტზე არანაკლებ პათეტიკურ, მაგრამ კიდევ უფრო დიდებულ სტილს.

VIII თავი

ამ თავში აჩრდილის მსჯავრდება ქართველი ხალხისადმი გრძელდება, თუმცა თანდათან მკაცრი ტონი იცვლება და გმირის ძიებისაკენ მოუწოდებს მას:

„აქ არვის _ დიდსა, თუ პატარასა _

ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,

დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა

ღვთად მოუცია მარტო მამული.~

ილიასთვის სამშობლო ღმერთის სადარია, ღვთისეული ცნებაა, რომელსაც ისე უნდა ემსახურო, როგორც უფალს. ქართველ ხალხს, რომელიც ადრე ღირსეულად ცხოვრობდა, საუკუნეების შემდეგ უკვე დაკარგული ჰქონდა ერის წინაშე იმ ღვთიური მოვალეობის გრძნობა, რომელიც სამშობლოსთვის უანგარო, მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვდა მისგან. ამის შემდეგ იწყება ბრალდება, რომელიც პოეტის თანამედროვე საქართველოსკენ არის მიმართული და სტილითა და ინტონაციით ბიბლიურ პატრიარქთა მრისხანე ღაღადებას მოგვაგონებს:

,,გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,

დაგინგრევიათ დიდი მამული ...~

ერის „დაცემა და გათახსირება~ მაშინაც იწყება, როდესაც მას უქრება ეროვნული გმირის დაბადების, მოვლენის რწმენა, რადგან გმირის ხილვის სურვილი იმას ნიშნავს, რომ გინდა გამოფხიზლება, აღდგომა და მონობის უღლის გადაგდების შედეგად ღირსეულად ცხოვრება. ეროვნული გმირის დანიშნულება და დამსახურება ისიც არის, რომ სხვა გმირის დაბადებას უწყობს ის ხელს, წინაპირობაა მისი:

„ყოველი იმღერს და სხვა მორჭმული

გმირი იმ მღერით დაიბადება.~

უნდა აღინიშნოს, რომ მოხუცი უბრალო მაყურებელი კი არ არის „ქართლის ცხოვრებისა~, არამედ მისი უდიდესი გულშემატკივარი და მოჭირნახულეა. „იგი მსჯელობს, აზროვნებს არა კონკრეტული კატეგორიებით, არამედ „აბსტრაგირებული~სახეებით; ისტორიულში, კონკრეტულში იგი განჭვრეტს ზოგადს, არსებითს, აბსოლუტურს.

ილია ღვთის ნაპერწკალს უწოდებს სამშობლოსათვის ბრძოლას და მტრის არდამორჩილებას.

ნებისმიერი ხალხის ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსაპ¬ოვებ¬ლად ყოველთვის ღვთივკურთხეულად ითვლებოდა. ბიბლიაში, ძველ აღთქმაში, ებრაელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და გადარჩენისათვის ღმერთი შეეწეოდა და წინამძღოლებადაც თავის რჩეულებს მოუვლენდა ხოლმე.

,,აგერ ორ-სამ კაცს რაღაც უგრძვნიათ,

ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან...~

ერთმანეთის შური და მკვეთრი ინდივიდულიზმი ხშირად ხელს უშლიდა და უშლის საერთო საქმის კეთებას. ,,უჩემოდ ვინ იმღერეთა~ ს ფენომენი, რომელსაც სასტიკად ებრძოდა ილია მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით, ვრცელი ისტორიული და ეთნო-ფსიქოლოგიური კომენტარის გაკეთებას ითხოვს მასწავლებლისგან.

სამართლიანობა, ეს უზენაესი ღირებულება, მოითხოვს, რომ, ვინც შრომობს, მანვე მიიღოს გაწეული შრომის საზღაური.

მწერლის ყურადღების ცენტრშია ადამიანი და მისი ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ის განიხილავს ბატონყმურ წყობილებას და არსებულ პირობათა ბუნებრივ შედეგად მიაჩნია ის მორალი, რომელიც დამახასიათებელია ცალკეული წოდებისა თუ კლასისათვის.

ილიას აზრით, თავადაზნაურობამ უნდა შეიგრძნოს, რომ იგი ცხოვრების მკვდარი ნახევარია და, თუ გლეხობას არ დაუკავშირდა, მის ეკონომიკურ გაღონიერებასა და პოლიტიკურ თანასწორობაზე არ იფიქრა, იგი მთლიანად გადაგვარდება და დაიღუპება. მან გლეხში უნდა დაინახოს თავისი მომმე, თავისი მოყვარე, შეიყვაროს იგი და მისგან ისწავლოს, შეითვისოს ის, რაც ცხოვრებისათვის აუცილებელია _ შრომა. თავად-აზნაურმა უნდა გაიგოს, რომ დღეს ცხოვრება გლეხობაშია: ,,იქა ჰსდუღს ძარღვში მოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა~

,,შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ~... სოციალურად დაბლა მდგომი ადამიანი სრულფასოვანი ადამიანური განცდების მქონედ არ მიაჩნიათ: ,,დედას ძუძუდგან შვილსა აჰგლეჯენ, ვინ იცის, სიდამ სად გაჰყიდიან...'' _ აბსოლუტური უსამართლობაა.

იმდროინდელი ვითარებიდან გამომდინარე, დამნაშავე მაღალი სოციალური ფენაა, მაგრამ ილია ჭავჭავაძე, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც სამართლიანია და ყველას თავისას მიაგებს: ,,მართალია, თავად-აზნაურობამ, როგორც წოდებამ, დიდი ხანია თავისი დრო მოჭამა, მაგრამ თავადს, აზნაურს, ვით ცალკე კაცს, ადამიანობა ხომ შერჩა და ვინ რას ემართლება, რომ დღეს კაცი ისე არ გაუვლის გვერდით თავადს თუ აზნაურს _ წიხლი არა ჰკრას, მის ხსენებაზე დორბლები არ წამოჰყაროს~. მთელ თავში ამ ტრაგედიის გაღრმავება, გაშლა ხდება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბაღაშვილი, ზ. ჭავჭავაძის „აჩრდილის“ ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზი სკოლაში: ,,ინტელექტი~, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი, თბ., 2002, #2;
2. ჭავჭავაძე, ი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 1, თბ., 1985;
3. ჯალიაშვილი, მ. აჩრდილის სახე. გაზ. „კალმასობა“, 1997, #9;
4. სირაძე, რ. “სული საქმით მეტყველი”, გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 1997, 14-21 ნომრები.


## Principles of text commenting on the example of Ilya's "Phantom" at school


**Zurab Baghashvili**

Invited Personal of Free Academy of Tbilisi, zbagashvili@freeacademy.edu.ge



**Abstract**

The main method of working on a literary text is an annotated reading in senior high school classes. It is called a system of learning methods. In the article, commented reading is understood in a different way as the main method of teaching literary text in the middle class, and chapters VII-VIII of I. Chavchavadze's poem "Phantom" are discussed in this regard.



**Key words:** text, analysis, artistic style.

# Challenges of Higher Education of Ethnic Minorities

**Anzhela abuladze**

Free Academy of Tbilisi Head of quality Management Service Assistant, quality@freeacademy.edu.ge

Abstract: The article discusses the challenges of access to and provision of higher education for ethnic minorities, namely Armenians and Azerbaijanis, and what obstacles they face in the process of receiving higher education. The article also analyzes and evaluates the effectiveness and disadvantages of state programs promoting the teaching of the Georgian language.

Key words: ethnic minorities, higher education, preferential policy, reform, programs, sustainability, effectiveness, challenges.

Georgia is a multi-ethnic country. After the collapse of the Soviet Union, about 30% of the population was represented by ethnic minorities, mostly Armenians and Azerbaijanis. A large part of Armenians and Azerbaijanis living in Georgia live in mono-ethnic settlements located in rural areas in the south and east of the country. Most of the Armenian and Azerbaijani population cannot speak Georgian, which creates a communication problem. They feel isolated from the Georgian society and often turn to other countries to continue their studies, such as Baku, Yerevan or Russia.

According to Article 11 of the Constitution of Georgia, all people are equal before the law. Discrimination on the basis of race, skin color, sex, origin, ethnic affiliation, language, religion, political or other opinions, social affiliation, property or rank, place of residence or other characteristics is prohibited. In addition, according to the second part of Article 11 of the Constitution, citizens of Georgia, regardless of their ethnic, religious or linguistic affiliation, have the right to preserve and develop their culture without any discrimination.

The educational system in Georgia is regulated by three laws: 1) "Law of Georgia on General Education," 2) "Law of Georgia on Vocational Education" and 3), "Law of Georgia on Higher Education." "Law of Georgia on General Education" Paragraph 3 of Article 4, which refers to the language of instruction, states that citizens of Georgia, for whom the Georgian language is not their native language, have the right to receive full general education in their native language, in accordance with the national curriculum, in accordance with the law. However, teaching the state language is mandatory in this general educational institution. According to Article 43 of the "Law of Georgia on Higher Education", it is mentioned that all students have the right to receive quality education.

Since 2005, Georgia has joined the Bologna process. Involvement in the Bologna process requires the involvement of national minorities and access to quality education for them. The Ministry of Education and Science launched a "Preferential Policy" for ethnic minorities. Under this policy, entrants were given the opportunity to take general skills and optional subjects in Russian during the unified national exams, which doubled the number of entrants in 2006. Since 2008, entrants

have already had the opportunity to take the general skills test in the Armenian and Azerbaijani languages. This further contributed to the increase in ethnic minority entrants. On November 19, 2009, the Law on Higher Education of Georgia was amended, based on which, the Ministry of Education and Science launched the quota system. The quota of students was established and the higher educational institutions that would implement the educational program of preparation in the Georgian language (so-called 1+4) the share of students of the program was determined. 5-5% of the total number of admissions was determined for Armenian-speaking and Azerbaijani-speaking applicants, and 1-1% - for Ossetian-speaking and Abkhazian-speaking applicants. Applicants for this program only had to pass the Azerbaijani and Armenian language tests of general skills.

In 2009, the Ministry of Education and Science of Georgia created an educational program for training in the Georgian language. The goal of this program was to increase the access of ethnic minorities to higher education in Georgia. Armenian-speaking and Azerbaijani-speaking entrants were given the opportunity to take a general aptitude test in their native language for admission to higher educational institutions.

Those higher educational institutions that implement the Georgian language training educational program train representatives of ethnic minorities in the Georgian language for one year, so that after one year they can continue their studies in the bachelor's program of their choice. Before starting studies in this program, students from ethnic minorities write a test to determine the level of the Georgian language, and after that they are divided into appropriate groups.

We should also mention one problematic issue - the absence of a Georgian language standard that would establish the minimum competence of Georgian knowledge. There is no unified test according to which universities determine the level of language proficiency of students.

The challenge of the Georgian language training program is that the 60 credits accumulated during the year do not always mean that the graduate has sufficient linguistic competence for the bachelor's degree. One year is not enough for everyone, especially for students with low language skills.

It is also worth emphasizing the fact that as a result of the introduction of the quota system, the number of students representing ethnic minorities in Georgian higher educational institutions has increased, although attention should be paid to the dropout and completion rates. There is a high rate of dropout and non-completion of education in the Georgian language training program, which is caused by the high statistics of early marriage, academic and language-type problems, and the high rate of leaving the country.

Currently, the educational program of Georgian language training is carried out by both state and private higher educational institutions, although according to the data of 2017, students were distributed among 5 universities. From here, most of the students came to Ivane Javakhishvili Tbilisi State University, and the rest to Tbilisi State Medical and Samtskhe-Javakheti State Universities. It should be noted here that students have a special demand for those universities where ethnic minorities are geographically close. In this regard, Samtskhe - Javakheti State University stands out, where there is the greatest demand and it exceeds the number of accepted places for students. Although, as a result of the implemented changes, ethnic minorities can get higher education,

but Georgian language courses are not enough for thorough mastery of the language, as a result of which the quality level of the student's academic performance decreases due to the existence of a language barrier. Therefore, changes in the higher education program are not enough to thoroughly solve this problem.

Initiatives for access to higher education, such as state programs promoting the teaching of the Georgian language, the quota system in higher education institutions, simplified enrollment at the level of higher education, a one-year educational program for training in the Georgian language, and others are generally evaluated positively, however, the mentioned measures did not radically increase access to university education.

Despite the complex and systematic measures implemented in recent years in the direction of increasing the knowledge of the state language, in the regions densely populated by ethnic minorities, the issue of full possession and use of the state language remains an important challenge, which significantly hinders their involvement at any level of education and the processes of receiving information, employment, and other things going on in the country. to use the services.

It is important to form a unified vision on the part of the state and to define the systemic character of the policy towards ethnic minorities. Consideration of social and economic factors in education policy planning. The state must ensure access to education for ethnic minorities at all levels (pre-school, school, professional and higher education).

It is important for the state to determine what kind of citizen it wants to raise and accordingly create textbooks for both non-Georgian and Georgian-speaking pupils and students. Quickly solve problems related to learning resources. To improve the quality of textbooks, lack of translation and other teaching aids. Methodical resources should also be created for teachers in their native language.

Education policy needs more sustainability and systematicity. It is important to write a strategy and an action plan that defines the parties involved, responsibilities and deadlines.

References:

1. Law of Georgia on Higher Education;
2. Law of Georgia on general education;
3. Law of Georgia on professional education;
4. Human Rights Education and Monitoring Center (EMC) "Systemic challenges of education policy towards ethnic minorities 2020";
5. Challenges of ethnic minorities https://netgazeti.ge/news/504122/;
6. The continuous challenge of providing proper education for students of ethnic minorities in Georgia https://civil.ge/archives/421176;
7. Two exams and equal opportunities to finance studies – recommendations of the Ministry of Education for national minorities - https://edu.aris.ge/news/ori-gamocda-da-swavlis-dafinansebis-tanabari-shesadzleblobebi-ra-rekomendacia-aqvs-cciir-s-ganatlebis-saministrosadmi-erovnuli-umciresobebistvis.html.